ა. ბახი.

შიმშილი

მოკლე პოლიტიკური ეკონომია

თარგმნილი

თ. სახოკიას-მიერ

ქუთაისი
სტამბა პ. ფერაძისა და ნ. კარნაუსოვისა
1907

შესავალი

ჩვენი საკუთარი ჭირი და მწუხარება ცოტა ხნით დავი-ვიწყოთ და კარგად დავაკვირდეთ, ჩვენს გარშემო ხალხი როგორა სცხოვრობს. პირველადვე თავზარის დამცემს და გზა-კვალის ამრევს ცხოვრებას დავინახავთ. ყველგან, ყოველს ნაბიჯზე უსამართლობას დავინახავთ. ერთი სისხლის ოფლსა ღვრის, მეორე-კი მხართეძოზე წამოწოლილა და ჩხირსაც არ აბრუნებს; ზოგსა ჰშია და ათასნაირი ავადმყოფობა მუსრს ავლებს, – სხვები კი მდიდრულ და ოქრო-ვერცხლით მორთულ სრა-სასახლეებში სცხოვრობენ. ზოგს ტანჯვაში სული ხდება და თვალზე ცრემლი არ აშრება, – სხვები კი ხარობენ და ქეიფობენ. თუ სადმე სამართალია, სიამით იმან უნდა იცხოვ-როს, ვინც შრომობს და მომჭირნეობს; ასეთის კაცის სახლში ყოველივე უნდა დუღდეს და გადმოდიოდეს, მის ოჯახში ღვთის თვალი უნდა ტრიალებდეს. ხოლო ვინც არაფერს აკეთებს, ვისაც მცონარეობა და უქმად მხართეძოზე წოლა უყვარს, არაფერი უნდა ჰქონდეს, შიმშილსაც უნდა ითმენდეს და წყურვილსაც; ვისაც არაფერი დაუთესია, არც არაფერი უნდა მოიმკოს.

დიახ, ასე უნდა იყოს, ამას უნდა ამბობდეს ღვთიური სამართალიცა და ადამიანურიცა. იმის მეტი ჭირმა არ შეგ-ჭამოთ! ჰშიათ და სწყურიათ, სახლში გამოულეველი ჭირი და უბედურება აქვსთ, სხვა და სხვა სენი ჟუჟავს სწორედ ისე-თებს, ვინც მუშაობაში სულს ირთმევს, ვინც დღე და ღამეს ასწორებს. ხოლო ვინც არაფერს აკეთებს, კარგად სვამს,

კარგად სჭამს, კარგად იცვამს, კარგად იხურავს, იმისთვის არც დარდია და აღარც მწუხარება. ზოგთ მხოლოდ უშნოდ ფლანგვა შეუძლია ფულისა და ჰფლანგავს კიდეცა უშრომლად ნაშოვნ ფულსა. სად არის ღმერთი და სად არის სამართალი! თუ მდიდარ კაცის შვილი არა ხარ, სული ტანჯვა-წვალებაში უნდა ამოგხდეს. დედა-მიწას ასცილდები თუ არა, შენი წვალებაც დაიწყება, თითქო დედის მუცლიდან გამოგყვაო. ვსთქვათ, შვილი ხარ გლეხისა. ოთხი წლისა გახდი და უკვე იგრძენი, რომ კისერზე უღელი დაგედგა. გინდა სოფლის ბიჭებთან თავისუფლად იხტუნო; უკაცრავად, ხელში სახრეს მოგცემენ და გეტყვიან, ხბორები ან ბატები მწყემსეო. რვა წლამდე ასე უნდა იხეტიალო. ვინც ცოტათი შეძლებულ გლეხის შვილია, სოფლის სკოლაში იწყებს სიარულს. შენც გინდა სკოლაში გატარონ, სხვა ბავშვებთან კაი-კაი ლექსები ისწავლო, იმღერო. მაგრამ აქაც უკაცრავად ბრძანდები. მამაშენს სამყოფი პური ან სიმინდი არ მოუვიდა, ათასი გადასახადი და ბეგარა კარზე მოადგა, გადახდის თავი არა აქვს და სარჩენი კი შენს გარდა კიდევ ბევრი ჰყავს ოჯახში. ისიც თავს იმტვრევს, სცდილობს გაჭირვებას თავი დააძვრინოს როგორმე. ამ დროს გაიგო, რომ მახლობლად ფულიანმა კაცმა ასანთის (სპიჩკა) საკეთებული ქარხანა გახსნა და ეს კაცი იმდენად მადლიანია, რომ სულ პატარა ბავშვებსაც კი აძლევს სამუშაოსაო. შენს ქარხანაში შესვლა ისე გინდა, როგორც წაწყმენდილს კაცს ადუღებულ ქვაბში ყოფნა, მაგრამ შენ ვინა გკითხავს! მეტი გზა არა გვაქვს, მამაშენს უკან უნდა გაჰყვე. საცოდავმა მამაშენმაც ბარემ კარგად იცის, რომ შენ დღეში თორმეტ ან თოთხმეტ საათს გამუშავებენ და ქირად ორ შაურს ღა გაღმოგიგდებენ; ისიც იცის, რომ ქარხანაში გოგირდისა და ფოსფორისაგან მოიწამლები და ყვავილსავით დაჭკნები. ბარემ გული ემდუღრება, მაგრამ რა ჰქნას, შენი შემოტანილი ორი შაურიც ოჯახს წაადგება.

ვსთქვათ, ბედმა არ გიღალატა და ჯერ ისევ ბავშვი რო

ხარ, ისე რამე სენი არ შეგეყარა და თან არ გადაგიტანა ან არა და ქარხნის მანქანამ კისერი არ მოგიგრიხა, და შენი დღენი თვრამეტ წლამდე მიაჯახირე. სწორედ ამ დროს იმის ფიქრს დაიწყებ: რა ვუყო ჩემს უანაწერო თავსაო. ასანთის საკეთებელი ქარხნიდან გარედ გაგიძახეს, რადგან იქ მუშაობა პატარეებსაც შეუძლიათ: დიდებზე ნაკლებს ქირას აძლევენ და შენ კი ორ შაურს აღარ დასჯერდები; ამასთან, ვეღარც მამასთან გაჩერდები სოფელში. სამყოფი მიწა აღარა გაქვთ, გადასახადი კი ბევრი უნდა იხადოთ. მეტი საშველი გზა აღარა გაქვს, გუდა-ნაბადი უნდა შეიკრა და ქირაზე წახვიდე, თორემ შენი მოხუცებული დედ-მამა და პატარა და ძმები შიმშილით ამოსწყტებიან. მიდიხარ ქალაქში და, ვსთქვათ, სადმე ჩითის საქსოც ქარხანაში შეხვედი. მოგეწონა იქაურობა, როცა მანქანის დაზგას ამოგიყენეს უკან; ჯერ გაგიჭირდა მუშაობა,

ხან ნაქსოვი გაგიფუჭდება, ხან იმის გეშინიან, ხელი არ მოვაყოლო სადმე და არ მომწყვიტოსო. ცოტ-ცოტათი ყველაფერს შეეჩვიე; ორ-სამ წლის მუშაობის შემდეგ ნამდვილი ფეიქარი გახდი. მიაცოდვილებ შენს დღეს და ჰფიქრობ – ფეიქრობაში უნდა ამომხდეს სულიო, ისე, მოულოდნელად, ქარხნის პატრონი გიცხადებს – მუშები ნახევარზე მეტი უნდა დავითხოვო, ამიტომ რომ ჩითეულობას გასავალი არა აქვს და ზარალსა ღა ვხედავო. ხედავ, რომ შენა და ბევრი შენი ამხანაგები გარედ გამოგყარეს. მიადგებით მეორე ფაბრიკანტს და სამუშაოსა სთხოვთ. ის კი პასუხად გეუბნებათ: „უკაცრავად, ჩემო კარგებო, ჩემი მუშები ძლივას დავითხოვე, პოლიციაც კი დავიხმარეო“. შენი და შენი ფეიქრობა მშრალზედ რჩებით. მუქთადაც რომ დაუდგე, არავინ დაგიყენებს.

უჭმელ-უსმელად გაძლება კი არ შეგიძლია. მეტი გზა აღარა გაქვს, შედიხარ იმ ქარხანაში, სადაც უარს არ გეტყვიან და მიგიღებენ. ვსთქვათ, თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში შეხვედი. ერთმა ღმერთმა იცის, თუ რამდენ ტანჯვას გამოივლი, სანამ ამ ახალს ხელობას ცოტათი მაინც შეეჩვევოდე და

შენს ფეიქრობას დაივიწყებდე. ამ დროს წამოუვლის პატრონს და აქედგანაც გერეკება. ახლა მესამე ნაირი ხელობა უნდა ისწავლო. ამნაირად ჯახირობ მთელი შენი სიცოცხლე: არ იცი, სად მიდიხარ, არც ის იცი, თუ საიდან წამოგიქროლებს უბედურება.

მიიხედ-მოიხედავ და გული სიბრალულით გაგეწურება: შეგებრალება შენი საკუთარი თავი, შეგებრალებიან სხვები. ვითომ შენც ადამიანი გქვიან, ვითომ ღვთის ხატებად და მზგავსებად გაჩენილი ხარ; ვითომ იმას უნდა აკეთებდე, რაც შენა გსურს. ის კი არა, შენი ბედი სხვის ხელშია. უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული დღეს აქა ხარ, ხვალ ცხრა-მთას იქით, ებრძვი ცხოვრებას, სანამ სადმე ქუჩაზე არ გამოგრიყავს, რომ პირუტყვსავით ჩაიღრძვე.

მერე რა ძალაა ისეთი, რომელსაც შენისთანა ადამიანები თავის ნებაზე დაჰყავს, ათამაშებს ისე, როგორც ნაფოტს ზღვა ათამაშებს ხოლმე? მეტად დიდია ეს ძალა: ამ ძალას შიმშილი ჰქვიან და ქვეყანაზე შიმშილზე ულმობელი არაფერია. ნამდვილი ხელმწიფეა შიმშილი და ადამიანი მას ემონება. მაგრამ შიმშილი არც ისე ძლიერი იქნებოდა, თვითონ ადამიანს რომ ქვეყანაზე უსამართლოდ არ მოეწყო ჩვენი ცხოვრება და შიმშილის ძალა ისე არ გაეძლიერებინა. ჩვენის უბედურების მიზეზი ადამიანის მიერ შექმნილი წესწყობილობაა. ასე რომ არ იყოს, როგორ მოხდა, რომ ზოგი ბედნიერია და ზოგი კი უბედური, ზოგი ყელთამდე მაძღარია და ზოგს კი გამხმარ პურის ყუა ენატრება?

ადამიანმა ბევრი იწვალა, სანამ მიაგნებდა ჩვენს ცხოვრებაში გამეფებულ უსამართლობის მიზეზს. და აი სწორედ ამ უსამართლობის შესახებ გვექნება საუბარი ამ წიგნში. თუ

ყველამ კარგად გაიგო ეს მიზეზი, შეიძლება ადამიანის უბედურებას წამალი რამე დაედოს.

პირველი თავი.

თანამშრომლობა. შრომის განაწილება. გაცვლა-გამოცვლა. საქონელი.

რომ უფრო ადვილად გავიგოთ, თუ როგორ გაჩნდა ახლანდელი უსამართლობა, ცოტა შორიდან უნდა თავიწყოთ ლაპარაკი. როცა ამა თუ იმ ადამიანის კარგად გაცნობა გვინდა ხოლმე, დაწვრილებით გამოვკითხავთ პატარაობიდანვე როგორ უცხოვრია. როცა თავისს ცხოვრებას ხელის გულზე გადაგვიშლის, არ გაგვიჭირდება იმის თქმაც, თუ რა ადამიანთან გვაქვს საქმე. ასეა მთელის კაცობრიობის ამბავიც. თუ იმის ძიებას გამოუდექით, თუ როგორ სცხოვრობდა კაცობრიობა უხსოვარ დროითვე, თუ გამოვიძიებთ, დღევანდლამდე როგორ მოაღწია, იმ შემთხვევაში ბევრი რამ ახლანდელ წესწყობილებისა ადვილად ასახსნელი იქნება.

სულ ძველად ადამიანები დღევანდელ ველურებსავით ტყეებსა და გამოქვაბულებში სცხოვრობდნენ. არც სოფლები ჰქონდათ, აღარც ქალაქები, აღარც გზები და აღარც ხიდები. ნამდვილი შიშველი ველურები იყვნენ. საბრალოა ველური ადამიანი! ღონე დიდი არა აქვს, იარაღი ბუნებას არ მიუცია ხარს რქა აქვს მტრის მოსაგერებლად, მგელს გაალმასებული კბილები, ლომს გაფხავებული კლანჭები. ველურ ადამიანს კი მწვეტიან ჯოხის მეტი არაფერი გააჩნია! ცხოვრება კი იმასაც უნდა. უნდა იშოვოს საჭმელი, უნდა დაიფაროს თავი მხეცებისაგან. ხშირად რაც მოხვდება, იმასა სჭამს, მძოვრსაც არ იწუნებს. ლომი გინდა თუ დათვი იმაზე უკეთესად სცხოვრობენ, ერთსაც და მეორესაც ყოველ დღე ხარი ან ირემი უმშვენებს სუფრას. მტერი კი აუარებელი ჰყავს ველურ ადამიანს. ყოველი მხეცი, თუ კი ველურზე ღონიერია, მის დაჩაგვრას სცდილობს და ხანდისხან ჰკლავს კიდეც და მისს ხორცსაც შეექცევა. უბედური ველური ადამიანი წინააღმდე-

გია ასეთის წესყობილებისა. მაგრამ ვის მიმართოს, ვისა სთხოვოს სამართალი და ხსნა; რა თქმა უნდა, თავისსავე მზგავს ველურებს. და აჰა, ჩვენი ველურებიც ცოტ-ცოტად ერთად თავს იყრიან. გრძნობენ, რომ ერთბაშად გამამაცდნენ, გული გაუკეთდათ. პირველად ერთობრივის მეცადინეობით ერთი უშველებელი ირემი მოჰკლეს და მთელი დღე შეექცეოდნენ. მერე ხელში ჩაუვარდათ დათვი. მიესივნენ და რაც

ჯავრი სჭირდათ, სულ ერთ დღეში იყარეს. ველურები ერთად რო არ შეკრებილიყვნენ და ყველას თავთავისთვის ეცხოვრნა, შეიძლება ირმის ხორცი გემოთაც არ ენახათ და დათვის მუცლის ამოსაყორი თვითონაც გამხდარიყვნენ. ახლა კი ირმის ხორციც მიირთვეს და თითო ჯოხიც წაჰკრეს დათუნიასა. ჩვენი ველურები ყოველსავე ამას კარგად დაუკვირდნენ და დაინახეს, რომ ერთად საქმის გაკეთება უფრო ემარჯვებათ; დაინახეს, რომ ირმის მოკვლაც შეუძლიათ; შეუძლიათ ისიც, რომ მგელს და დათვს ანგელოზები დაუფრთხონ ხოლმე. ველურმა რა კი ერთხელ დაინახა, რომ ერთად ცხოვრება და ერთურთის დახმარება უფრო ხელსაყრელია, თავისს მეზობელის აღარ შორდება, სცდილობს ყველაფერი საერთოდ აკეთოს და ძველებურად უმწეოდ, მარტო თავის ამარა აღარ იცხოვროს. ამ ნაირად ჩვენა ვხედავთ, რომ გაჭირვება და სისუსტეა მიზეზი იმისა, რომ ადამიანები ერთად სცხოვრობენ, აერთებენ თავიანთს ძალღონეს, რომ იშოვონ საჭმელ-სასმელი, გაუმკლამდნენ მტერს. ძალ-ღონის ამგვარ შეერთებას **თანამშრომლობა,** შეერთებული შრომა ჰქვიან. რომ დავამტკიცოთ, თუ რამდენად საჭირო და ხელსაყრელია თანამშრომლობა, შემდეგს მაგალითს მოვიტანთ:

ვსთქვათ, ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას უნდა გადავიტანოთ ათი თუჯის სვეტი. თითეული სვეტი იწონის ოც ფუთს. ამ სვეტების გადასატანად სულ ათი კაცი ვართ. თუ თითეული ჩვენთაგანი თითო სვეტს დაებღაუჭა და გადატანა მოუნდომა, რაც უნდა ეწვალოს, ადგილიდან ვერ დასძრავს.

თუ კი ათმავე კაცმა ჩვენი ძალღონე შევაერთეთ და ისე ერთად მოვკდეთ ხელი სვეტს, მაშინ, რა თქმა უნდა, ადვილად მოვერევით და ათსავე სვეტს სათითაოდ გადავიტანთ. აი, ამდენი ძალა აქვს **თანამშრომლობას,** ერთი მეორის მხარში ამოდგომას! ამ სახით, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გაჭირვება და უღონობა ადამიანებს აერთებს და ერთად აშრომებს, აიძულებს ჯგუფ-ჯგუფად ან საზოგადოებათ იცხოვრონ.

ყოველი ასე შეერთებული საზოგადოება უეჭველად უნდა ზრუნავდეს, რომ სხვამ არაფერი აგნოს და სარჩო იშოვნოს, ყოველი საზოგადოება აკეთებს ყოველსავე იმას, რის გაკეთებაც შეუძლია და რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა: მიწას ხნავს და სთესავს, ამრავლებს საქონელს, ჰკრეფს ხილს და სხვ. მაგრამ დედამიწას ყველგან ერთნაირი თვისება არა აქვს. ამიტომ საზოგადოებას ყოველგან ერთისა და იმავე საქმის კეთება როდი შეუძლია. ერთს საზოგადოებას ჩაუვარდა მშვენიერი ნაყოფიერი მიწა და ისიც პურის თესვას შეუდგა. მეორე საზოგადოება საძოვრებს დაეპატრონა და ჯოგები გაიჩინა. მესამეს ჭაობიანი ადგილი ერგო, სადაც არც საძოვრებია და აღარც პური მოდის, მაგრამ, სამაგიეროდ, რკინის მადანი აღმოჩნდა და იმანაც მჭედლობა დაიწყო და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველი საზოგადოება იმას

აკეთებს, რაც უფრო ემარჯვება. მერე რა მოჰყვა ყოველსავე ამას? რა და ისა, რომ ერთს საზდგადოებაში პური თავსაყრელია, მაგრამ თოხი და ცული არ გააჩნიათ. მეორე საზოგადოებაში რკინეულობა ბევრია, მაგრამ პური აკლიათ. ამ მდგომარეობაში ფონს როგორღა უნდა გავიდნენ? უნდა მოიფიქრონ რამე, თორემ ერთი საზოგადოებაც სავალალო დღეშია და მეორეც. და აი საზოგადოებათა წევრები კითხვის-კითხვით ან შემთხვევით ერთმანეთს ხვდებიან. ერთის საზოგადოების წევრნი მეორეებს ეუბნებიან: პური გვაქვს ბევრი, მაგრამ რად გინდა – რკინეულობა გვაკლია; მეორენი ეუბნებიან: რკინეულობა თავსაყრელი გვაქვს, მაგრამ უპურობამ საქმე გაგვი-

ჭირაო. გადასწყვიტეს: რაც მეტი გვაქვს, გავცვალოთო. დაიწყეს გაცვლა-გამოცვლა და ორსავე საზოგადოებაში პურიც საკმაო გაჩნდა და რკინეულობაცა. საზოგადოების წევრებმა რაკი ერთხელ გაიცნეს ერთმანეთი, მეორე წელსაც გაუცვალეს ერთმანეთს თავიანთი ნაწარმოები, ანუ, მწიგნობრულად რო ვსთქვათ, **პროდუქტები.**

გავიდა დრო და ჟამი. ჩვენმა მჭედლებმა თავიანთი ხელობა უკეთესად შეისწავლეს და ერთს დღეს ასეთი ბაასი გაბეს: „ჩვენს ჭაობს ტყუილად ჩავციეებივართ – პურისათვის გამოუსადეგარია, დრო დაგვეკარგება, მეტი არაფერი. მოდი, ხვნა-თესვაზე სულ ავიღოთ ხელი და მხოლოდ ვჭედოთ რკინეულობა. რასაც გავჭედავთ, მეზობლებს პურში ან სხვა საჭირო საქონელში გაუცვალოთო“. პური და რკინეულობა ორსავე საზოგადოებას სჭირია, მაგრამ ახლა ისე მოეწყვნენ, რომ, საცა მიწა ნაყოფიერია, მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევდნენ, ხოლო სადაც ადგილი ჭაობიანია, რკინეულობას-ღა აკეთებენ და მერე თავიანთს ნაწარმოებს სცლიან. ამ ნაირად, საზოგადოებებმა შრომა გაინაწილეს: ერთი საზოგადოება მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევს, მეორე – მჭედლობას. ამ ნაირად შემოიღეს **შრომის განაწილება.** რადგან ყოველი საზოგადოება იმას აკეთებს, რაც ემარჯვება, შრომის განაწილება მრავალ საზოგადოებათა შორის ხდება, მერე კი ერთმანეთს უცვლიან თავიანთს ნაწარმოებს. ამავე დროს თვით საზოგადოების წევრთა შორისაც ხდება შრომის განაწილება. ერთი საშინელი ღონიერია, შეუძლია ხე ძირიანად მოსთხაროს, ყანაში მუშაობის დროს ბადალი არა ჰყავს; მაგრამ იმავე სამაგალითო მიწის მუშას წაღების შეკერვისა არა გაეგება-რა, ხეირიანად ძაფსაც ვერ გაუყრის. მეორე დაძაბუნებულია, ცულის აწევაც კი ემძიმება, მაგრამ წაღებს ჩინებულად ჰკერავს. ორსავე სჭირია პურიცა და წაღებიცა. რომ ტყუილად დრო არ დაკარგოს ან ერთმა და ან მეორემ, ორივე თავთავის საქმეს აკეთებს: მიწის მუშა ხნავს და სთესავს, მეწაღე – წაღებს ჰკერავს; შემდეგ

ერთი მეორეს უცვლიან თავ-თავიანთ ნაწარმოებს. ამ სახით შრომა ერთი მეორეში გაინაწილეს. საზოგადოთ, რადგან ყოველი კაცი ისეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, რაც უფრო ეხალისება და ემარჯვება, საზოგადოებაში შრომის განაწილება უეჭველად ხდება. თუ საზოგადოებაში 30 კაცია, მათ შორის 17 კაცი, მაგალითად, ხვნა-თესვას მისდევს. 2 მეწაღეა, 2 მჭედელია, 5 ხუროა და სხ. ყოველი მათგანი ერთ რასმე საქმეს აკეთებს, ხოლო ყველანი ერთად ამზადებენ ყველაფერს, რაც მთელ საზოგადოებისათვის არის საჭიროს: პურს, ცულს, წაღებს და სხ. საზოგადოების ყველა წევრები თანამშრომლობენ. მაგრამ მათი შრომა განაწილებულია: ყოველი მათგანი ერთს რასმე აკეთებს და ახსოვს, რომ ორის კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერს. შრომის განაწილება რომ ხელსაყრელია, შემდეგის მაგალითიდან დავინახავთ. მარჯვე მეწაღე ერთ წყვილ წაღას ორ დღეში შეჰკერავს, ხოლო თუ მჭედელმა სამჭედლოს თავი დაანება და წაღების კერვას მოჰკიდა ხელი, ერთს წყვილს წაღს ორ კვირაშიაც ვერ შეჰკერავს. ესევე დაემართება მეწაღეს, თუ დანის გაჭედვა განიზრახა. რაღა ბევრა გავაგრძელოთ, როცა შრომა განაწილებულია, ყოველი კაცი, ვისაც-კი რაიმე ხელობა აქვს აღებული, ეჩვევა და საქმეს უფრო კარგად და უფრო მარდად აკეთებს, ვიდრე ისა, ვინც ოც სხვა და სხვა საქმეს ეპოტინება.

შრომის განაწილების დროს შრომა უფრო სწრაფია, ანუ, როგორც ამბობენ, შრომას **ნაყოფიერება** ემატება.

რადგან შრომის განაწილების დროს ყოველი ადამიანი რაც მას სჭირია იმ ნაწარმოებთაგან მხოლოდ ერთ-ერთს რასმე აკეთებს, რაღა თქმა უნდა, თავისი ნაწარმოები, რაც აკლია, იმ ნაწარმოებზე უნდა გასცვალოს. მაგალითად, მეწაღემ, რომელიც მარტო წაღებსა ჰკერავს, თავისი შეკერილი წაღები პურსა, მარილსა, ტანისამოსზე და სხ. უნდა გასცვალოს. ამნაირადვე უნდა მოიქცნენ სხვა მწარმოებლნიც. ამიტომ საცა

შრომის განაწილებაა, იქ ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლაც უნდა იყოს.

ყოველი მწარმოებელი თავისთვის პირადად ცოტა ნაწარმოებს აკეთებს. მეწაღე, რომელიც წელიწადში 150 წყვილ წაღას შეჰკერავს, თავისთვის, სიტყვაზე, ორ წყვილს დაიტოვებს, დანარჩენ 148 წყვილს სხვა ნაწარმოებში გასაცვლელად ჰკერავს, და ამ 148 წყვილს ერქმევა **საქონელი**.

ყოველ ნაწარმოებს, რომელის კეთდება გასაცვლელად (ან გასასყიდათ), **საქონელი** ჰქვიან.

ამნაირად, ჩვენა ვხედავთ, რომ შრომის განაწილებას მოჰყვება ნაწარმოების გაცვლა და ამავე დროს ადამიანი იძულებული ხდება ნაწარმოები შეჰქმნას გასაცვლელად (ან გასასყიდად), – ე. ი. შეჰქმნას საქონელი.

თუ მოვიგონებთ, რაცა ვსთქვით ამ თავში, დავასკვნით, რომ გაჭირვება და უმწეობა ადამიანს აიძულებს თავისსავე

მზგავს ადამიანებს შეუერთდეს და დაიარსოს საზოგადოება, ერთი მეორეს მხარში ამოუდგნენ და თანამშრომლობა გაუწიონ. შემდეგ იმის გამო, რომ სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა ნაირი პირობებია ცხოვრებისა, ამასთანავე იმის გამო, რომ ერთი უფრო ღონიერია და მიხვედრილი, ვიდრე მისი მეზობელი, იბადება თანამშრომლობა და შრომის განაწილება როგორც თვით საზოგადოებათა, ისე ერთისა და იმავე საზოგადოებას წევრთა შორის. შრომის განაწილება, თავის მხრივ, ჰბადებს ნაწარმოებთა გაცვლას და გასაცვლელად ნაწარმოებთა შეჰქმნას – **საქონლის წარმოებას.**

მეორე თავი.

საქონლის ღირებულობა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის განაწილებას უეჭველად მოსდევს ხოლმე საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ახლა ის ვიკით-

ხოთ, როგორ უნდა გავიგოთ: ერთს საქონელში მეორე საქონელი რამდენი უნდა მივსცეთ.

ჯერ სულ უბრალო მაგალითი მოვიტანოთ. ვსთქვათ, მ,წაღეს უნდა ერთი წყვილი წაღები ფეიქარს გაუცვალოს ტილოში. თავისს წაღებში რამდენი ტილო უნდა აიღოს? რა თქმა უნდა, მეწაღე სცდილობს წაღებში რაც შეიძლება მეტი ტილო აიღოს, ხოლო ფეიქარი სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ტილო მისცეს წაღებში. როგორ მორიგდებიან? თუ მეწაღემ თავისს წაღებში მეტად ბევრი, მაგალითად, 40 ადლი ტილო სთხოვა, ფეიქარი, უეჭველია, ეტყვის: „უკაცრავად ბრძანდები! შენი წაღები ორს დღეში შეგიკერნია და მე კი 40 ადლ ტილოსა მთხოვ! ის როგორ არ გესმის, რომ მე 40 ადლ ტილოს მოქსოვას ოთხი დღე მოვანდომე!“ თუ კი, პირიქით, ფეიქარმა მეწაღეს ერთ წყვილ წაღებში მხოლოდ 10 ადლი ტილო შეაძლია, მეწაღეც ეტყვის: არა, ძამია, შენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია მოვიცვალე! ორი დღე წელში არ გავსწორებულვარ, სანამ ერთ წყვილ წაღების შეკერვას გავათავებდი; შენ კი 10 ადლი ტილო ერთ დღეში მოქსოვე! არა, ძმაო, მოგება უნდა, მაგრამ არც იმდენი, რომ ორის დღის ნამუშავარი ერთის დღის ნამუშავარში წაიღოს!" მაგრამ რადგან მეწაღეს ტილო პერანგისათვის სჭირია, ხოლო ფეიქარი, კარგა ხანია, უწაღოდ დარბის, უნდა როგორმე მორიგდნენ ერთიცა და მეორეცა. და აი ფეიქარი მეწაღეს რას ეუბნება: „ყური დამიგდე, ძმობილო. შენ შენი წაღები ორ დღეში შეგიკერნია. კეთილთ და პატიოსანი! მაშ იმდენი ტილო აიღე ჩემგან, რამდენსაც ორ დღეში მოვქსოვდი და აჰა 20 ადლი ტილო. ასე სამართლიანი იქნება: აღარც შენ იქნები წაგებული და აღარც მე.“ ორნივე მორიგდნენ.

დავინახეთ, რომ ფეიქარსა და მეწაღეს **საქონელი უნდა დაეფასებინათ იმ დროის დაკვალად, რამდენი დროც თითეულმა მათგანმა საქონლის გაკეთებას მოანდომა.**

რაღა თქმა უნდა, ყოველმა მეწაღემ არ იცის, რამდენს

ხანს ანდომებს ფეიქარი ერთ ადლ ტილოს მოქსოვას; მაგრამ არც ყოველმა ფეიქარმა იცის, რამდენს ხანში შეიკერება ერთი წყვილი წაღები. ამის მიზეზი ის არის, რომ შეუძლებელია ერთმა ხელოსანმა ყველა ხელობა იცოდეს. შეიძლება ხანდისხან ფეიქარმა და მეწაღემ ვეღარ გამოიანგარიშონ – თავიანთ გაკეთებულ საქონელში სხვისი გაკეთებული საქონელი რამდენი აიღონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თავიანთ საქონელს ფასს იმის კვალობაზე დაადებენ, რამდენი დროც იქნება საჭირო ამ საქონლის გასაკეთებლად. ვსთქვათ, მეწაღეებმა ფეიქრების მოტყუება განიზრახეს და ყოველ წყვილ წაღაზე 20 ადლ ტილოს მაგიერ 25 ადლი გამოართვეს. მაშინ მეწაღეობა უფრო ხელსაყრელი შეიქნებოდა, ვიდრე ფეიქრობა; მეწაღე არხეინად იცხოვრებდა, ხოლო ფეიქარს დღისა და ღამის სწორება დასჭირდებოდა. ყოველი ადამიანი იმასა სცდილობს, ის საქმე აკეთოს, რაც უფრო ადვილი და ხელსაყრელია, და ამიტომ ბევრი ფეიქარი თავის შვილებს მეწაღეობას ასწავლიდა და რამდენისამე წლის განმავლობაში მეწაღეები ისე გამრავლდებოდნენ, რომ მათ შეკერილ წაღებს მუშტარიც კი არ ეყოლებოდა. მაშინ მეწაღენი იძულებულნი გახდებოდნენ წაღებისათვის ფასები დაეკლოთ და თითო წყვილი დაეთმოთ არამც თუ ოც ადლ ტილოში, არამედ 15-საც დასჯერებულიყვნენ; ასე რომ ბოლოსა და ბოლოს მეწაღეობა ხელსაყრელი კი არა, საზარალო გახდებოდა და ამ ხელობას ცოტანი ღა გამოუდგებოდნენ; რა კი მეწაღეთა რიცხვი შემცირდებოდა, წაღების ფასი აიწევდა, ამიტომ რომ გასაცვლელი წაღები ცოტა იქნებოდა. თუ ფეიქრები მეწაღეებს, დურგლებს, მხვნელ-მთესველს მოატყუებდნენ, ამ შეთხვევაშიაც ასევე მოხდებოდა. ხალხი ფეიქრობას მოაწვებოდა, აუარებელ ტილოებს მოქსოვდა და ტილო ისე გაიაფდებოდა, რომ ეს ხელობა საზარალო გახდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ასე იქნებოდა თუ ისე, საქმე მაინც იმით გათავდებოდა, რომ საქონელის ფასის საზომად გახდებოდა ის დრო, რომელსაც მოანდომებ-

დნენ მის დამზადებას. მაშასადაშეშ როცა ერთ საქონელს მეორე საქონელში ვსცვლით, ვსცვლით ჩვენს სამსახურს, ე. ი. ერთი მეორეს თანაბარ დროს ვემსახურებით.

საქონლის დაფასება სხვაფრივ შეუძლებელიცაა. ერთის შეხედვით იქნება ვინმემ სთქვას, საქონელი იმდენად მეტად უნდა ფასობდეს, რაც უფრო სასარგებლოა ეს საქონელი ადამიანისათვისო. მაგრამ ასე რო ფასდებოდეს საქონელი, დომ-

ხალივით აგვერეოდა ყველაფერი. ამიტომ რომ, ვსთქვათ, მე დღეს მზადა ვარ ერთი სამად მივცე ერთ წყვილ წაღებში, რადგან არ მაცვია და ფეხებზე მცივა; ხვალ კი წაღები მუქ-თადაც რომ მომცეთ, არ მინდა, რადგან გუშინ ვიყიდე და ჩავიცვი. ესეც რომ არ იყოს, ძნელია იმისი თქმა, რომელი საქონელია უფრო სასარგებლო, უფრო საჭირო? დღეს წაღები მჭირია, ხვალ ტილო. დღეს, სიტყვაზე, პური მუქთადაც არ მინდა, ხვალ კი პურიც დამჭირდა, წაღებიცა და ტილოცა. ჰაერი ანუ წყალი ყველასა სჭირია, ყველასათვის აუცილებე-ლია, მაგრამ ერთშიაც და მეორეშიაც ფულს არავინ იხდის, ამიტომ რომ ჰაერიცა და წყალიც ადამიანს თავისის შრომით კი არ უშოვნია, არამედ ბუნებამ მისცა უსასყიდლოდ. მაგრამ იმავე წყალში ფული უნდა გადაიხადოთ, თუ მის მოსაპოებლად შრომაა საჭირო, მაგალითად, ქალაქებში თუ წყლის მზიდველს ფული უნდა აძლიოთ, ფულივე უნდა იხადოთ წყლის საყვანისათვის. მაშასადამე, საქონელი ფასდება იმ შრომით, რომელიც ამ საქონლის გაკეთებაზე ან მოპოვებაზე გაგვიწევია.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ წარმოვიდგინოთ ასეთი შე-მთხვევაც. ჩვენს მეწაღეს, რომელსაც უნდა თავისი შეკერილი წაღები ფეიქარს ტილოზე გაუცვალოს, ლოთობა უყვარს და ერთ წყვილ წაღების შეკერვას, სხვა რომ ორ დღეს ანდო-მებს, ამან მთელი ოთხი დღე მოანდომა. აქაო და ოთხი დღე მოვანდომეო, ადგა და ფეიქარს ოც ადლის მაგივრად ორმო-ცი ადლი მოსთხოვა. „მე ოთხ დღეს ეიწყალებდი თვალებს ჩემ წაღების შეკერვაში, ამიტომ შენც იმდენი ტილო მომეცი,

რამდენიც ოთხ დღეში მოგიქსოვია. გადამიჭერ ორმოცი ად-ლი ტილო!" მაშინ, რა თქმა უნდა, ყველ ფეიქარი მოუჭრი-და სიტყვას ჩვენს მეწაღეს: „შენ, ჩემო ძამია, უკეთესს იზა-მდი, კიდევ მეტი გელოთნა და მხართეძოზე წოლილიყავ, მა-შინ ოთხი კი არა, ათს დღესაც ვერ მორჩებოდი ერთ წყვილ წაღების შეკერვას. ამიტომ შეგეძლო ვინმე სულელისათვის 100 ადლი ტილო მოგეთხოვნა. მე კი ისეთს მეწაღეს მოვძე-ბნი, ვინც ერთ წყვილ წაღის შეკერვას ორ დღეს ანდომებს და მეც ოც ადლ ტილოზე მეტს არ მომთხოვს“. ფეიქარი, რა თქმა უნდა, ასე ეტყვის და მეწაღეც იძულებული იქნება ოც ადლ ტილოში მისცეს თავისი საქონელი, თუ წაღებიანად შინვე დაბრუნება არ უნდა. მაშასადამე, მეწაღეს, რომელ-მაც ორის დღის გასაკეთებელ საქმეს ოთხი დღე მოანდომა, უფლება არა აქვს 20 ადლზე მეტი მოითხოვოს

ამიტომ ჩვენმა მეწაღემ თავისი საქონელი იმის მიხედვით კი არ უნდა დააფასოს, თუ რამდენი დრო მოანდომა მისს გაკეთებას, არამედ იმის მიხედვით, თუ **ნამდვილად რამდენი დრო სჭირია,** რომ ერთი წყვილი წაღები შეჰკეროს. თუ ყველა მეწაღენი ერთ წყვილს წაღებს ორ დღეში ჰკერავენ, წაღებსაც ორის დღის შრომის ფასი ექნებათ, თუნდაც რომ რაიმე შემთხვევით მეტი ხანი მოენდომებინოს რომელსამე მე-

წაღეს ერთ წყვილ წაღების შეკერვისთვის.

ერთი სიტყვით, ჩვენი ხელოსნები როცა საქონელსა სცვლიან, ამ საქონელს უნდა აფასებდნენ იმ დროის მიხედ-ვით, რამდენიც საჭიროა ამ საქონლის გასაკათებლად, ანუ, როგორც ამბობენ, საქონლის ღირებულება განიზომება იმ შრომის რაოდენობით, რომელიც საქონლის შესაქმნელად არის საჭირო. ეს კანონი კარგად უნდა დავიხსომოთ, თორემ უმისოდ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებთ იმ ქონებრივ ურთიერთო-ბას, რომლისაგან ასე მწარედ იჩაგრება მშრომელი ხალხი.

მესამე თავი.

ფული.

წაღები და ტილო, როგორც ზემოდ დავინახეთ, ერთი-მეორეზე მაშინღა იცვლებოდა, როცა ერთზედაც და მეორე-ზედაც ერთი და იგივე დრო იყო წასული *). ერთ წყვილ წაღებში, რომლის შეკერვას ორი დღე სჭირდებოდა, მეწაღეს აძლევდნენ 20 ადლ ტილოს, რომლის მოქსოვასაც ორი დღევე სჭირდებოდა. საზოგადოდ ყოველი ბაზარზე გამოტანილი საქონელი იცვლებოდა მეორე საქონელში ისე, რომ როგორც პირველ, ისე მეორე საქონლის გაკეთებაზე ერთი და იგივე დრო უნდა ყოფილიყო წასული. მაგალითად, თუ ერთ კოდ პურის მოყვანას 2 დღე უნდებოდა, ერთ წყვილ წაღის შეკე-რვასაც – 2 დღე, 20 ადლ ტილოს მოქსოვასაც – 2 დღე, 5 ადლ მაუდის მოქსოვასაც – 2 დღე, ერთ სარკის გაკეთებასაც – 2 დღე, ყველა ეს საქონელი ერთი-მეორეზე გაიცვლებო-და, ასე რომ ერთ წყვილ წაღებში მოგცემდნენ ორ კოდ პურს ან 20 ადლ ტილოს ან 5 ადლ მაუდს ან ერთ სარკეს. ხოლო თუ სარკის გასაღება გინდოდათ, იმაში მოგცემდნენ: 2 კოდ პურს ან 20 ადლ ტილოს ან 5 ადლ მაუდს და სხვა.

ახლა წარმოვიდგინოთ ამნაირი შემთხვევა. ჩვენს მეწაღეს ტილო სჭირია. შეჰკერა ერთი წყვილი წაღები და ფეიქართან გასწია. მისდა საუბედუროდ, ფეიქარს წინადღით ეყიდნა წა-ღები და უარზეა – ტილოს ვერ გაგიცვლი წაღებში „ორ წყვილ წაღებს რა თავში ვიხლი; აი ცოლის საკაბე მინდა და

---

*) ასე იყო ძველად, როცა ადამიანები საქონელს ერთი-მეორეს უცვლიდნენ. ამ გაცვლა-გამოცვლის საშუალებით ადამიანები ერთი-მეორისათვის შრომობდნენ, ერთი-მეორეს ემსახურებოდნენ ისე, რომ ერთი-მეორეს არ აზარალებდნენ: ერთი კაცი მეორისათვის დაახლოვებით იმდენს შრომობდა, რამდენსაც მეორე კაცი პირველისათვის აკეთებდა.

თუ შესაფერი საქონელი გაქვს რამე, სამაგიეროდ ტილოს

დიდის სიამოვნებით მოგცემო“. მეტი გზა არაა, მეწაღე მეორე ფეიქართან მიდის, მერე მესამეს მიადგა კარზე – იგივე პასუხი მისცეს: წაღები აღარ გვჭირიაო. ნეტავი მეპურე მაინც ვიყოვო, – ნატრობს ჩვენი მეწაღე, – პურს გასავალი ყოველთვისა აქვს: დღეს რომ სჭამ, ხვალაც მოგინდება ჭამა; სხვა საქონელზე უფრო ადვილად პურს გაცვლი კაციო. მის ბედად მეპურემ წაღები გამოართვა და მაგიერში პური მისცა; მეწაღემ პური ფეიქარს წაუღო და იმანაც, როგორც იყო, ტილოში გაუცვალა. მაგრამ მეპურეც ბედს ემდუროდა: მართალია, მისი საქონელი ყველასა სჭირია, უიმისოდ ვერავინ გასძლებს, მაგრამ ხანდისხან მისი გასაღებაც გასჭირდება ხოლმე: მაგალითად, მეჯოგეს ძროხა ჰყავს, რომელიც მეპურეს სჭრიდება. მეჯოგესაც პური ყოველდღე სჭირდება, მაგრამ თავისს ძროხაში აუარებელი პური უნდა გამოართვას და სანამ ყველას შესჭამდეს, სულერთიანად დაუობდება და გადასაყრელი გაუხდება. მაგრამ ამ მხრივ აღარც მეჯოგის მდგომარეობაა სახარბიელო: ძროხა ყველას სჭირდება და არც პურსავით ობდება; მაგრამ დასჭირდა, ვსთქვათ, ნემსი. ძროხა გინდა ცხვარი ნემსზე როგორ ღა გასცვალოს? ნემსებს იმდენს მისცემენ, რომ მთელი მისი სიცოცხლე აღარ გამოელიოს. მაშასადამე უფრო ხელსაყრელია და უფრო ადვილია ისეთ საქონლის გაცვლა, რომელიც ადვილი შესანახავი და გასასაღებელია. ასეთ საქონელში ყველა გაგიცვლის თავისს საქონელს; ეს საქონელი თუ ამ წუთას არა გვჭირია, შეგვიძლია შევინახოთ; განსაკუთრებით თუ ეს საქონელი მალე არ ფუჭდება და მისი დანაწილება შეიძლება, მაშინ ამ საქონლისათვის დიდ ნივთსაც მოგცემენ და პატარასაც. ასეთი საქონელი იგივე ჩვენებური ფულია: იმით შეგიძლია რაც გინდა, ის იყიდო და რაც გინდა, ის გაჰყიდო. პირველად ყველანი სცდილობდნენ თავისი საქონელი ამ საქონელში გაეცვალათ და მერე იმით შეეძინათ, რაც

თვითონ სჭიროდათ. ასეთი საქონელი, ამ ნაირად, თანდათან გაცვლა-გამოცვლის საშუალებად ხდებოდა. *)

როცა ფულში გაჩნდა, გაადვილდა ყოველგვარ საქონლის ფასის შეტყობა, გაადვილდა მათის ღირებულების მიხედვით

---

*) სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ალაგას ამისთვის ადამიანები სხვა და სხვა საქონელს ხმარობდნენ. უმეტეს შემთხვევაში ისეთ საქონელს ირჩევდნენ, რომელიც მავან ქვეყანაში სხვა საქონელზე მეტი იყო. ზოგან, საცა გარეული ნადირები ბევრი იყო, მათს ტყავებს სცვლიდნენ სხვათა საქონელში. ჩვენში, მაგალითად, ოთხფეხ საქონელსა ცვლიდნენ და ამბობდნენ: ესა და ეს საქონელი ამდენი და ამდენი ძროხა ანუ ცხვარი ღირსო. დღესაც არიან ველურები, რომლებიც გასაცვლელად ლოკოკინების ნაჭუჭებს ხმარობენ (ამ ნაჭუჭებს სამკაულად ხმარობენ და ძალიანაც უყვართ); ამ ნაჭუჭებს ზღვის ნაპირას აგროვებენ, ძაფზე აასხამენ და სხვა საქონელში სცვლიან.

მაგრამ ყველა ამ საქონლის გაცვლა სხვა საქონელში მაინც და მაინც მოსახერხებელი არ არის. მათი ღირებულება (თუ დავაფასებთ იმ შრომის მიხედვით, რომელიც მათთვის მოგვინდომებია) ყოველ წელიწადს იცვლება: ხან აიწევა, ხანაც დაიწევა. მაშასადამე, დანამდვილებით

თავის დღეში არ გეცოდინება, შენს საქონელში რამდენს მოგცემენ ისეთს საქონელს, რომლის გაცვლა სხვა საქონელში ადვილად შეიძლება. ეს, რა თქმა უნდა, უხერხულია. ისიც უხერხულია, რომ ეს საქონლები (პური, ოთფეხი საქონელი, ბეწვეულება) მალე ფუჭდებიან, მათი შენახვა ადვილი არ არის და ბევრს ადგილსაც იჭერენ. ამიტომ ბოლოსა და ბოლოს ადამიანებმა თავიანთ საქონელს ისეთ საქონელში დაუწყეს გაცვლა, რომლის ღირებულება ხშირად არ იცვლება, რომელიც მალე არ ფუჭდება და დიდს ალაგს არ იჭერს. ეს საქონელი – ოქრო და ვერცხლი. მათი ხმარება გაცვლა-გამოცვლისათვის კიდევ იმით არის სამარჯვო, რომ ოქროსა და ვერცხლის ნაწილებად დაყოფა შეიძლება და ყოველს სულ მცირედს ნაწილს თავისი ფასი ექნება; მაშასადამე ოქროსა და ვერცხლზე შეგიძლია გასცვალო როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც ძვირფასი, ისე იაფფასიანი საქონელი. ამასთან ვერცხლის ნაწილებს, როცა გინდა, ისევ ერთად დაადნობ, სხვა საქონელს კი, თუ კი ერთხელ დაშალე ან დასჭერი, მერე ფუჭდება. ოქროსი და ვერცხლის ნაწილები ერთმანეთის მგზავსია, ბეწვეულისა კი არა; ერთი ბეწვეული მეორე ბეწვეულის ფასისა იშვიათად იქნება. რომ ვსთქვათ, რომ ძროხა ხუთ

ერთმანეთთან შედარება. ყველა საქონელს ფულად აფასებდნენ, ეს სწორედ სასწორს მოგვაგონებს. რო აიღო ორი ქვა და ცალ-ცალკე სასწორზე ჩამოსდო, ვერ გაიგებ ერთი მეორეზე რამდენჯერ არის უფრო მძიმე, რა განსხვავებაა მათ შორის. სულ სხვა საქმე იქნება, როცა ცალ მხარეზე გირვანქიანებს დააწყობ და ისე ასწონი ერთს ქვასაც და მეორესაც. რიოგორც გირვანქიანია წონის შესატყობად შემოღებული, ისე ფულიც იმისათვისაა შემოღებული, რომ გაიგო ამა თუ იმ საქონლის ღირებულება.

მაგრამ გირვანქიანით სხვა ნივთების აწონვა იმიტომ შეიძლება, რომ თვითონ გირვანქიანიც იწონის. ფულიც ასეა. ფულით სხვა საქონლის დაფასება იმიტომ შეიძლება, რომ თვითონ ფულს თავისი საკუთარი ღირებულება აქვს. ეს ფული ვერცხლისა და ოქროსაგან არის გაკეთებული, ხოლო ოქროცა და ვერცხლიც ისეთი საქონელია, რომ გასავალი აქვს. ვერცხლს მარტო მაშინ კი არა აქვს ღირებულება, როცა ის ფულადაა მოჭრილი. ვერცხლის ჭურჭელსა, ვერცხლის სამკაულს იმაზე ადრე ჰქონდა გასავალი, სანამ ვერცხლისაგან ფულის მოჭრას დაიწყებდნენ. ვერცხლისაგან ფულის მოჭრა იმიტომ დაიწყეს, რომ ვერცხლის ღირებულება ურყეველია, სანდოა, მისს თუნდა სულ პატარა ნაწილებსაც დიდი ფასი აქვს,

---

მეტის ტყავად ღირსო, ამით ძროხის ნამდვილ ფასს ვერ გამოვხატავთ. ტყავიც არის და ტყავიცა! ტყავია, რომ სამ ძროხადა ღირს. ოქროსი და ვერცხლის საქმე სულ სხვაა. ნამდვილი ვერცხლი სულ ერთგვარია.

და აი იმისთვის რომ გაცვლის დროს უფრო ადვილი სახმარებელი ყოფილიყო, ვერცხლის ზოდი თანასწორ წონის ნაჭრებად აქციეს. პირველად ეს ნაჭრები სხვა და სხვა სახისა იყო, შემდეგში კი ისე დაუწყეს კეთება, რომ ყველა ნაჭერი ერთმანეთს მგვანებოდა. რომ არავინ მოეტყუებინათ და რომ ვერცხლისათვის სხვა რამე არ შეერიათ, თვითონ სახელმწიფომ იკისრა ამ ვერცხლის მოჭრა და ზედ სახელმწიფო ნიშანი და განსაკუთრებული წარწერაც გაუკეთა. წინანდელ უბრალო ნაჭრების მაგიერ ახლანდელი ფული გაჩნდა.

არა ფუჭდება და სხ. ერთის სიტყვით, საქონელის გასაცვლელად მარჯვე სახმარებელია.

თუ მიწიდან ოთხ მისხლიან ვერცხლის ნაჭრის ამოღებას ერთი ის შრომა სჭირდება და ერთის ქუდის შეკერვასაც ერთი დღე სჭირდება, ქუდის ღირებულებაც იმდენივე იქნება, რაც ოთხ მისხლიან ვერცხლის ნაჭრისა. ვერცხლის ამ ნაჭრისაგან მანეთიან ფულს აკეთებენ. აი ფული ამნაირად ჩნდება. აქედან ვხედავთ, რომ ფულიც იგეთივე საქონელია, როგორც სხვა ყველა საქონელი. ფულის ღირებულება იზომება იმით, თუ რამდენი შრომა დასჭირდა მიწიდან ლითონის ამოღებას და მისს დამუშავებას და რადგან ლითონი ნაღდი საქონელია, რადგან მას ღირებულება სულ მუდამ აქვს, მისს ამ სახით საქონელი ლითონი ფულად იქცევა ხოლმე. როცა სხვა და სხვა საქონლის ღირებულებით ხორბლის ღირებულებას ვაფასებდი, ვამბობდი, რომ 20 ადლი ტილო, ანუ 5 ადლი მაუდი, ანუ ერთი წყვილი წაღები 4 ფუთ ხორბლად ღირს მეთქი. ხოლო როცა საქონლის ღირებულებას ფულის ღირებულებით ვაფასებ, ვამბობ, რომ 20 ადლი ტილო ანუ 5 ადლი მაუდი, ანუ ერთი წყვილი წაღა ღირს 4 მანეთად. (ვერცხლის 4 ნაჭრად). მაშასადამე, ფული ისეთი საქონელია, რომელიც სხვა საქონლის ღირებულებას გვიჩვენებს, ანუ **ფული** – საქონლების **ღირებულების საზომია.**

ბაზარზე ფული საქონლის ღირებულობას გვიჩვენებს და გაცვლა გამოცვლის დროს ფული ყოველგვარ საქონლის მაგიერად იხმარება (ფულად რა საქონელიც გინდა, იმას იყიდი), ესე იგი, ფული საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშუალებაა. ფულიც იმგვარივე საქონელია, როგორც სხვა ყველა საქონელი; ფულს ღირებულება იმიტომ აქვს, რომ მიწიდან ლითონის ამოსაღებად შრომაა საჭირო. მხოლოდ ამიტომაა, რომ ფულად ბაზარზე ყოველგვარ საქონლის შეძენა შეიძლება. და მართლადაც, წყალში მოცურავე თევზისათვის,

რომელსაც არავითარი ღირებულება არა აქვს, თავისს საქონელს ჭკუათამყოფელი არავინ გაცვლის.

ახლა ის ვიკითხოთ, ქაღალდის ფული რაღაა? ქაღალდის ფული ადვილი საკეთებელია: ერთს დღეში შეიძლება ათიათასობით დამზადდეს, ხოლო ბაზარზე ამ ერთის დღის გაკეთებულ ქაღალდის ფულით შეგიძლიათ იმდენი საქონელი იყიდოთ, რომლის გაკეთებას მთელის წლის შრომა მოანდომეს. თითქო ფულის ღირებულება იმაზე სრულებით არ იყოს დამოკიდებული, თუ რამდენი შრომაა გაწეული მათს გაკეთებაზე? თითქო ქაღალდის ფულში რაღაც განსაკუთრებული ძალა იყოს და იმაში რამდენიც გვინდა, იმდენს საქონელს გაგვიცვლიან იმ დროს, როცა თვით ქაღალდს კი ერთის ბისტის ფასიც არა აქვს. ცოტა მოგვითმინეთ. იქნება, აქაც მოვახერხოთ ცხრა

კლიტულის გაღება. როცა მიწას გულიდან ვერცხლს ანუ ოქროს ამოვაცლით და, როგორც წესია, დავიმუშავებთ, უნდა თანასწორ ნაჭრებად დავანაწილოთ და გავაკეთოთ თუმნიანი, ხუთმანეთიანი, მანეთიანი და სხ. თუ, სიტყვაზე, ერთის მანეთის ვერცხლის ამოღებას და მისგან მანეთიან ფულის გაკეთებას ერთის დღის შრომა სჭირია, ხოლო, ქუდის შეკერვასაც ერთის დღის შრომა უნდება, ქუდი ერთ მანეთის ვერცხლად ეღირება. მანეთიანმა ხალხში ტრიალი დაიწყო. ვინ იცის, რამდენ კაცის ხელში გაივლის, რამდენ კაცის ჯიბეში ამოჰყოფს თავს! ასე ალილოზე ივლის ჩვენი მანეთიანი, ვსთქვათ, ათის წლის განმავლობაში. ბოლოს რო დახედავ, დაინახავ, რომ თავისი პირვანდელი სახე არც-კი შერჩენია: დაფხაჭნილია, გალესილა, არწივი წაშლია; ძლივას გაარჩევ წარწერას: „ვერცხლის მანეთიანი ფული“. თუ სასწორზე შეაგდე, დაინახავ, რომ მეოთხედი წონა დაჰკლებია. მაშასადამე რაკი წინედ რომ ჰქონდა, იმ წონის მეოთხედი აღარა აქვს, ახლა გალესილ მანეთიანის ღირებულებაც მეოთხედით ნაკლები უნდა იყოს. მაგრამ ბაზარზე რო გამოხვიდე, თუნდა გალესილი მანეთიანი გქონიათ და თუნდა ახალთახალი, სულ ერთია, –

ერთ ქუდს მაინც იყიდი. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? აი რა: მექუდემ, რომელიც თავისს ქუდში გალესილ მანეთიანს ღებულობს, კარგად იცის, რომ ამ მანეთიანში ვერცხლი ნაკლებია, ვიდრე ახალთახალში და რომ ამიტომ თავისს ქუდში სრულს ღირებულებას ვერ აიღებს (4 მისხალ ვერცხლის მაგიერ 3 მისხალს ღებულობს); მაგრამ მექუდე ასე ფიქრობს: ეს ვერცხლი ქამრისათვის ხომ არ მინდა; ჩემთვის სულ ერთია, რამდენსაც იწონის. მე ის მინდა, ზედ ეწეროს, რომ მანეთია და ამ მანეთიანით ჩანახ სიმიდის ან ერთის ქუდის ყიდვა შემეძლოს. რადგან ფულის თავი და თავი სამსახური ის არის, რომ გვიჩვენოს ღირებულება და იმაში საქონელი გაგვიცვალონ, ბაზარზე, თითქო ყველამ პირი შეჰკრაო, იმას უყურებენ, თუ რა აწერია ფულს და არა იმას, თუ რისგან არის გაკეთებული ეს ფული. განა სულ ერთი არ არის – კენჭზე იქნება დაწერილი ეს „მანეთი“ არისო, თუ ჭიჭზე? საქმე ის არის, ბაზარზე ყველამ სთქვას, რომ ეს მანეთიანია და იმით შეიძლებოდეს ერთ ჩანახ სიმიდის ან ქუდის ყიდვა. აი სწორედ ამიტომ გაჩნდა ქაღალდის ფული. მთავრობა ბრძანებს – დაბეჭდეთ ქაღალდები და ზედ დააწერეთო: „ერთის მანეთის ვერცხლი“, „სამის მანეთის ვერცხლი“ და სხ. და ბაზარზედაც ეს ქაღალდები ყველამ ვერცხლის ფულად უნდა მიიჩინოს. ყოველივე ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ საქონელმა-ფულმა უნდა გვიჩვენოს სხვა საქონლის ღირებულობა, ხოლო საქონლის ღირებულების ჩვენება ქაღალდის ფულსაც იმნაირადვე შეუძლია, როგორც ვერცხლის ფულს. ამნაირად ცოტ-ცოტათი ბაზარზე საქონელ-ფულისაგან რჩება მხოლოდ მათის ღირებულების ნიშანი, ქაღალდზე დაბეჭდილი – ქაღალ-

დის ნიშანი ანუ ქაღალდის ფული. ხოლო ლითონის ფული საწყობებში აწყვია, რომ ხმარების დროს არ გაილესოს. მის მაგიერ ქვეყანაზე ქაღალდი ტრიალებს. და ამ ქაღალდზე სწორედ ამიტომ აწერია: „როცა წარადგენთ სახელმწიფო ბანკის დასახურდავებელ კასაში, ამდენი და ამდენი ოქროს

ან ვერცხლის ფული მოგეცემათო“. ქაღალდის ფული მოწმობაა – საწყობში ამდენი და ამდენი ოქროს და ვერცხლის ფულიაო და აი ფასიც სწორედ ამიტომ აქვს. და ხვალ რომ რომელიმე დესპოტმა გამოშვებულ ქაღალდის ფულის მაგივრად რაც საწყობში ოქროსა და ვერცხლის ფულია, გაჰფლანგოს, აბა უბედურება მაშინ დატრიალდება! ვსთქვათ, ჩვენებურს ვაჭარს საზღვარგარედ საქონლის ყიდვა მოუნდა. უცხოეთში ქაღალდის ფულს მაინც და მაინც ნდობის თვალით არავინ უყურებს. თუ იქ ყური მოკრეს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ხაზინაში ნამდვილი (ლითონის) ფული შეთხელდაო, მაშინათვე ქაღალდის მანეთიანში ათ შაურსაც არ მოგცემენ. ამიტომ თუ იქაურებთან საქმის გაკეთება გინდა, წარუდგინე ნამდვილი ოქრო ანუ ვერცხლი. ჩვენი ვაჭარი სახელმწიფო ბანკს ეძგერება, არიქა ქაღალდის ათას მანეთის მაგივრად ოქროს ათასი მანეთი მომეცითო; მოდის მეორე ვაჭარი და იმასვე თხოულობს, მოდის მესამე, მეოთხე. მაგრამ მერე და მერე მოსულ მთხოვნელს ბანკმა უარი უნდა უთხრას. ქურდობაც თავს გამოჰყოფს. აღმოჩნდა, რომ ქაღალდის ფული დაუბეჭდნიათ, კარგი რომ მისი კეთება ასე იაფად ჯდება, მაგრამ ნამდვილი ფული კი გაუფლანგავსთ. ხოლო თუ ქაღალდის ფული ოქროსა და აწ ვერცხლის ფულზე ვერ დაგიხურდავეს, მაშინ შენ ქაღალდის ფულს უბრალო ნახევ ქაღალდის ფასიც აღარ ექნება. ხაზინა საქვეყნოდ უნდა გამოტყდეს, რომ მისი საქმე ცუდადაა. მანეთიან ქაღალდის ფულში მანეთის ოქროსა და ანუ ვერცხლს ვერ მოგვცემს, არამედ მოგვცემს სამ-აბაზ ნახევარს, სამ აბაზს და, შეიძლება, ათ შაურსაც დასჯერდითო, გვითხრას. ხაზინა ამ შემთხვევაში სწორედ იმ ვაჭარს მოგვაგონებს, რომელმაც წააგო საქმეები, მერე ვექსილები გასცა და თავის თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

მდაბით და უსწავლელი ხალხი ხშირად ვერც კი მიხვდება ამ ეშმაკობასა და თვალთმაქცობას. ზოგჯერ წუწუნს მოჰყვებიან და ერთიმეორეს ეკითხებიან, – რა მიზეზია, რომ საქონელი ასე გაძვირდაო. მიზეზი კი ის არის, რომ საქონელი კი არ გაძვირებულა, არამედ ფულია, რომ გაიაფდა. ხაზინამ ბევრი ქაღალდი გამოუშვა, გულუბრყვილო ხალხმა ეს ფული ფულად მიიჩნია, დაირიგა და ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ხაზინა უკანონოდ მოქცეულა: ქაღალდის ფული იმაზე მეტი გამოუშვია, რაც ოქროსა და ვერცხლის ფული ეწყო საწყო-

ბებში; საზღვარგარეთ ეს გაუგეს, რუსულ ქაღალდის ფულში წინანდელზე ნაკლებ საქონელს იძლევიან, როცა უცხოეთის საქონელი გაძვირდა, ცოტ-ცოტათი ჩვენი საქონელიც გაძვირდა.

ასეთი ამბები რუსეთში ხშირად მომხდარა. ავიღოთ, მაგალითად, ძველებური ხუთმანეთიანი ოქროს ფული და შევადაროთ ახლანდელ ხუთმანეთიანებს. ბრმაც კი დაინახავს, რომ ძველ ხუთმანეთიანში ოქრო მეტია, ვიდრე ახლანდელში, და ახლანდელზე მეტიცა ღირს, თუმცა ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ფასი აწერია. ასე რომ თუ დაწვრილებით გავიეგეთ, როგორ გაჩნდა ქაღალდის ფული და დღევანდლამდე მისი ღირებულება როგორ იცვლებოდა, დავინახავთ, რომ ხალხი ნამდვილ ბოროტმოქმედების მსხვერპლი ყოფილა და არის.

ამგვარად ლითონის ფული ისეთი საქონელია, რომელიც გვიჩვენებს სხვა საქონლის ღირებულებას, ღირებულების საზომია და გაცვლა-გამოცვლის დროს სხვა ყველა საქონლის მაგივრად იხმარება – ანუ სხვა და სხვა საქონლის გასაცვლელი საშუალოებაა. ქაღალდის ფული კი – ლითონის ფულის ღირებულების ნიშანია, და ეს ნიშანი საერთო სურვილის (ნებსით თუ უნებლიეთის) თანახმად ლითონის ფულის მაგივრად იხმარება საქონლის გასაცვლელ საშუალებად. ამით ვათავებთ ფულის შესახებ საუბარს.

– 26 –

მეოთხე თავი.

მოთხოვნილება და წინადადება. შეცილება.

აქამდე ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით, რომ საქონელი ბაზარზე იყიდება ანუ სხვა საქონელზე იცვლება მისის ღირებულების მიხედვით, ე. ი. იმ შრომის მიხედვით, რამდენიც მის დასამზადებლად იყო გაწეული. ეს ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბაზარზე საქონელი ხან იმაზე მეტად იყიდება, რაც დაჯდა მისი დამზადება და ხანაც იმაზე ნაკლებად. დავხედოთ, როგორა ხდება ეს ამბავი. მეწაღემ, ვსთქვათ, ორ დღეში შეჰკერა ერთი წყვილი წაღა. გაყიდვის დროს კანონით უნდა აიღოს 4 მანეთი ვერცხლის ფული, რომლის გაკეთებაზედაც სწორედ ორის დღის შრომაა წასული. მეწაღეს თავისი წაღები ბაზარზე გამოაქვს. შემთხვევით სწორედ იმ დროს ბაზარზე წაღები ცოტა გამოეტანათ და მყიდველები კი ბევრნი აღმოჩნდნენ: სალდათები ლაშქრად მიდიოდნენ; ყველას წაღებს ტყავის მაგივრად ქაღალდის ძირები ჰქონოდათ და ახალ წაღების ყიდვა დასჭირდათ. იქაური მეწაღეები ამ ამბავს სრულებით არ მოელოდნენ და მოულოდნელ მუშტრისათვის ზედმეტი წაღები არ შეუკერიათ. სალდათები ჩვენს მეწაღეს შე-

მოეხვივნენ. „რა ღირს, ძმობილო?“ ქკითხება ერთი. – ოთხი მანეთი, – უპასუხებს მეწაღე. ერთმა სალდათმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ამ დროს მეორემ დაუძახა: „მე მომეცი, ორ შაურს მეტს მოგცემ, ოღნდ მე მომყიდე: ვერა მხედავ, ფეხები მიჩანს!" – მომატება თუა, მე ხუთს შაურს მოუმატებ! – იძახის მესამე. – ოთხი და ათი შაური! – ჰყვირის მეოთხე. – ხუთი მანეთი! – მოისმა მეხუთის ხმა. ყველა მხრიდან ყვირილი ისმოდა; ჩვენი მეწაღე გამოშტერდა და ფარეხში დამწყვდეულ მგელსავით იყურებოდა იქით-აქით. ამასობაში ერთმა სალდათმა ხელში ხუთ მანეთიანი ჩააჩეჩა და წაღები გამოართვა. მეწაღემ ხუთმანეთიანს ხელი მაგრა მოუჭირა, არავინ წამარ-

თვასო და შინისაკენ მოჰკურცხლა, გახარებულია: ოთხ მანეთის მაგივრად ვიღამაც მოულოდნელად ციდან ხუთმანეთიანი გადმოუგდო. ეს ამბავი სხვა მეწაღეებმაც გაიგეს და სთქვეს: არიქათ, თითო წყვილ წაღაში ზედმეტ მანეთს იძლევიან, მოდი, გულმოდგინედ შეუდგეთ მუშაობასაო. შეუდგნენ მუშაობას და მომავალ ბაზრობისთვის მთელი ყორე დააყენეს წაღებისა: ყველას იმედი ჰქონდა, თითო მანეთს ზედმეტს ავიღებთო, მაგრამ მათ იმედს კბილები მოეჭრა. სალდათების კვალიც კი აღარ ჩნდა. დარჩნენ მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტრები, რომელთაც ამდენი წაღები აღარ სჭიროდათ. მეწაღეებმა ცხვირები ჩამოუშვეს. ხოლო მყიდველები მიხვდნენ, ეგ არის, დაგვიდგა და ხელიდან არ გაუშვათო: მოდი, იაფად დავაძროთ წაღებიო. მყიდველი ერთ მეწაღეს შეევაჭრა: რა ღირს წაღებიო? მეწაღე ხედავს, რომ ის დრო წავიდა, როცა ხუთმანეთად შეეძლო გაესაღებინა წყვილი წაღა და ნამდვილი ფასი უთხრა: ოთხი მანეთითიო. – სამს კი არ დამჯერდები? – ღმერთი არა გწამს, – უთხრა თითქმის ატირებულმა მეწაღემ, – თვითონ იცი, ორი დღე თავაუღებლად ვკერავდი და ორის დღის ნამუშავარში სამი მანეთი უნდა მომცე? – კიდეც რომ ნაზობს. – იცინის მყიდველი: – ვერა ხედავ, მეწაღეები როგორ გამრავლდნენ, აქეთ შემომეხვეწებით, – შენი ჭირიმე, სამ მანეთად მიირთვიო! მეწაღეს მოაგონდა, რომ შინ ცოლშვილი უტირის შიმშილისაგან და იფიქრა, თუ მე არ მივეცი სამ მანეთად, მეორე მისცემს და მე კი მშიერი დავრჩებიო. მეტი გზა ხომ არა ჰქონდა, წყვილი წაღა სამ მანეთად დაუთმო. სხვებმაც, ვისაც კი უჭირდა, ამავე ფასად გაყიდეს თავისი წაღები. ხოლო ვისაც შინ პური ჰქონდა, თავისი წაღა უკანვე წამოიღო.

მეწაღეებმა დაინახეს, რომ მეტად ბევრი წაღები შეუკერიათ. თუ ასე ვიმუშავეთ, იძულებული ვიქნებით წყვილი სამ-სამ მანეთად ვიყიდოთო. ასწიეს და წაღების კერვას უკლეს: ზოგი სხვაგან წავიდა, ზოგმა სხვა უფრო სახეირო საქმეს მოჰ-

კიდა ხელი. ბაზარზე გასაყიდ წაღებმა იკლო. დარჩენილმა მეწაღეებმა გული გაიკეთეს და წყვილ წაღას სამ მანეთად აღარ უთმობდნენ მუშტარს.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ წყვილი წაღა ხან ძვირად იყიდებოდა და ხან კიდევ იაფად. წაღის ღირებულება-კი ერთი და იგივე რჩებოდა (ე. ი. ოთხი მანეთი, ორის დღის ნამუშავარი); მაგრამ ბაზრის ფასი ამ წაღებისა (ანუ რამდენშიაც ბაზარზე იყიდებოდა) სხვა და სხვა იყო: ხან ხუთ მანეთად იყიდებოდა, ხან კიდევ სამ მანეთად. რა არის ამის მიზეზი? აი რა არის: პირველჯერ ბაზირზე წაღები ცოტა იყო, ხოლო მყიდველები ბევრი. პირველჯერ ბევრს სჭირდებოდა წაღები ანუ **მოთხოვნილება** დიდი იყო, მაგრამ გასასყიდად ცოტა გამოიტანეს, ანუ **წინადადება** მცირედი იყო. ყოველი მყიდველი მეორეს ეცილებოდა და ამიტომ ფასს სწევდა და ამიტომ საქონლის ფასმაც აიწია. ყოველმა სალდათმა იცოდა, რომ წყვილი წაღა ოთხ მანეთად ღირდა. მაგრამ ხედავდა, რომ ბევრს უნდოდა წაღები შეეძინა და ისიც ფასს უმატებდა, რომ წაღები თვითონ დარჩენოდა. ფეხშიშველა ხომ არ ივლიდა! მეორეჯერ, პირიქით, წაღები ბევრი გამოიტანეს ბაზარზე გასასყიდად, მაგრამ მყიდველები ცოტა იყო, – წინადადება დიდია, ხოლო მოთხოვნილება მცირედი. ყოველი გამყიდველი სცდილობს, როგორმე გაასაღოს საქონელი და ამიტომ საქონლის ფასს უკლებს. მეწაღეს კარგად ახსოვს, რომ წაღები ოთხ მანეთად ღირს, მაგრამ ხედავს, რომ წაღების მყიდველები ცოტანი არიან და ის კი იძულებულია უეჭველად გაყიდოს. შიმშილით ხომ არ მოჰკვდება! და ამიტომ ფასი წაღებისა სამ მანეთზე ჩამოვა. პირველ შემთხვევაში, **დიდ მოთხოვნილებისა და მცირედ წინადადების** დროს მყიდველები ეცილებოდნენ ერთმანეთს და სცდილობდნენ საქონლის ყიდვა ერთს მეორისათვის დაესწრო, ანუ, როგორც ამბობენ, **შეცილება მყიდველით შორის** იყო და **საქონლის ფასმაც აიწია.** მეორე შემთხვევაში, პირიქით, **მცირედ მო-**

თხოვნილებისა და დიდ წინადადების დროს, შეცილება ხდება **გამყიდველთ შორის** და **საქონლის ფასიც დაეცა.** როცა წაღების ფასი ხუთ მანეთამდე ავიდა, მათმა წარმოებამაც იმატა. მაშასადამე, როცა მოთხოვნილებამ იმატა, იმატა წინადადებამაც. წინადადების მომატების შემდეგ კი წაღების ფასი ხუთი მანეთი აღარ იქნებოდა, ამიტომ რომ გამყიდველთა შორის მოხდა შეცილება და ფასი უნდა დაცემულიყო. მაგრამ როცა კი ფასი ძალზე დაეცა, ე. ი. მოთხოვნილება შემცირდა, შემცირდა წარმოებაც და შემცირდა აგრეთვე წინადადებაცა. მოხდა შეცილება მყიდველთა შორის და ფასმაც ხელახლად აიწია. როცა წაღების ფასმა ნამდვილ ღირებულებაზე ზევით აიწია (ოთხიდან ხუთ მანეთამდე), ამის შემდეგ წინადადებამაც იმატა და გამყიდველთ შეცილებამ წაღების ფასი დასცა. როცა ფასმა ნამდვილ ღირებულების ქვეით დაიწია (ოთხიდან

სამ მანეთამდე), შემცირდა წინადადება და მყიდველთა შეცილებამ ფასები ასწია. ეს ამბავი ნათლად გვიჩვენებს, რომ შეცილება სცდილობს ფასი საქონლისა მისს ნამდვილ ღირებულებას დაუახლოვოს (ე. ი. რაოდენობას შრომისას, რომელიც მისს გაკეთებას მოუნდა). თუ ფასმა ღირებულების ზევით აიწია, ფასს გამყიდველთა შეცილება დასცემს, ხოლო თუ ფასი ღირებულების ძირს დაიწევს, ამ ფასს მყიდველთა შეცილება ასწევს. აქედან შეგვიძლია დავსკვნათ ისა, რომ თუ ბაზარზე მოთხოვნილება და წინადადება თანაბარია, საბაზრო ფასი თანაბარია საქონლის ღირებულებისა. თუ ბაზარზე სწორედ იმდენი წაღები გამოიტანეს, რამდენიც საჭიროა და თუ წყვილ წაღების ღირებულება ოთხი მანეთია, მყიდველთ სრულებით არ დასჭირდებათ წაღების შესაძენად ფასებს აუწიოს – წაღები ყველას ეყოფა; ამ სახითვე გამყიდველთ საქონლის გასასაღებლად არ დასჭირდებათ ფასებს დაუკლონ, რადგან იციან, რომ რაც საქონელი აქვსთ, ყველა გაეყიდებათ. ცხადია, ჩვენ აქ საქონლის უბრალო გაცვლა-გამოცვლასთანა გვაქვს საქმე, იმ გაცვლა-გამოცვლასთან, რომლის შესახებ წინა თავში გვქონდა ბაასი და რომელიც ხდება შეუცილებლად.

ამ სახით, იმიტომ, როშ ადამიანებს ცალ-ცალკე ოჯახობა აქვსთ და ცალ-ცალკე აკეთებენ საქონელს, ამ საქონელს ერთიმეორეში სცვლიან; ამიტომაც არ შეუძლიათ გაიგონ ამა და ამ დროს ვის რამდენი საქონელი სჭირია, და სწორედ ამიტომ ხდება უთანაბრობა მოთხოვნილებისა და წინადადებებისა; ხოლო მოთხოვნილების და წინადადების უთანაბრობის გამო შეცილება ხდება ხან მყიდველთა და ხან გამყიდველთა შორის. საზოგადოდ კი შეცილება საქონლის საბაზრო ფასს საქონლის ნამდვილს ღირებულებას უახლოვებს და ცდილობს მოთხოვნილება და წინადადება გაასწოროს.

შემდეგს თავებში გამოვარკვევთ, თუ რა გავლენა აქვს შეცილებას საზოგადოების ქონებრივ წეს-ყობილებაზე და როგორ ხდება ეს შეცილება მუშა ხალხის შიმშილის, სიღარიბის და ყოველგვარ უბედურების მიზეზად.

მეხუთე თავი.

მუშა-ხელი.

რაც აქამდე საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ ბაასი გვქონდა, სულ იმას ვამბობდით, რომ საქონელს სცვლიან და ყიდულობენ თვითონ ამ საქონლის მკეთებელნიო. ფეიქარი ჰყიდის ტილოს, რომელიც თვითონ მოქსოვა საკუთარ საფეიქროში საკუთარ ძაფითა; გლეხი იმ ხორბალსა ჰყიდის, რომელიც საკუთარ მარჯვენით დაიმუშავა, რომელიც საკუთარ გუთნით მოხნა და საკუთარ თესლით დასთესა და სხვ. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ. აბრეშუმის ნაქსოვს,

ტილოს, მაუდს მეფაბრიკენი ჰყიდიან და ეს მეფაბრიკენი, შეიძლება, თითითაც არ მიჰკარებოდნენ ამ საქონელს. ხორ-ბალსა ჰყიდის მემამულე, რომელსაც, შეიძლება, თვალითაც არ ენახოს, როგორ იზრდება პური. მაშ ამ საქონლის ნამ-დვილი მაწარმოებელნი რაღა იქნენ? სად არიან მშრომელნი,

რომელთა ოფლითა და სისხლით გაჟღენთილა ყველა ეს სიმ-დიდრე? სად არიან და ბაზარზე არიან დაგლეჯილნი, მშიერ-მწყურვალნი, ფერმიხდილნი. იმათაც გამოიტანეს გასაყიდად ბაზარზე, მაგრამ გამოიტანეს საქონელი კი არა, თავის ოფლით რომ გააკეთეს, არა! მეფაბრიკენი და მემამულენი, დიდიხანია და-ეპატრონენ ამ საქონელს, როგორც თავისს საკუთრებას. მუშებს სხვა საქონელი გამოუტანიათ გასაყიდად: გამოუტა-ნიათ ბაზარზე გასაყიდად თავისი საკუთარი მარჯვენა, თა-ვისი „მუშა ხელი“, თავისი ძალ-ღონე. როგორ მოხდა, რომ მუშებისათვის მათის შრომით გაკეთებული საქონელი წაურთ-მევიათ? როგორ მოხდა, რომ მუშებს ბაზარზე ეს ნაწარმოები კი არ გამოაქვთ, არამედ გამოაქვთ „მუშა ხელი“? დიდ ხანს უნდა ყოფილიყო უსამართლობა და სისხლის ღვრა, შიმ-შილი და ტანჯვა, რომ კაცობრიობას დაემყარებინა ასეთი წესყობილება. მოდი წავიკითხოთ კაცობრიობის ამ ტანჯვა-წვალების ამბავი.

წარმოვიდგინოთ მიწადმომქმედი საზოგადოება. დიდის ხნითვე მოიკალათა ამ საზოგადოებამ თავის ნაყოფიერ მიწაზე, სადაც პურს ბლომად იწევს. შრომის განაწილების წყალობით საზოგადოებას რაც ნაწარმოები სჭირია, ყველა-ფერი აქვს. სხვა საზოგადოებას მხოლოდ რკინას და სპილენძს თუ გაუცვლის სხვა და სხვა ნივთების გასაკეთებლად. ერთის შეხედვით მშვიდობიანად და უდარდელად უნდა სცხოვრობდეს ასეთი საზოგადოება. ყოველი კაცი მუშაობს და ყოველი კაცი კმაყოფილად სცხოვრობს. მაგრამ ყველა საზოგადოებას როდი ხვდა წილად ასე კმაყოფილად ცხოვრება. ერთი საზო-გადოება, უკეთეს მიწის უქონლობის გამო, ჭაობშია ჩასახ-ლებული, მეორე-კი – უდაბურ ტყეში. პური ცოტა მოსდისთ, ხოლო მცხოვრებნი კი მრავლდებიან. უნდა ეფიქრნათ რამე

და ამა თუ იმ ხელობისათვის, თუნდ მჭედლობისათვის, ხელი მოეკიდნათ, მაგრამ იმ უხსოვარ დროსა როგორც ახლა, ბევრი იყო ისეთი, რომ არ დაერიდებოდა მეზობელი გაეძარ-ცვა, მისი მონაგარი წაერთმია. ვინც უფრო თამამი იყო, გა-იგებდა, სად რის მოტაცება შეიძლებოდა და მაშინ ვაი სუსტის ბრალი! ვსთქვათ, ამა თუ იმ ტყეში დაბინავებულ საზოგადო-

ებას საჭმელი პური ან სხვა რამ ნაწარმოები აკლიათ. რა ჰქნას, როგორ იშოვოს? ამის ფიქრში რომ იყვნენ, ვინც უფრო მშვიდობიანი იყო, წამოდგა და სხვებს უთხრა: „ძმებო, ჩვენს ტყეში ბევრია ცაცხვი, მოვსჭრათ, გავაკეთოთ გობები, ბარქაშები, ჯამები, კოვზები და მეორე საზოგადობლებს პურში გაუცვალოთ“. მაგრამ ამ საზოგადოებაში ყველას როდი ეხალისება ხარატობა. და ასეთებს უნდათ, სხვისი პური როგორმე უფრო ადვილად და უშრომლად ჩაიგდონ ხელში. ვინც სხვაზე გულადია, გამოდის და საზოგადოებას ეუბნება“ „თქვენ კი რა გითხრათ, თქვე ოტროველებო, თქვენა! ხის ჯამების კეთებით ჩვენ შორ მანძილს ვერ გავივლით. თქვენ რო კაცმა ყური გიგდოსთ, წელში არ უნდა გავსწორდეთ, სულ შრომაში უნდა ამოგვხთეს სული. სიმართლეს უნდა მივსდიოთ და ხომ გაგიგონიათ: „მისდიე სიმართლესაო, გამოგილევს სინათლესაო! საფლავში ისე ჩავალთ, ერთ გახარებულ დღეს ვერ ვნახავთ. ვინც ლაჩარი არა ხართ, მომყევით და დავეცეთ მეორე საზოგადოებას და მთელის წლის სარჩო წავართვათ. ვისაც დედა-კაცის ლეჩაქი ხურავს, შინ იჯდეს და ჯამები აკეთოს კერის პირას!“ ტყის მცხოვრებთ ვაჟკაცის სიტყვები ჭკუაში დაუჯდათ და გადასწყვიტეს საომრად წასვლა. ღოროტოტო დაუკრეს და დაიწყეს შეკრება ომში წასასველელად. მიწის მხვნელ-მთესველ საზოგადოებას თავზარი დაეცა, როცა შეიტყო, მეზობლები თავზე დაცემას გვიპირებენო. გადასწყვიტეს თავის ქონების დაცვა და სულის ამოხდამდე ბრძოლა. მტერიც მოვიდა და გაიმართა სისხლისღვრა. დიდ ხანს იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს მომხდურებმა

აჯობეს, რადგან რიცხვითაც ისინი სჭარბობდნენ, შიმშილისაგანაც ძალზე იყვნენ შეწუხებულნი. მხვნელ-მთესველნი ზოგნი დაიხოცნენ, ზოგნიც ტყეში გაიქცნენ. გამარჯვებულებმა დამარცხებულების ქონება სულ მოიტაცეს, მათი ცოლშვილი ტყვედ წაიყვანეს და დიდის ნადავლით შინ დაბრუნდნენ. ის ვაჟკაცი, რომელმაც ხალხი სამრად წაიყვანა, გულადად ებრძოდა მტერს და ბევრი გამოასალმა წუთისოფელს. ამისთვის ამხანაგებმა ქება შეასხეს და ნადავლშიაც ყველაზე მეტი წილი იმას დაუდვეს.

ახალი ხელობა ძალიან გაუტკბათ ტყის მცხოვრებთ. არც ხვნენ, არცა სთესენ და სარჩო-საბადებელი კი უზრუნველად აქვსთ. ნადავლი რომ გაათავეს, ხელახლა შეუდგნენ მზადებას გასალაშქრებლად. რა თქმა უნდა, წინამძღვრობა იმასვე სთხოვეს, ვინც პირველად ვაჟკაცურად გაუძღვა და მეზობლები ააკლებინა. გაილაშქრეს მეორედაც და, წინამძღვრის სიმარჯვისა და მოხერხებულობის წყალობით, მეორეჯერაც გაიმარჯვეს. დიდძალ ნადავლით დაბრუნდნენ შინ. წინამძღვარს ახლაც ყველაზე მეტი უწილადეს და მისს სახელს უფრო მოწიწებით დაუწყეს ხსენება. ცოტ-ცოტათი ამ წინამძღვარმა საზოგადოების უფროსობა დაიწყო. როგორც

ბრძოლის, ისე მშვიდობიანობის დროსაც ამას უნდა დაჰკითხებო-
დნენ ყველაფერში. ყოველ გალაშქრების დროს ნადავლის დიდი
ნაწილი იმასა რჩება. ამანაც ამოირჩია უფრო გულადი ბიჭები,
შეადგინა რაზმი, თავის ქონებით ყველას ინახავს, ხოლო თვით
რაზმი მას მორჩილობს, მისი ყურ-მოჭრილი ყმაა. ამ რაზმის
წყალობით წინამძღვარს საზოგადოების თვალში გავლენა უფრო
მოემატა. „ყველაფერში დამიჯერეთ, თორემ შავს დღეს დაგა-
ყენებთო“, იძახის ხოლმე წინამძღვარი. და თუ ვისმე ღმერთი
გაუწყრა და წინამძღვარს რამე დაუშავა, რაზმელები დაბადების
დღეს აწყევლიწებენ. წინამძღვარი სოფელში ყველაფერს და-
ეპატრონა, ყველაფერში ერევა, უმისოდ არაფერი კეთდება.
აი უფროსობაც, უმეტეს შემთხვევაში, ასე ჩნდება. ამ წინა-

მძღვრებში ვინც უფრო გამოქნილი და სხვებზე ძლიერია,
თავის ხელქვეით მყოფ რამდენსამე საზოგადოებას თავს უყრის,
დიდ რაზმს ადგენს და დადის სათარეშოდ. არც ერთს საზო-
გადოებას არ შეუძლია გაუმკლავდეს და საცა კი გაჩნდება,
ყველაფერს მიწასთან ასწორებს და ყველას ცრემლებ შეუშრობ-
ლადა სტოვებს. გლეხები თავზე თმას იგლეჯენ და იწყევლებიან.
გაჭირება მიჩვენეო, გაქცევას გიჩვენებო. გაჭირებულმა
გლეხებმა იფიქრეს, იფიქრეს და გასაქცევი გზაც იპოვეს. ულ-
მობელ წინამძღვარს მოციქულების პირით შეუთვალეს: „სწორ-
უპოვარო და მხნეო წინამძღვარო! ჩვენ რომ გვანადგურებ და
კერას გვიცივებ, იმას არა სჯობიან, ყოველ წლობით შენ
რაც გნებავს, ის გადასახადი მოგართვათ? მხოლოდ ჩვენ ნუ
დაგვხოცავთ. შენთვისავეა სახეირო: ახლა რო დაგვეცემი, ისე
აიკლებ ჩვენს ქონებას, რომ მეორეჯერ ვერაფერს წაიღებ.
მაშინ კი ყოველ წელწადს აიღებ გადასახადს. თქვენი ერთ-
გული მონა-მოსამსახურე ვიქნებით, სანამ პირში სული გვიდ-
გია. შეხედე შენს ღმერთს!“ წინამძღვარს გლეხების ნალა-
პარაკევი ძალიან დაუჯდა ჭკუაში. მაგრამ თავი მაინც ისე
აჩვენა, თითქო კმაყოფილი არ არისო, და მკაცრად უთხრა:
„თქვე ასეთ-ისეთებო, ცოცხალი არცერთი არ უნდა გაგი-
შვასთ კაცმა, მაგრამ სულგრძელობას ვიჩენ ღა ყველაფერი
მიპატივებია: დღეის ამას იქით გაცარცვით არავის გაგძარ-
ცვავთ და არ დაგაწიოკებთ, მხოლოდ სამაგიეროდ მეტად
დიდი გადასახადები უნდა იხადოთ. არ დაივიწყოთ, რომ
თქვენ ჩემი ყმები ხართ: ვისაც მინდა, ვაპატივებ, ვისაც მინდა –
საიქიოს გავისტუმრებ!“ ამაზე გლეხებმა მდაბლად მადლობა მოა-
ხსენეს და გახარებულები შინ დაბრუნდნენ.

წინამძღვარმა გამოაცხადა, ყველამ თავადი დამიძახეთო.
მისი ცხოვრება დაუსრულებელ ლხინად გადაიქცა. თავის
რაზმს ხან ერთ სოფელში მიიყვანს ხარკის ასაკრებად და
ხან მეორეში და ქეიფობს და დროს ატარებს. საცა არ მივა,
ყველგან დიდ პატივსა სცემენ და კრძალვით ეპყრობიან.

თავადი თავის ძლიერებას რომ უყურებს, ივიწყებს, რომ ისიც იმნაირივე ადამიანია, როგორც ყველა სხვა. არ უნდა მოიგონოს, რომ ეს უფლება და გავლენა მან ომითა და ძალმომრეობით მოიპოვა, და ყველას უბრძანებს: იწამეთ, რომ ეს უფლება ღვთისაგან მაქვს მონიჭებულიო. ახლა ყველას ეუბნება: სიტყვა-შეუბრუნებლად დამემორჩილეთ ყველაფერშიო. ჰგონია, რომ ყველაფერი მას ეკუთვნის და შეუძლია ყველა-ფერი ისე მოიხმაროს, როგორც მოეგუნებება. ამნაირი თავა-დები ყველა ქვეყანაში იყო. როცა რამდენსამე საზოგადოებას დაიპყრობდა, სამთავროს დაარსებდა. მაგრამ ხანი რო გავიდა, მთავრებმა თვისითა სამთავროთა გაფართოვება მოინდომეს და ერთმა მეორეს დაუწყო ომი. იკლებდნენ და აოხრებ-დნენ ერთი-მეორეს სამთავროს, მოწინააღმდეგეს ხოცდნენ. ხალხის სისხლი მდინარედ სკდებოდა, თავის საშველად ვინ სად მირბოდა და ვინ სადა. ბოლოს ერთი მთავარი გაბატონ-და სხვებზე: ზოგი მოჰკლა, ზოგი გადაასახლა, ხოლო სხვებმა გაძლიერებული მთავარი შიშით თავის მეფედ გამოაცხადეს. მეფეს საკუთრებად მიაჩნდა თავის სამეფოში მცხოვრები ხალ-ხი და ყველა ის მიწა, რასაც ეს ხალხი ამუშავებდა. ჯერ ისევ უხსოვარ დროშივე მთავრები თავის რაზმებს ერთგული სამსახურისათვის მთელ სოფლებს ურიგებდნენ. ნაბოძებ სოფლების მცხოვრებნი ხარკს თავის ახალ ბატონებს აძლევ-დნენ, ხოლო ესენი მთავრებს. რა თქმა უნდა, ხარკმა იმატა. როცა სამეფო დაარსდა, მეფე თავის დაახლოვებულ ერის თავებს უწყალობებდა სოფლებს ერდგული სამსახურისათვის. ერისთავები, თავის მხრით, ვალდებულნი იყვნენ ომის დროს ამდენი და ამდენი მეომარი გამოეყვანათ და სახელმწიფო ხაზი-ნაში გადასახადი შეეტანათ. ერისთავნი და სხვა თავადნი ცდილობდნენ თავიანთ საერისთაოდან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი აეღოთ და გლეხებს საშინლად ავიწროვებდნენ. ის საზოგადოებანი, რომელნიც თავადებს არ ჰქონდათ ნაბო-ძები, მეფის საკუთრებად ითვლებოდნენ და მის გამგეებად

განსაკუთრებული მოურავები იყვნენ დანიშნული. რადგან გლეხებს ერისთავთაგან სული ჰქონდათ შეწუხებული, გარბო-დნენ და იქ იფარებდნენ თავს, საცა არც ბატონი იყო და არც მექრთამე მოურავი მეფისა. ერისთავთა და მებატონეთა მამულები დაცარიელდნენ. მებატონეთ ეს არ მოეწონათ და მეფეს შესჩივლეს, გლეხები ჩვენის მიწებიდან გარბიან და უიმათოდ გაგვიჭირდება თქვენი სამსახურიო. მეფეებმაც ის-მინეს მათი ჩივილი. გამოსცეს ბრძანება, რომლის ძალით გლეხებს ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადებაში გადა-სვლა არ შეეძლო, და გლეხები მიწას საბოლაოდ მიაკრეს. გლეხები სულით და ხორცით მებატონეთა საკუთრებად გახდ-ნენ. დიდის ხნის განმავლობაში არსებობდა ბატონ-ყმობა. ხალხის ტანჯვას, მწუხარებას, მის დამცირებას და

მებატონეთა თავგასულობას ბატონყმობის დროს საზღვარი არა ჰქონდა.

გაჭირვებული ხალხი არა ერთხელ ამდგარა თავის მტანჯველთა წინააღმდეგ, მაგრამ ერთიმეორეს ყველანი მხარს არ აძლევდნენ და მტანჯველნი გამარჯვებულნი დარჩნენ. აუარებელი სისხლი დაიღვარა გლეხებისა და მათს აჯანყებას სული ამოხთა. 1861 წელს რუსეთში და 1863 წელს საქართველოში ბატონყმობა გადავარდა. გამოაცხადეს, რომ გლეხები თავისუფლები არიანო; უღმერთობა იყო, რომ ამდენის ხნის განმავლობაში ისინი ყმებად ჰყავდათ ბატონებსაო და ისე ექცეოდნენ, როგორც პირუტყვსაო. მთელს გლეხობას აღდგომა გაუთენდა. გასახარი როგორ არ ჰქონდათ! დაუბრუნეს თავისუფლება, რომელიც უსამართლოდ ჰქონდათ ამდენის ხნის განმავლობაში წართმეული! ლოცვა-კურთხევით იხსენიებდნენ რუს-ხელმწიფეს, რომელმაც გლეხობა გაანთავისუფლა. ახლა ის ვიკითხოთ, მიწას რა უყვეს? რა უყვეს იმ მიწას, რომელსაც თავის სისხლითა და ოფლით რწყავდა გლეხი, რომელიც იმავ თავითვე იყო და ახლაც უნდა იყოს გლეხის ხელში? ეს მიწაც განათავისუფლეს მებატონეთა ხელისაგან და გლეხებს

გადასცეს? არა! მიწა მებატონეთა საკუთრებად გამოაცხადეს და უნდა გამოისყიდოს გლეხმაო. ახლა ის ვიკითხოთ, რასაც გლეხები ამუშავებდნენ, ყველა ის მიწები დანიშნეს გამოსასყიდად?სრულებიდაც არა! მაშინ მებატონეთა რაღა უნდა ექნათ? საქმე სულ სხვაინირად მოაგვარეს. მებატონეებმა რაც ცუდი მიწები იყო, გლეხებს მოუჭრეს, აი ეს მიწები შეისყიდეთო, თვითონ კი საუკეთესო მიწები დაიტოვეს.

გლეხებს იმდენი მიწები მიუზომეს, რომ არც სულს არგებდა რასმე და არც ხორცს, სრულებით არ ჰყოფნიდათ და იძულებულნი გახდნენ, მებატონეთაგან აეღოთ ქირით მიწა. რა ბევრი ლარი და ხაზი უნდა იმას, რომ გლეხს ოთხიხუთი დღიური მიწა და ისიც ხშირად სხვა და სხვა ადგილას მდებარე, კუჭს ვერ გაუძღებს. ხალხი, რაც დრო მიდის, მატულობს, ხოლი მინაზომი („ნადელი“) თანდათან ჰკლებულობს. და რადგან გადასახადი შედარებით დიდია, გლეხს ხელს არ აძლევს მიწაზე გაჩერება. რასაც მიზომილ მიწიდან აიღებს, სულ ხაზინაში უნდა შეიტანოს, თვითონ კი შიმშილისაგან კუჭი უნდა უცხვებოდეს. და ისევ, როგორც წინად, ხალხი იძულებულია მიწას თავი გაანებოს და მისგან დატოვებული მიწა-კი სოფლის წურბელებისა და ხალხის სისხლის მწოველთა ხელში უნდა გადავიდეს. მაგრამ სად-ღა წავიდნენ ის გლეხები, რომელითაც თავიანთ მიწას თავი დაანებეს? ისეთი თავისუფალი მიწა, სხვას რომ არ ჰქონდეს დაკავებული, როგორც ძველად იყო, ახლა აღარ არის. მემამულეთა და ბატონთა უსამართლობას ვერსად გაექცევა გლეხი. და აი უმიწა-წყალო გლეხები ძალაუნებურად ან მემამულეს უნდა დაუდგნენ დაქირავებულ მუშად ან არა და ქარხანაში შევიდნენ სადმე. საშინელი

აჩრდილი შიმშილ-მეფისა უმამულო გლეხს თავს ადგას და იძულებულ ჰყოფს კლანჭებში ჩაუვარდეს ან მემამულეს ან მეფაბრიკეს. ამათაც ეს უნდათ. მემამულეს ხელში გლეხი იმავ გლეხურ გუთნითა ხნავს იმ მამა-პაპეულ მამულს, რომელსაც ქვეყნის დაარსებიდანვე ამუშავებდნენ გლეხის ხელები.

მაგრამ მუშის ოფლის ნაყოფი მის ხელში კი არა რჩება, არამედ მემამულის ბეღელში მიდის. თვითონ დაქირავებულ გლეხს ერგება საცოდავი ქირა, რომელიც მასა და მისს ცოლშვილს არც კი გააძღებს. აი, ამიტომაა, რომ ბაზარზე მებატონე მიწის პატრონი ჰყიდის იმ ხორბალს, რომელიც იმას კი არ მოუწევია, არამედ დაქირავებულ გლეხს. გლეხმა ამავე მებატონეს მიჰყიდა თავისი მარჯვენა და ეს მარჯვენაა, რომ იწევს ხორბალს იმავე მებატონისათვის.

ეს-ეს არის, დავინახეთ, თუ როგორ გადაიქცა მწარმოებელი მიწადმომქმედი მემამულის „მუშა ხელად“. ახლა ვნახოთ, რა მოუვიდა მწარმოებელ-ხელოსანს.

ძველ დროში პატარა საზოგადოებათა მცხოვრებთ საქმე ძალიან უჭირდათ. საჭმელ-სასმელს, ასე იქნებოდა თუ ისე, იშოვნიდნენ, მაგრამ გარეშე მტრის შიში კი ძილს უფრთხობდათ: მტერი ხშირად თავს ესხმოდა და მათს ავლადიდებას ანიორწყლებდა. მტრისაგან თავის დასაფარავად პატარა საზოგადოებებმა ერთმანეთის თანამშრომლობას მიმართეს, როგორც ეს ველურებმა ჰქნეს ადრე. ამ თანამშრომლობამ ველურები საზოგადოებად შეაერთა, ახლა კი იმავე თანამშრომლობამ რამდენიმე პატარა საზოგადოება ერთ დიდ საზოგადოებად შეაერთა და შეადგენინა ქალაქი, საცა მცხოვრებნი ბევრნი არიან, იქ, რა თქმა უნდა, მტერსაც უფრო ადვილად გაუმკლავდებიან, ვიდრე გაფანტულ საზოგადოებაში.

ქალაქის გარშემო ჩნდება ეგრედ წოდებული ქალაქის განაპირები ანუ პატარა საზოგადოებები. აქაური მცხოვრებნი შიშიანობის დროს ქალაქში მირბიან თავის დასაფარავად. შრომის დანაწილების დროს ყოველ საზოგადოებებში ჩნდებიან ხელოსნები: მეწაღენი, ხარაზები, ჭონები, მჭედლები და სხ. მაგრამ პატარა საზოგადოებაში ხელოსანთა რიცხვი ძალაუნებურად მცირეა. თუ ერთის საზოგადოებისათვის ერთი მჭედელი სამყოფია, მეორე მჭედელი ან სხვაგან უნდა წავიდეს ან სხვა ხელობას უნდა დაადგეს. ქალაქში კი სულ სხვა საქმეა. შიგ

ბევრნი სცხოვრობენ; გარშემო რაც საზოგადოებებია, იქაური მცხოვრებნიც მოდიან ქალაქში თავიანთ საქონლის გასაცვლელად. ამიტომ ხელოსნის გაკეთებულ საქონელს ყოველთვის ბლომად თხოვულობენ; ამიტომაცაა, რომ ხელოსნები უმეტეს წილად ყველანი ქალაქს ეტანებიან და მხოლოდ ქალაქშია ყოველგვარი ხელობა აყვავებული. ყოველ

ხელოსანს უნდა ჰქონდეს ყოველგვარი ხელსაწყო, რაც კი სჭირია მის საქმეს, უნდა შეეძლოს თავის ნაწარმოებისათვის მასალის ყიდვა, – ერთის სიტყვთ, უნდა ჰქონდეს ეგრედ წოდებული **საწარმოვო იარაღი.**

ქალაქში მოვიდა, მაგალთად, რომელმე ზეინკალი; თან მოაქვს ყოველგვარი ხელსაწყო; ხელად მოაწყო სახელოსნო და შეუდგა მუშაობას. კარგი მუშაა და კარგადაც სცხოვრობს. მაგრამ უბედურება შეემთხვა: დაუცდა და ფეხი მოსტყდა. მუშაობა აღარ შეუძლია და ჭამა-სმა კი უნდა. რაც შავდღი-სათვის შენახული ჰქონდა, ყველაფერი შესჭამა, მაგრამ მუშა-ობა მაინც არ შეუძლია. ახლა რაღა ჰქნას? გზა აღარა აქვს, უნდა ხელსაწყო გაჰყიდოს. ბარემ ემძიმება მათი მოშორება, მაგრამ მეტი გზა აღარ აქვს. რამდენიმე თვე იწვა ლოგინში, ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა, მაგრამ რა წამოდგა: ხელ-საწყო ყველა გაყიდული შეექნა, უიმისოდ კი მუშაობა ვეღარ შეეძლო. ჩვენი ზეინკალი ნაცნობ ზეინკალს მიადგა, უამბო თავისი გაჭირვება და სთხოვა: იქნება, ხელისაწყო რამ მათხო-ვო და თან ზოგიერთი გასაკეთებელი საქმე მე გადმომცე, შენ მუშტარი ისედაც ბევრი გყავსო. მაგრამ, საუბედუროდ, ნაც-ნობი ზეინკალი გამოქნილი კაცი გამოდგა. მაშინათვე მოისაზრა ყველაფერი და გულში სთქვა: მოხვთა თევზი ჩანგალსო. გა-ჭირებულს ზეინკალს უთხრა: „არა ჩემო ძმაო, ხელსაწყოს ვერ მოგცემ, ისევ სჯობია ჩვენთან იმუშავო, სამუშაო თავსაყრელი მაქვს! რაც ხელფასი გერგება, მოქცემ, მხოლოდ შენი გაკეთე-ბული საქონელი-კი ჩემი უნდა იქნეს!“ გაჭირებული ზეინ-კალი კარგად მიხვდა ყველაფერს, მაგრამ მაინც დასთანხდა, –

შიმშილით სიკვდილს ისევ ესა სჯობიაო. დაუდგა სამუშაოდ თავის მოხერხებულ ნაცნობს. მოხერხებულმა ზეინკალმა ტყუილად კი არ დაიწყო ასეთი საქმე. ახალ მოსულ ზეინკლის ქირაც აიღო და თვითონაც მოგება დარჩა. სხვისმა შრომამ მოგების მადა უფრო გაუღვიძა და დაუწყო ძებნა ისეთ ზეინ-კლებს, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით ხელსაწყო აკლდათ, და ყველას თავისთან აყენებდა. რა თქმა უნდა, ბევრიც იპოვა, რადგან ხელოსნებს ზოგს რა გაჭირვება ატყდება თავზე და ზოგს რა. ერთს ცეცხლი გაუჩნდა და ყველაფერი დაეწვა, მეორე საზოგადოებიდან გამოიქცა, რადგან მებატონემ გააჩანაგა და სხ. ხერხიანი ზეინკალი ყველას თავისთან ეპატიჟება. თავის სახელოსნო გაადიდა, ხელსაწყო კიდევ შე-იძინა და მუშაობა გააჩაღა. თვითონ, დიდი ხანია, მუშაობაზე ხელი აიღო, რადგან არა სცალია: თავის სახელოსნოს უნდა გაუძღვეს. იმან ახლა კარგად იცის, რომ თავის სახელოსნოს მანუფაკტურა უნდა დაარქვას და შიგ გაკეთებულ საქონელ-საც თავისი სახელი და გვარი დააწეროს, ვითომ რა და ამა და ამ კაცის ფაბრიკაშია გაკეთებული ეს საქონელიო. მანუ-ფაკტურა კი იმასა მიშნავს, რომ მუშები-ხელოსნები ერთ პატრონის სახელოსნოში აკეთებენ საქონელს, ხელსაწყო პატ-

რონისაა და მასალაც იმისივეა. რასაც გააკეთებენ, პატრონისაა, თვითონ ხელოსნები-კი ხელფასს ღებულობენ. მანუფაკტურის პატრონი უკვე კაპიტალისტია (თანხის პატრონია); ხარჯავს თანხას (კაპიტალს), ჰქირაობს სახელოსნოს, ჰყიდულობს მასალასა და ხელსაწყოს, რომ სხვათა შრომის წყალობით გაზარდოს კაპიტალი, უფრო მეტი მოგება დარჩეს.

საცა კი ხელოსნური შრომაა და საცა კი საჭიროა ძვირი ხელსაწყო (საზეინკალო, სამჭედლო და სხ.), ჩნდება, მანუფაკტურა, ამიტომ რომ ყველგან გაჩნდებიან „გამოქნილი კაცები“, რომელნიც თავიანთი გაჭირებულ მეზობელს უარესად წაუჭერენ ყელში.

ასეთი „გამოქნილი კაცები“ განსაკუთრებით ვაჭრებს და

ჩარჩებში გამოერევა ხოლმე. ხელოსანთა ერთი ნაწილი-ღა თუ მუშაობს პირდაპირ მუშტართათვის. ამასთან, ხან არის სამუშაო და ხან არა. ზოგი დღე გამოერევა, გულხელდაკრეფილი ზის ჩვენი ზეინკალი, ზოგჯერ-კი ისე მოაყრიან სამუშაოს, ვეღარც კი აუდის. რომ წელიწადში რამდენიმე თვე უსაქმურად არ გაატაროს და საჭიროების დროს მზად ჰქონდეს საქონელი, იმას კი არ უნდა უცადოს, თუ ვინ შემოუკვეთავს საქონელს, არამედ მთელის წლის განმავლობაში ამზადოს საქონელი გასასყიდად. ამ ნაირად ჩვენა ვხედავთ, რომ ზოგი ხელოსანია, საქონელს მარტო იმისთვის აკეთებს, ვინც რასმე შემოუკვეთავს, ზოგი ხელოსანია, საქონელს გასასყიდად ამზადებს და საქონლის ამნაირად მზადებას შინათმრეწველობა ჰქვიან. ასეთი შინათმრეწულობაა ჩვენში საჩოხე შალების, ხის ჯამ-ჭურჭლის, აბრეშუმის ქსოვილების, თიხის ჭურჭლის და სხ. კეთება. დაამზადებენ ასე საქონელს და მერე ელოდებიან ბაზრობას, რომ გაასაღონ. რადგან ამ საქონლის გასაღება სახათაბალო საქმეა, ცოდნა და მოხერხება უნდა და სატრიალებელი თანხა სჭირია, შინათმრეწველნი ჩარჩებს უვარდებიან ხელში. ჩარჩი შინათმრეწველთ დამზადებულ საქონელს ართმევს, ხელად ჩაუთვლის ფულს და ზოგჯერ ბესაც-კი აძლევს მომავალ საქონლისათვის. სამაგიეროდ შინათმრეწველი ჩარჩისათვის ისევე მუშაობს, როგორც ქალაქის მუშა მექარხნისათვის. მხოლოდ სახელია განსხვავებული, – შინათმრეწველი ჰქვიან, თვითონ არის თავის ბატონი და პატრონი; საქმით კი იმნაირივე ტყვეა, უჩარჩოდ ნაბიჯს ვერ გადასდგამს. მთელი ვაჭრობა ჩარჩების ხელშია; ჩარჩები ბეს აძლევენ ნამუშავრისათვის, ხშირად ხამი მასალაც-კი მოაქვსთ მრეწველთან. ვაი შენი ბრალი, თუ ჩარჩი გაარისხე; შენგან საქონელს აღარ იყიდის და შიმშილით სული უნდა ამოგხდეს. რა თქმა უნდა მთელი მოგება ჩარჩსა რჩება, ხოლო შინათმრეწველის ხვედრი – მონური შრომა და სიღარიბეა.

გაჭირვებულია სოფლის შინათმრეწველი, მაგრამ არც

ქალაქის ხელოსანია უკეთეს დღეში. ესენი ყმებად უხდებიან დამზადებულ საქონლის მაღაზიების პატრონებს და მოიჯარადრებს. ზოგია, წაღას ვერ შეჰკერავს, მაგრამ ქალაქის გამგეობისა ან საინტენდანტოსაგან ათას წყვილ წაღის შეკერვას იჯარით იღებს, შეაქვს გირაო, ხოლო სამუშაოს ნამდვილ მეწაღეებს ურიგებს. თვითონ ჩხირსაც არ გადააბრუნებს, მოგებას კი ჯიბეში იჩხრიალებს და თანაც მეწაღეებთან ტრაბახობს: „მე თქვენი კეთილისმყოფელი ვარ, სამუშაოს გაძლევთ, მე რომ არ ვიყო, შიმშილით დაიხოცებოდითო“. ხოლო ის მაღაზია, სადაც შეკერილი ფეხსაცმელი იყიდება, წაღების შეკერვას კისრულობს; მაგრამ შესაკერ წაღებს ორ-სამ მეწაღეს აძლევს. ასეა ყველგან. ხელოსანი-პატრონი ყოველთვის ყმად უხდება თავისსავე ძმას ხელოსანს. სულ ცოტა ხნის წინად ისიც იმნაირივე მშრომელი იყო, წელში ოთხად მოხრილი სამუშაოს ჩაჰკირკიტებდა, ახლა კი ახლოსაც კი ვერ მიეკარები. რაკი სხვისის ხელით ნარის გლეჯა ისწავლა, ცოტ-ცოტათი თავისივე ძმები-ხელოსნები მუშებად დაიყენა და მანუფაკტურა გახსნა და გაჩალხა საქმე.

დაუბრუნდეთ ჩვენს „მოხერხებულ ზეინკალს“, რომელმაც თავისი მანუფაკტურა გაიჩინა. საქმე კარგად წაუვიდა. გასუქდა ღიპი გაუშვა, დიდკაცური ფერი დაედო, ყველა „ბატონს“ უძახის. ეკკლესიაში ხშირად დადის, ხატებს ფუთიან კელაპტრებს უნთებს და მადლობასა სწირავს, რომ ასე გაამდიდრეს და სახლი ბარაქით გაუვსეს. ამავე დროს მის მანუფაკტურაში მომუშავე მუშები გაჩენის დღეს იწყევლიან, – დღესა და ღამეს ვასწორებთ და მაინც ნახევარჯერ მშივრები ვართო. ახლა დავხედოთ, რა დღეს დააყენებდა ჩვენის „გამოქნილ ზეინკლის მანუფაკტურა სხვა ზეინკლებს, რომელნიც თავისთვის მუშაობენ და საკუთარი სახელოსნოები აქვსთ. „გამოქნილ“ ზეინკლის მანუფაკტურაში, სიტყვაზე, ათი კაცი მუშაობს. ათისთვისვე საკმაოა ერთი სახელოსნო, ხოლო მარტოხელ ზეინკლებს თითეულს საკუთარი სახელოსნო აქვსთ. ათი ზეინკალი ერთს სახელოსნოში მუშაობს, ხოლო ათ თავისუფალ ზეინ-

კალს ათი სახელოსნო უჭირავს. მაშასადამე, მანუფაკტურის პატრონს ათჯერ ნაკლები უჯდება სახელოსნოს ქირა, განათება და გათბობა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ყოველ თავისუფალ ზეინკალს, რაც საზეინკლოში ხელსაწყო სჭირია, ყველა უკლებლივ უნდა ჰქონდეს, თუ კი უნდა, რომ მუშაობა და საქმის გაკეთება დაუბრკოლებლივ შეიძლოს. მაგრამ ერთი ნაწილი ხელსაწყოებისა მოცდენილი უდევს: თუ რასმე სჭედავს, ქლიბი ისე გდია. ხოლო „გამოქნილი“ ზეინკალი თავის საზეინკლოში სულ სხვანაირად ატრიალებს საქმეს: ზოგს რომ შავად აკეთებინებს ბოქლომებს, სხვები საბოლავოდ ამთავრებენ; ასე რომ ხელსაწყო უსაქმურად თავის დღეში არ უყრია. ასე რომ ხელსაწყოშიც ხეირსაც ხედავს, ვიდრე თავისუფალი ზეინკლები. ეს კიდევ რა არის! მარტოხელი ზეინკალი, რო-

მელიც ბოქლომებს აკეთებს, ჯერ ბოქლომის სხვა და სხვა ნაწილებს აკეთებს, მერე ერთმანეთს უნდა მიაკრას ეს ნაწილები და შემდეგ საბოლაოდ გაქლიბოს. ამ სახით, ჯერ რომ ერთ ხელსაწყოს აიღებს ხელში, მერე მეორეს უნდა მოჰკიდოს, შემდეგ – მესამეს და ბევრი დრო უნდა დაჰკარგოს ამ ხელსაწყოების ცვლაში. ხოლო თუ ხელში ერთი ხელსაწყო გიჭირავს და მისს ხმარებაში ხელი გაავარჯიშე, მთელი დღე კარგად და სწრაფად იმუშავებ. ხოლო თუ ხელსაწყოს ხშირად იცვლი, სანამ შეეჩვევოდე და მოიმარჯვებდე, ბევრი დრო გეკარგება. „გამოქნილი“ ზეინკალი კარგად ხედავს, თუ რამდენად უხერხულია ჯერ ერთის ხელსაწყოს ხმარება, მერე მეორეს აღება და ასე ამ გვარად დაუსრულებელი ცვლა ხელსაწყოებისა. ამიტომ თავის მანუფაკტურაში სულ სხვა წესი შემოაქვს მუშაობისა, თავისს მუშებს ეუბნება: „გეყოფათ სამჭედურიდან სახელოსნოში და სახელოსნოდან სამჭედურში ხეტიალი. სამმა სამჭედურში იმუშავეთ და ბოქლომის სხვა და სხვა ნაწილები შავად გააკეთეთ, ხუთმა დაამთავრეთ და ორმა ერთიმეორეს შეურჩიეთ ეს ნაწილები“. ერთის სიტყვით, ჩვენს ზეინკალს თავის მანუფაკტურაში „შრომის განაწილება“

შემოაქვს. როცა სოფლის საზოგადებაშია „შრომის განაწილება“, ყველა ერთს რასმე საქონელს აკეთებს. ხოლო როცა მანუფაკტურაში ინაწილებენ შრომას, ყოველი მუშა მთელს საქონელს კი არ აკეთებს, არამედ მის რომელსამე ნაწილს. ერთი ბოქლომის ნაწილს სჭედავს, მეორე ამთავრებს, მესამე სხვა და სხვა ნაწილებს ერთად უყრის თავს და სხ. მანუფაკტურული განაწილება შრომისათვით შრომას უფრო ნაყოფიერად ხდის, ვიდრე საზოგადოებრივი განაწილება შრომისა. ჯერ ერთი, თითოეული მუშა დროს არა ჰკარგავს ერთ ხელსაწყოდან მეორე ხელსაწყოზე გადასვლაზე და მეორე, რაკი ნიადაგ ერთი ხელსაწყო უჭირავს ხელში, მუშა ეჩვევა ამ ხელსაწყოს და უფრო მარჯვედ მუშაობს, ვიდრე ხელსაწყოების ხშირად გამოცვლის დროს. და აი სწორედ ამ შრომის მანუფაკტურულ განაწილების ხეირს ვერა ხედვენ თავისუფლი ზეინკლები და ამიტომ მათი შრომა მანუფაკტურულ შრომასთან შედარებით ნაკლებ ნაყოფიერია. ათი თავისუფალი ზეინკალი, როცა ცალ-ცალკე მუშაობს, დღეში თითო კაცი ხუთ ბოქლომს გააკეთებს ანუ ათივენი – 50 ბოქლომს, ხოლო სამანუფაკტურო ზეინკლები დღეში პატრონს გაუკეთებენ 60 ანუ 70 ბოქლომს. ამნაირად ჩვენა ვხედავთ, რომ მანუფაკტურის პატრონი უფრო მოგებულია, ვიდრე თავისუფალი ზეინკალი. ერთად თავმოყრილ ათ მუშაზე მანუფაკტურაში ნაკლები ეხარჯება, ვიდრე ათს ზეინკალს ცალ-ცალკე ეხარჯებათ თავიანთ თავზე, იარაღსა და სახელოსნოსათვის; მოგებაც მეტი რჩება; მასალას ნარდად ყიდულობს და ამიტომ უფრო იაფად აძლევენ. გაყიდვის დროსაც შეუძლია დაიცადოს, სანამ საქონლის ფასი აიწევდეს, ამიტომ რომ სათადარიგო თანხა აქვს. ერთის სიტყვით,

წვრილ ხელოსანთან შედარებით ყოველთვის მოგებულია. სიტყვაზე, მემანუფაკტურეს ბაზარში თავისი საქონელი გამოაქვს, თავისუფალს ხელოსანს – თავისი; საქონელი ორსავე ერთნაირი აქვს, მაგრამ ამ საქონლების ღირებულება-კი სხვა და სხვა ნაირია. მემანუფაკტურესთან მუშა დღეში 7 ბოქლომს

აკეთებდა, ხოლო თავისუფალმა ზეინკალმა კი დღეში მხოლოდ 5 ბოქლომი გააკეთა. რა თქმა უნდა, მემანუფაკტურეს შეუძლია უფრო იაფად გაჰყიდოს თავისი ბოქლომი, ვიდრე თავისუფალ ზეინკალს. მემანუფაკტურესა და თავისუფალ ზეინკალს შორის შეცილება (კონკურენცია) გაიმართება და ეს შეცილება ბოქლომების ფასს დასცემს (7 ბოქლომი – 1 დღის შრომაა). და თუმცა თავისუფალი ზეინკალი დღეში 5 ბოქლომს აკეთებს, მაგრამ იმავე ფასად უნდა გაჰყიდოს, რა ფასადაც მემანუფაკტურე ჰყიდის, თორემ თავისუფალ ზეინკლისაგან ბოქლომს არავინ იყიდის. რა თქმა უნდა, ბოლოსა და ბოლოს, უნდა გაკოტრდეს და თავისუფალ მუშაობაზე ხელი აიღოს. მემანუფაკტურე ყოველ ამ უპირატესობით სარგებლობს, კრიჭაში უდგას წვრილ ხელოსანს და ართმევს საწარმოვო იარაღს და აიძულებს თავისუფალ ხელოსნობაზე ხელი აიღოს და სხვის მოჯამაგირედ გადაიქცეს. მაგრამ მემანუფაკტურენი ეცილებიან არა მარტო წვრილ ხელოსნებს, არამედ ერთიმეორესაც. რაც უფრო მსხვილია მანუფაკტურა, წვრილ მანუფაკტურასთან შედარებით მეტს ხეირსა ხედავს, საწარმოვო იარაღზე ნაკლები ეხარჯება და შრომასაც უფრო ვრცლად ანაწილებს. მაშასადამე, მანუფაკტურა რაც უფრო მსხვილია, მით უფრო ნაყოფიერია მისი წარმოება. და მით უფრო იაფად შეუძლია გაჰყიდოს საქონელი. მსხვილ მანუფაკტურასა და წვრილ მანუფაკტურას შორის შეცილება ნიადაგ არის და მსხვილი მანუფაკტურა სპობს წვრილ მანუფაკტურას ისე, როგორც წვრილი მანუფაკტურა წვრილ ხელოსნურ წარმოებასა სპობს. მანუფაკტურათა კონკურენცია იმაში გამოიხატება, რომ ყოველი მათგანი ცდილობს ბაზარი თავის საქონლით გაავსოს. ამისთვის სცდილობს თავისი საქონელი სხვისაზე იაფად გაჰყიდოს, ხოლო იაფად მხოლოდ მაშინ შეუძლია გაჰყიდოს საქონელი, როცა მის გაკეთებაზე ადამიანის შრომა ნაკლებ ექნება დახარჯული. და აი მემანუფაკ-

ტურე სცდილობს უფრო და უფრო გააუმჯობესოს წარმოება, გ

შრომა უფრო მეტი ღირს, ვიდრე შრომა, სიტყვაზე, მიწის მთხრელისა, რომელსაც ცოდნა არავითარი სჭირია. კაპიტალისტმა, რომელსაც სურს საქსოვი მანუფაკტურა გახსნას, უნდა მონახოს ისეთი ხელოსანი-ფეიქრები, რომელთაც საწარმავო იარაღი არა აქვს და ქირით ამუშავოს თავის მანუფაქტურაში თავის სასარგებლოდ. ფეიქრის ხელფასი, რაღა თქმა უნდა, უბრალო მუშის ხელფასზე მეტი იქნება. მაგრამ, აჰა, გამოიგონეს საქსოვი მანქანა, ორთქლით სატრიალებელი, რომელიც ფეიქარზე უფრო ჩქარა და უფრო სუფთათა ქსოვს. მემანუფაკტურეს, რომელმაც ეს ორთქლით სატრიალებელი მანქანა შემოიღო, არა სჭირია ფეიქრის სიმარჯვე და იმის მაგივრად უბრალო მუშას ქირაობს, ამიტომ რომ ორთქლის მანქანის ყურის გდებას დიდი არაფერი ცოდნა უნდა, ხოლო უბრალო მუშას ქირა ცოტა უნდა, ვიდრე ხელოსანს. ამ სახით, რაკი მანქანამ ხელოსნის სიმარჯვე მეტ ბარგად გახადა, კაპიტალისტს ეს ხელოსანი აღარ სჭირია და იმის მაგივრად უბრალო მუშას ქირობს. გაჩნდა ფაბრიკა. ამ ფაბრიკაში ყოველ სამუშაოს, რომელსაც ხელოსნის სიმარჯვე და ცოდნა სჭირია, მანქანა აკეთებს და ამ მანქანას უძღვება უბრალო მუშა, რომელსაც ცოდნა არავითარი სჭირია. საფაბრიკო წარმოების დროს შრომა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სხვა ყოველგვარ წარმოების დროს. რომელსამე მჭედელ-ხელოსანს, სიტყვაზე, დღეში შეუძლია გააკეთოს 600 ლურსმანი, ხოლო უბრალო მუშას ქარხანაში შეუძლია დღეში რამდენიმე ათასი გააკეთოს. რა თქმა უნდა, მანქანით გაკეთებული ლურსმანი გაცილებით ნაკლებად ეღი-

რება მჭედელ-ხელოსნისაგან: გაკეთებულზე. საზოგადოდ ფაბრიკა სპობს წვრილ წარმოებას და მანუფაკტურას და თავის კარებს უღებს უბრალო მუშებს, სპობს სახელოსნო წარმოების საჭიროებას. ხელოსნები-კი ან სწყდებიან თან და თან შიმშილისა და სხვა გაჭირებისაგან, ან ფაბრიკის მუშებად მეფაბრიკის „მუშა ხელად“ იქცევიან.

მოკლედ მოვჭრათ ის, რაც ამ თავში ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ როგორ გადაიქცევა ხოლმე მწარმოებელი-მხვნელმთესველი და მწარმოებელი-ხელოსანი კაპიტალისტის მუშა-ხელად“. ძველ დროში საზოგადოებაში სამხედრო საჭიროებამ (მტრისგან თავის დაცვა და თავდასხმა) დაჰბადა მთავრობა და ეს მთავრობა ხელში იგდო იმან, ვინც საზოგადოების წევრთა შორის უფრო ღონიერი და გულადი იყო და საზოგადოების წინამძღვრად გახდა. ასეთი წინამძღვარები ცოტ ცოტათი იმორჩილებენ იმ საზოგადოებებს, რომელთაგან თვითონ ისინი გამოვიდნენ და მათს ბრძანებლებად ხდებიან. ესენი მუშაობაზე ხელს იღებენ, რაზმელებთან ერთად იმ ხარკით სცხოვრობენ, რომელსაც თავიანთ ხელქვეითებს ახდევინებენ; იმათივეა ნადავლი, რასაც სხვა საზოგადოებებს წაართმევენ. საზოგადოებათა შორის გამუდმებულ ომებს ის მოსდევს, რომ უფრო ძლიერ საზოგადოებათა წინამძღვარი

უფრო სუსტ საზოგადოებებს იმორჩილებს და თავის მოხარკე-
და ხდის. შემდეგში, ეს უფრო ძლიერი წინამძღვრები, რო-
მელთაც სუსტი საზოგადოებები დაიმორჩილეს, ერთმანეთთან
ასტეხენ ბრძოლას, სანამ ბოლოსა და ბოლოს, განსაზღვრულ
ადგილას ერთი მათგანი დანარჩნენ წინამძღვრებს მათ საზოგა-
დოებებითურთ არ დაიპყრობს. ჩნდება სამეფო, თავში უდგას
სახელმწიფოს გაძლიერებული წინამძღვარი ანუ მთავარი.
მეფენი და მთავრები მთელს სოფლებს ურიგებდნენ თავი-
ანთ რაზმელებს-თავადებს. თავადები სოფელს ართმევდნენ
შემოსავალს, მაგრამ მიწა საზოგადოების საკუთრებად რჩე-
ბოდა და თავადები მიწის მფლობელობის საქმეში არ ერე-

ვოდნენ და როცა ხალხს ისე გაუმწარეს სიცოცხლე, რომ
ერთს ალაგას არ ედგომილებოდა და სხვაგან დაიწყო გადახვე-
წა, მეფემ ისეთი ბრძანება გამოსცა, რომ გლეხს უფლება არა
ჰქონდა მიწიდან აყრილიყო და სხვაგან წასულიყო. მემამულე-
ნი გლეხების მესაკუთრენი გახდნენ, ხოლო მიწა საქმით
საზოგადოების საკუთრებად დარჩა. მაგრამ მერე, როცა
გლეხი ბატონყმობისაგან განთავისუფლდა, მემამულეებს გლე-
ხები ჩამოართვეს და იმის მაგივრად იმ მიწების მესაკუთრეთ
აღიარეს, რა მიწებიც უხსოვარ დროიდანვე გლეხების ხელში
იყო. გინდ მგელს შეუჭამივარ და გინდ მგლის ფერს ძაღლ-
საო, სწორედ ისე მოხდა. ამიტომ რომ გლეხები ვითომ გაან-
თავისუფლეს, მაგრამ მიწა კი საკმაოდ არ მიუზომეს. ასეთ
გლეხებს ან მიწები უნდა აეღოთ იჯარით მემამულეთაგან
ან იმავე მემამულეებს მოჯამაგირედ დასდგომოდნენ. მემამუ-
ლე, როგორც ძველს დროში, გლეხს კისერზე აზის და მისს
სისხლსა სწოვს. ამ ნაირად, მწარმოებელი გლეხები, უმიწა-
წყლოდ დარჩენილი, „მუშა ხელად“ გადაიქცა. მწარმოებე-
ლი-ხელოსნები ქალაქებში არიან. ვინც უფრო ჭკვიანი და
გამოქნილია, სუსტებს ყოველთვის სჯობნის. სუსტები ბოლო-
სა და ბოლოს საწარმოო იარაღსა ჰკარგავენ და უფრო ღონივ-
რებს ქირის მუშად უდგებიან. ჩნდება მანუფაკტურა. რაკი
ერთი გაჩნდა, შეცილებით სულსა ხდის წვრილ მწარმოებ-
ლებს და შეუჩერებლივ იქითკენ მოსწრაფვის, რომ ხელში
ჩაიგდოს მთელი ხელოსნური წარმოება. მანუფაკტურებათა
შეცილება სცდილობს გააფართოვოს წარმოება და გააიაფოს
საქონელი, ამას მოსდევს მანქანებისა და საფაბრიკო წარმო-
ბის გაჩენა, რომლის დროსაც ადამიანის სიმარჯვე საჭირო
არ არის, არ არის საჭირო ხელოსანიცა, მის საქმეს ადვი-
ლად ასრულებს უბრალო მუშაცა. ფაბრიკა შეცილებით
ჰკლავს მანუფაკტურასა და წვრილს ხელოსნობას, ხოლო
თვით ხელოსანს, რომელსაც დაკარგული აქვს საწარმოო
იარაღი, უბრალო მუშად, მანქანის „მუშა ხელად“ აქცევს.

საზოგადოებრივ ცხოვრების განთიადისათანავე შრომის განაწილება ადამიანებს ორ დიდ ნაწილად ჰყოფს – მწარმოებელ მიწადმომქმედებად და მწარმოებელ-ხელოსნებად. მთელის საუკუნოებით ყოველი ნაწილი ასრულებს მისთვის მიზომილ ნაწილს ზოგად კაცობრიულ შრომისას. მწარმოებელი-მხვწელ-მთესველი ათას წვალებას და გაჭირვებას ითმენს მემამულისაგან, ხოლო მწარმოებელი-ხელოსანი მანუფაკტურას და ფაბრიკაში. და ბოლოს ორივე მწარმოებელი, ორივე შრომის იარაღს მოკლებული ისევ ერთმანეთს ხვდება ფაბრიკის მანქანასთან. მაგრამ მათ შორის განსხვავება არაფერია: ორივე „მუშა ხელია". პირველყოფილ დროში ველურებმა არ იცოდნენ, რა არის შრომის განაწილება და ამიტომ არ ჰქონდათ ის ცოდნა და ის გონებრივი განვითარება, რომელიც შემდეგში შეიძინა მიწის მუშამ და ხელოსანმა და როდესაც მიწის მუშამ და ხელოსანმა, ამდენის ტანჯვა-ჯახირის შემდეგ, ფაბრიკაში ამოჰყვეს თავი, საწარმოო იარაღთან ერთად დაჰკარგეს ის ცოდნა და ის გონებრივი განვითარება, რომელსაც მათგან თხოულობდა წარმოება. ცოდნისა და გონების ადგილი მანქანამ დაიკავა, კაცს ჭკუასა და თავიანობას არავინა სთხოვს: ადამიანი-მწარმოებელი კაპიტალისტისათვის „მუშა ხელად" არის გადაქცეული. მაშასადამე, მწარმოებელი ათავებს იმით, რითაც დაიწყო, – უნდა გადაიქცეს ველურად. ყველაფერი კაპიტალისტის ნებაზე რომ იყოს, ეს ასეც მოხდებოდა. მაგრამ, კაცობრიობის საბედნიეროდ, ყველაფერი კაპიტალისტის ნებაზე როდია დამოკიდებული. ძალიან გულმოდგინობენ კაპიტალისტები, მაგრამ მათთვის სანატრელი წესწყობილება სავსებით არსადაა გამეფებული. ყველგან ფაბრიკის გვერდით მანუფაკტურასაც შეხვდებით და წვრილ ხელოსნობასაც. ჯერ კიდევ სავსებით არ გაუშლია ფრთა კონკურენციას და წვრილი მწარმოებელიც მედგრად ებრძვის კაპიტალისტის მტაცებლურ სურვილებს. მწარმოებელს უმძიმს გამოეთხოვოს თავისუფლებას, ადამიანობაზე ხელი აიღოს და გადაიქცეს „მუშა ხელად“. კიდეც

ამიტომა ვხედავთ, რომ გლეხი ჩასცივებია ერთ მტკაველ მიწას და ცოცხალის თავით თავს არ ანებებს, ოღონდ კი დამოუკიდებელი იყოს, ბატონი და მბრძანებელი არავინა ჰყავდეს. მიუხედავად ამისა, გლეხს მიწა-წყალი ხელიდან ეცლება საშინელის სისწრაფით. ჯერ ახლაც არის რუსეთის იმპერიაში შვიდ მილიონზე მეტი უმიწა-წყლო გლეხი და თუ მალე არ გამოიცვალა საადგილ-მამულო წესწყობილება, უმიწა-წყლო გლეხთა რიცხვი უფრო იმატებს კაპიტალისტთა გასახარებლად, რომელნიც სულ იმას სტირიან – „მუშა ხელი" სამყოფი არ არისო.

ახლა დავხედოთ, რას უშვრებიან კაპიტალისტები ამ „ მუშა ხელებს“, რომელნიც მათ ხელში უვარდებათ, დავხედოთ, მათის შემწეობით როგორ ისქელებენ ჯიბეს კაპიტალისტები, რომელთა გაძღომას არაფერი ეშველა.

მეექვსე თავი.

ზედ-მეტი ღირებულება.

ყოველი კაპიტალისტი, რომელმაც ამა თუ იმ საქმეში ფოლი ჩასდო, რა თქმა უნდა, მოგებასა სცთილობს. მოგების იმედი რომ არ ჰქონდესთ კაპიტალისტებს, ისე საქმეს არავინ მოჰკიდებს ხელს. და რადგან ჩვენა ვხედავთ, რომ კაპიტალისტური საქმეები დღითიდღე იზრდება, უეჭველია, კაპიტალი მოგებას იძლევა და კაპიტალისტიც ამ მოგებაზედ ოცნებობს. ახლა ის ვიკითხოთ, კაპიტალი როგორ იძლევა მოგებას? ხალხში გავრცელებულია ის ხმა, რომ მოგება სყიდვა-გაყიდვის შვილიაო: ვაჭარი იაფად იყიდის საქონელს და ძვირად კი ჰყიდისო, ე. ი. ბაზარზე კაპიტალი მოგებას გაცვლა-გამოცვლის გამო იძლევაო. გამოვარკვიოთ, ეს აზრი მართალია თუ არა. მეფაბრიკემ, სიტყვაზე, უნდა იყიდოს ორთქლით საქსოვი მანქანა; ბაზარზე გამოაქვს ჩითეული, რომელშიაც 500

დღის შრომაა და რომლის ნამდვილი ღირებულება, სიტყვაზე, 500 მანეთია. ბაზარზე ეს საქონელი, მხოლოდ იმიტომ რომ მეფაბრიკემ გასასყიდად გამოიტანა, ახალის ღირებულების ხომ არ გახდება? რა თქმა უნდა, არა. მეფაბრიკის საქონლის ღირებულება იყო 500 მანეთი, ხოლო მყიდველის ფულის ღირებულება 500 მანეთი. როცა ერთი-მეორეს გაუცვალეს ფული და საქონელი, ბაზარზე წინანდებურად 1000 მანეთის ღირებულება დარჩა და ერთის დრამის ოდენაც არ მოჰმატებია ამ ღირებულებას. მაშ საიდან რა მოიგო მეფაბრიკემ? ახლა ის წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი მეფაბრიკე თავის საქონელს, რო ღირს, იმაზე მეტად ჰყიდის. ჩვენი მეფაბრიკე თავის ჩითს 500 მანეთად კი არა, 600 მანეთად ჰყიდის. როცა მორიგდებიან, ბაზარზე ახალს ღირებულებას მაინც ვეღარ გააჩენენ. სულ ღირებულება იყო 1100 მანეთისა, (500 მანეთის საქონელი მეფაბრიკისა, 600 მანეთი ფული მყიდველისა), და ამდენივე დარჩა. მხოლოდ ახლა მეფაბრიკეს 600 მანეთის ღირებულება აქვს, ხოლო მყიდველს 500 მანეთისა. ღირებულება იმდენივე დარჩა, რამდენიც იყო, მხოლოდ მეფაბრიკემ 100 მანეთის მეტი ღირებულება აიღო. შეიძლება ეს 100 მანეთი იყოს მეფაბრიკის მოგება? სრულიადაც არა. თუ ყოველი მეფაბრიკე თავის საქონელს მის ღირებულებაზე მეტად გაჰყიდის, ბოლოს და ბოლოს მათგანი არავინ არას მოიგებს. ჩვენმა მეფაბრიკემ 500 მანეთის ღირებულების ჩითებში 600 მანეთი აიღო; უნდა იყიდოს საქსოვი მანქანა, რომელიც 500 მანეთად ღირს. მაგრამ საქსოვ მანქანის მეფაბრიკესაც უნდა ღირებულებაზე მეტი აიღოს, ე. ი. 500-ს მაგიერ 600 მანეთი. ჩვენმა ჩითეულობის ბეფაბრიკემ, რომელმაც ჩითის გაყიდვაში 100 მანეთი მოიგო, ახლა იგივე მო-

გება მანქანის ყიდვის დროს უნდა დაადოს, თორემ უმანქა-
ნობა არ 'შეუძლია. ამ ნაირად, ჩვენა ვხედავთ, რომ გაცვლით
ახალი ღირებულება არა ჩნდება და რომ კაპიტალს გაცვლა
კი არ მოაგებინებს ხოლმე. მაგრამ მეფაბრიკემ თავისი საქო-

ნელი მაინც უნდა გაჰყიდოს და, სადაც იქნება, უნდა მოი-
გოს. უამისოდ საქმეშია არ ჩაებმებოდა, მართალია, მეფაბ-
რიკე თავის საქონლის გაყიდვის დროს მოგებას ხედავს, მაგ-
რამ გაყიდვისაგან (გაცვლისაგან) კი არა, მაშასადამე, მოგება
მეფაბრიკემ გაყიდვამდე ანუ გაცვლამდე უნდა ნახოს სადმე.
მაგრამ რადგან ზედმეტი ღირებულება (მოგება) ციდან არ
დაეყრება კაპიტალისტს თავზე, ის ღა დაგვრჩენია ვიფიქროთ,
რომ კაპიტალი იგებს თვით საქონლის წარმოების დროს.
საქონელს აწარმოებს „მუშა ხელი“, მაშასადამე მხოლოდ ეს
უბედური ხელებია, რომ საქონელს აწარმოებენ და კაპიტა-
ლისტს მოგებას აძლევენ. მოდი ვნახოთ, როგორა ხდება ეს
ამბავი.

კაპიტალისტს უნდა საქსოვი ფაბრიკა გააშენოს. ააშენა
სახლი, იყიდა მანქანები, გამოიწერა ბამბა. მაგრამ „მუშა ხე-
ლიც“ საჭიროა. უიმისოდ, რაც უნდა მანქანები ჰქონდეს,
ოხრად დაურჩება ყველაფერი. ჩვენ ვიცით, რომ „მუშა ხე-
ლის“ შოვნა ბაზარზე შეიძლება სხვა საქონელთან ერთად.
კაპიტალისტიც იქითკენ მიემართება. ჰქირაობს მუშა ხელს.
რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებისაგან მათს
სამუშაო ძალას ჰქირაობს რამდენისამე ხნის ვადით: ერთის
დღით, ერთის თვით და სხ. მერე რამდენს აძლევს ამაში?
რადგან სამუშაო ძალა ბაზარზე იყიდება და ისიც საქონელია,
ღირებულება ამ სამუშაო ძალისა, როგორც ყველა სხვა
საქონლის ღირებულება, განიზომება შრომის იმ რაოდენობით,
რომელიც საჭიროა ამ საქონლის შესაქმნელად. სამუშაო ძალა
საქონელია, მხოლოდ სხვა საქონელს კაცის ხელი ჰქმნის, ეს
კი თვით ადამიანის სხეულში ჩნდება. ამ სამუშაო ძალის
შესაქმნელად საჭიროა ადამიანმა სჭამოს, სვას, ტანთ ჩაიცვას
და ბინა ჰქონდეს; ხოლო ყოველ ამისათვის საჭიროა შრომა.
მაშასადამე სამუშაო ძალის ღირებულება განიზომება იმ შრო-
მის რაოდენობით, რომელიც მუშის ცხოვრების საშუალების
მოსაპოვებლად არის საჭირო, მაგრამ მუშა მომაკვდავია, ხო-

ლო სამუშაო ძალა ნიადაგ საჭირო,ა. მუშა რა წამს მოკვდება,
მისი სამუშაო ძალაც ჰქრება და კაპიტალისტი უმუშახელოდ
დარჩება. ამიტომ საჭიროა მუშას მოადგილე ჰყავდეს,
რომ კაპიტალისტს სამუშაო ძალა არ დააკლდეს. ამიტომ
სამუშაო ძალის ღირებულება განიზომება იმ შრომის რაოდე-
ნობით, რომელიც საჭიროა მუშისა და მის ცოლშვილის
ცხოვრებისათვის საშუალების მოსაპოვებლად. ამ ღირებულე-

ბას მუშა იღებს სამუშაო ქირის სახით. ამ გვარად, კაპიტა-
ლისტმა, ანუ მომავალმა მეფაბრიკემ მუშებს უნდა მისცეს
მათი სამუშაო ძალის ღირებულება. ამის მაგივრად რას იღებს
კაპიტალისტი მუშებისაგან? ბაზარზე მუშა ხელის ხროვას თავს
რომ მოუყრის კაპიტალისტი, წამოიყვანს ფაბრიკაში და სამუშაო-
ზე დააყენებს. მუშა ხელი დაიწყებს ჩითის ქსოვას. მეფაბრიკემ
მუშას უნდა მისცეს მისის სამუშაო ძალის ღირებულება გადაჭ-
რილ დროსთვის, ხოლო თვითონ ღებულობს მუშის შრომას
იმავე დროის განმავლობაში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის
განაწილება შრომას უფრო ნაყოფიერად ხდის ე. ი. ყოველი
მწარმოებელი, მაგ., ერთს დღეში უფრო მეტს ნაყოფს აკე-
თებს, ვიდრე მას ერთს დღეს დასჭირდება თავის შესანახავად.
სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, მუშა მეტს ღირებულებასა ჰქმნის,
ვიდრე მისი ძალა ღირს ამ ერთ დღეში. თუ საჭმლისა, ტანი-
სამოსისა და სხვა საჭიროებისათვის მუშამ დღეში 6 საათი
უნდა იმუშავოს, ამ 6 საათის შრომას აუცილებელი შრომა
ჰქვიან. დღეში 6 საათის მუშაობა ესაჭიროება მუშას, რომ თავი
ირჩინოს, რომ თავის სამუშაო ძალის ღირებულება შეჰქმნას.
ხოლო თუ დღეში 6 საათზე ზევით მუშაობს, ეს ექვს საათზე
მეტი შრომა მისი დამატებით შრომა იქმნება. ამ სახით,
სამუშაო დღეში შედის შრომა აუცილებელი (სამუშაო ძა-
ლის ღირებულება) და შრომა დამატებითი.

ჩვენი ჩითეულის მეფაბრიკე მუშებს ქირაობს და უნდა
მისცეს სამუშაო ძალის ღირებულება ყოველ დღისა, ე. ი.
ყოველ დღე მხოლოდ აუცილებელ სამუშაო შრომისათვის

(6 საათის). მუშამ რომ ყოველ დღე მხოლოდ 6 საათი იმუშაოს,
იშრომებს იმდენს, რამდენიც ღირს მისი შენახვა და კაპიტა-
ლისტი მოგებას ვერაფერს ნახავდა. ის კი მუშებს დღეში 12
საათს ამუშავებს. ამ ნაირად, მუშებისაგან ყოველ-დღე ღებუ-
ლობს ზედმეტს ექვსი საათის შრომისას, ე. ი. ექვსი საათის
დამატებითს შრომას, რისთვისაც ხელფასს არ აძლევს. მუ-
შები ყოველ-დღე შრომის პირველ ექვს საათში (აუცილებელი
შრომა) თავისის სამუშაო ძალის ღირებულებას ღებულობენ
(იმას, რასაც კაპიტალისტისაგან სამუშაო ქირის სახით ღებუ-
ლობენ); ხოლო დანარჩენ ექვს საათს ზედ მეტ მუშაობას ასრულე-
ბენ, რისთვისაც მეფაბრიკე არაფერს იძლევა. აი ეს დამატებითი
ღირებულობა კაპიტალისტის მოგებაა. მაგალითით დავასურათოთ
ჩვენი ნათქვამი. მეფაბრიკე მუშებს დღეში ათ შაურს აძლევს. ყო-
ველ მუშას შეუძლია დღეში მოქსოვს ათი ადლი ჩითი, ყოველი
ადლი იყიდება თითო აბაზად. ვსთქვათ, საჩითე მასალა ყოველ
ადლისათვის ღირს შაურად და ხარჯიც მანქანებისა, შენობე-
ბისა და სხ. თითო შაურია, ასე რომ ყოველი ადლი ჩითი
მეფაბრიკეს ორი შაური უჯდება. მუშამ მუშაობა დაიწყო და
ნახევარ დღეს იმუშავა, ამ დროის განმავლობაში 5 ადლი
ჩითი მოქსოვა. ვიკითხოთ, რა ღირებულება შეჰქმნა მუშამ?
5 ადლი ჩითი, ადლი რო თითო აბაზათ ჩავაგდოთ, ეღირება

მანეთი. მეფაბრიკეს მასალა უჯდება თითო, ადლისა – ორი შაური, 5 ადლისა – ათი შაური. მაშასადამე, მუშამ ნახევარ დღეში შეჰქმნა ათის შაურის წმინდა ღირებულება. ეს სწორეთ იმდენია, რამდენსაც კაპიტალისტი აძლევს მთელს დღეში მის სამუშაო ძალისათვის. მუშამ ექვსი საათი რომ იმუშავა, ეს მისთვის – აუცილებელი შრომაა. ათის შაურის ღირებულება, იმან რომ შეჰქმნა, მისთვის – აუცილებელი ღირებულებაა. მუშას რომ ამ ექვსის საათის შემდეგ მუშაობა აეკვეთნა, მეფაბრიკე მოგებას ვერავითარს ნახავდა. დახარჯა ერთი მანეთი (ათი შაური მუშას მისცა, ათი შაური – ხუთი

ადლის მასალას) და მიიღებდა ერთს მანეთს, მაგრამ მუშა კიდევ 6 საათს მუშაობს, – ეს მისი დამატებითი შრომაა და კიდევ 5 ადლ ჩითსა ქსოვს. ახლა რა ღირებულება შეჰქმნა? მოქსოვა კიდევ ხუთი ადლი ჩითი, რომელიც ადლი ღირს აბაზად – ანუ სულ ერთ მანეთად. გამოვაკლოთ მასალის ათი შაური, დარჩება წმინდა ათი შაური. მუშამ თავისის დამატებითის შრომით შეჰქმნა დამატებითი ღირებულება ათის შაურისა, რომელიც პირდაპირ მეფაბრიკეს ჯიბეში ჩადის. აი ეს არის მოგება. ამ სახით, ჩვენი მეფაბრიკე ყოველ მუშისაგან ღებულობს დღეში ათის შაურის დამატებითს ღირებულებას, ანუ მოგებას. ახლა ჩვენთვის ადვილი გასაგებია, თუ მაგრე რად წუწუნებენ მეფაბრიკენი – „მუშა ხელი“ ცოტააო. მუშები მათ სჭირდებათ, რომ მეტი დამატებითი ღირებულება წაჰგლიჯონ. ამ დამატებითის ღირებულების რაოდენობა დამოკიდებულია პირველად, კაპიტალისტისათვის მომუშავეთა რიცხვზე; მეორედ იმაზე, თუ რამდენად ხანგრძლივია სამუშაო დღე და მესამედ – რამდენად ნაყოფიერია შრომა. რამდენიც მეტი კაცი მუშაობს კაპიტალისტთან, იმდენად მეტს დამატებითს ღირებულებას ღებულობს, იმდენად მეტს იგებს. რამდენად უფრო გრძელია სამუშაო დღე, იმდენად მეტია დამატებითი შრომა, იმდენად უფრო მეტს დამატებითს ღირებულებას იღებს კაპიტალისტი. თუ ჩვენმა კაპიტალისტმა მოახერხა როგორმე და მუშები 12 საათის მაგიერ დღეში 18 საათი ამუშავა, ყოველი მუშა დღეში 15 ადლ ჩითს მოქსოვს და მოანდომებს 6 საათის მაგიერ 12 საათს დამატებითს შრომას და მეფაბრიკესაც ააღებინებს ათის შაურის კი არა, მთელის მანეთის დამატებითს ღირებულებას. რაც უფრო ნაყოფიერია მუშის შრომა, მით უფრო ნაკლებს იმუშავებს თავის თავზე, ე. ი. მით უფრო ნაკლებია აუცლებელი შრომა, და მით უფრო მეტს იშრომებს კაპიტალისტისათვის, ე. ი. მით უფრო. მეტი იქნება დამატებითი შრომა და შექმნა დამატებითის ღირებულებისა. ჩვენს მეფაბრიკესთან მუშა დღეში

ღებულობს ათს შაურს და ქსოვს ათს ადლს ჩითს; მაშასადა-

მე, ყოველ ადლზე იღებს ერთს შაურს. მეფაბრიკე ერთს ადლს ჩითს ყიდის აბაზად. აქედან ორი შაური მასალის ფასია. მეფაბრიკისა და მუშის წილად ორი შაური რჩება. შაურს იღებს მუშა (სამუშაო ქირა ერთის ადლისა), ხოლო შაურს – კაპიტალისტი (მისი მოგება). ე. ი. წმინდა ღირებულება საქონლისა (უმასალოდ) შესდგება სამუშაო ქირის და კაპიტალისტის მოგებისაგან. აქედან ის უნდა დაესკვნათ, რომ რამდენად უფრო დიდია სამუშაო ქირა, იმდენად ნაკლებია მოგება და წინაუკმო. თუ მუშის ქირამ დღეში სამაბაზნახევრამდე აიწია, კაპიტალისტის მოგება ექვს შაურზე ჩამოვა; ჩითის თითოეულ ადლის წმინდა ღირებულებიდან მუშა აიღებდა 7 კაპიკს ხოლო კაპიტალისტი – 3 კაპიკს.

აქედან ისა სჩანს, რომ კაპიტალისტსა და მუშის შრომის მუდმივი ბრძოლაა. კაპიტალისტი იმის ცდაშია გააგრძელოს სამუშაო დღე და შეამციროს სამუშაო ქირა, ხოლო მუშა ცდილობს შეამციროს სამუშაო დღე და გაადიდოს ქირა.

შემდეგში ჩვენ დავინახავთ თუ რა ხეირი აქვს კაპიტალისტს ამ ბრძოლის დროს და როგორ იჩაგრება მუშა, დავინახავთ, თუ როგორა ჰყავს ხელში დაჭერილი კაპიტალისტს ხელ-ფეხ-შეკრული მუშა. ეს-ეს იყო ვსთქვით, რომ თუ სამუშაო ქირამ მოიმატა, მეფაბრიკის მოგებაც ამდენზედვე შემცირდება მაგრამ შეიძლება დანაკარგი იმით აინაზღუროს, რომ საქონელს ფასს აუწევს, მაგალითად, ერთს ადლ ჩითს აბაზის მაგივრად 22 კაპიკად გაჰყიდის? კაპიტალისტს სულ თავის ქეიფზე სიარული არ შეუძლია. თუ თავისს ჩითს ფასი აუწია, სხვა მეფაბრიკენი შეეცილებიან. სხვები ადლ ჩითს აბაზად გაჰყიდიან და ჩვენი მეფაბრიკე უმუშტროდ დარჩება. მეფაბრიკე იმ მოგებას უნდა დასჯერდეს, რაც რჩება მის წილად საქონლის წმინდა ღირებულებისაგან, სამუშაო ქირისა და სხვა ხარჯების გამოკლების შემდეგ. ახლა ჩვენა ვხედავთ, რომ მოგებას მეფაბრიკე თავის საქონლის გაყიდვის დროს კი

არა ხედავს, მოგება რჩება გაყიდვამდე, ბაზარს გარეშე, მოგებასა ჰქმნის მუშის დამატებითი შრომა, **დამატებითის ღირებულების** სახით. მაგრამ მხოლოდ საქონლის გაყიდვის დროს ჩნდება კაპიტალისტის მოგება, მხოლოდ მაშინ ჩნდება, რომ მეფაბრიკე თავის საქონლის სახით ჰყიდის მუშების შრომას, რომელიც დახარჯულია განსაზღვრულ ხნის განმავლობაში, ხოლო მუშებს მისცა მათის შრომის მთელი ქირა კი არა, არამედ იმ შრომისათვის, რაც აუცილებელი იყო მათის არსებობისათვის, ე. ი. სამუშაო ძალის ღირებულება.

ჩვენ მიერ განხილული ანბავი იმისა, თუ საიდგან წარმოსდგა დამატებითი ღირებულება, აშკარად და ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ იყვლიფება მუშა კაპიტალისტისაგან. მართლაც და ამაზე ცხადი და ნათელი რაღა უნდა იყოს! ერთის მხრით ვხედავთ მუშას, რომელსაც ხელების მეტი არაფერი გააჩნია, მეორეს მხრით კაპიტალისტს, რომელისაც ხელში ჩაუგდია ყოველი

საშუალება წარმოებისა; ცხადია, რომ მუშას გაჭირება აიძულებს ხელში ჩაუვარდეს კაპიტალისტს და ისიც უკანასკნელს სი-სხლისა სწოვს თავისს მსხვერპლს. უსამართლო და ულმობელია ასეთი წესწყობილება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წარმოებაში თავი და თავი საქმეა კაპიტალი. მისის შემწეობით აშენებენ ფაბრიკებს, ჰყიდულობენ მანქანებს, ამზადებენ დაუმუშავებელ მასალას, ანაწილებენ სამუშაოს, ჰპოულობენ ბაზარს საქონ-ლის გასასაღებლად; იგივე კაპიტალია, ნიადაგ რო ცდილობს გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. რამდენადაც კაპიტალის პატრონი **პირდაპირ** მონაწილეობას იღებს წარმოებაში, იმასაც, როგორც მუშას, უფლება აქვს ნაწარმოების წილი მოითხო-ვოს, წილი იმ ნაწარმოებისა, რომელიც საერთო შრომით არის შექმნილი. მხოლოდ უბედურება ის არის, რომ კაპი-ტალისტი, თავისის მდგომარეობის წყალობით, სუყველაფერს თავისკენ ითლის.

მაგრამ სხვა სახითაც იყვლიფება მუშა კაპიტალისტისაგან. ეს ის სახეა, როცა კაპიტალისტს თვით წარმოების საქმესთან

არავითარი კავშირი აქვს. მაგრამ ამისდა მიუხედავად მუშათა შრომით შეჰქმნილ დამატებითს ღირებულებას სავსებით ეპა-ტრონება. ზოგი სოფლებია, მაგალითად, შინათმრეწველობით რო სცხოვრობს. შინათმრეწველი წვრილი ხელოსანია – მე-დელი, ხარაზი, მეკეცე, შალების მქსოველი და სხ. ესენი თავიანთს სახლებში საქმობენ, აქვსთ საჭირო ხელსაწყო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დაუმუშავებელ მასალის (მატყლის, რკინის, ტყავის და სხ.) სასყიდელი თანხა არა აქვსთ, იმ მასალისა, რომლისაგან თავიანთს ნაწარმოებს აკეთებენ. აი სწორედ აქა სჩნდება კაპიტალისტი ქალაქელ ვაჭრისა ან სოფლელი ჩარჩის სახით. უბედურ შინათმრეწველს ეუბნება: „მართალია, ხელსაწყო გაქვს სამუშაოდ, მაგრამ მასალის სას-ყიდელი ფული გაკლია. მასალის სასყიდლის ფულს მე მოგ-ცემ, მაგრამ მერე საქონელი ხელსაყრელ ფასად უნდა მომცე“. მწარე გამოცდილებით იცის შინათ-მრეწველმა, თუ რას ნიშ-ნავს ეს „ხელსაყრელი“ ფასი; იცის, რომ თავის გაკეთებულ საქონელში იმაზე ოდნავ მეტს აიღებს, ვიდრე თვით მასალა ღირს. მაგრამ მეტი გზა აღარაა, დანა ყელთან არის მისული. ვაჭარს ფულს ართმევს, ჰყიდულობს მასალას და დროებით თით-ქო დამოუკიდებელი მწარმოებელია. მაგრამ ეს მხოლოდ მწარე დაცინვაა ბედისა: როცა საქონელს დაამზადებს და თავის მოვალე ვაჭარს წაუღებს, დაინახავს, რომ მოგება იმდენივე რჩება, რამდენიც რომელიც გინდა ქარხნის მუშას, რომელსაც თავის „ხელების" მეტი არაფერი გააჩნია ქვ)ყანაზე.

ჩვენი ვაჭარი თვით წარმოების საქმეში არ ერია. იმას დარდი სრულებით არ აწუხებს, შინათმრეწველი რა იარაღით მუშაობს ან ზეინკალი რამდენს დროს ანდომებს ბოქლომის გაკეთებას ან მეწაღე წაღებს რამდენს ხანში ჰკე-რავს, იმისი დარდი ისაა, თუ როგორ გააუმჯობესოს წარმოე-

ბა და შრომა უფრო ნაყოფიერი გახადოს; იცის, რომ თავი-
სას აიღებს. თუ ფაბრიკის მეტოქეობის წყალობით ბოქლომე-
ბის ფასი დაეცა, უფრო ხელს მოუჭერს შინათმრეწველს და

მის კისრიდან არამც თუ მისის შრომით შეჰქმნილ დამატებითს
ღირებულებას ამოიღებს, არამედ აუცილებელ შრომის ღირე-
ბულების ნაწილსაც წაართმევს.

რა დამოკიდებულებაშიაც ვაჭარს შინათმრეწველი ჰყავს,
იმავე დამოკიდებულებაში ჰყავს მიწის მუშა გლეხი მემამულეს.
ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ მიწა, რომელსაც მთელის საუკუნოე-
ბით გლეხი ამუშავებდა, მემამულის საკუთრებათ გახდა და
რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხებს ისე ცოტა
მიწა მიუზომეს, რომ ცოლშვილის შესანახავად არ ეყოფო-
დათ. ასე ცოტა მიწა იმიტომ მიუზომეს, რომ გლეხები იძუ-
ლებული გაეხადნათ მემამულეთა მიწები დაემუშავებინათ და
ამ დამუშავებისათვის, რა თქმა უნდა, სასყიდელი უნდა მიე-
ცათ. მემამულე გლეხს ან იჯარით აძლევს მიწას ან საღა-
ლოდ. გლეხი თავის გუთნითა ხნავს მიწას, თესლი თავისი
აქვს, როცა საჭიროა, ზედ პატივს აყრის, ერთის სიტყვით,
მიწას ყველაფერს უშვრება, რაც კი საჭიროა პურის მოსაყვა-
ნად. მემამულე კი პურის მოწევაში არ ერევა; ის იმასღა
სცდილობს, საიჯარო ქირის ან ღალის სახით აიღოს დამატე-
ბითი ღირებულება, რომელიც შეჰქმნა გლეხმა.

ნათქვამიდანა სჩანს, რომ კაპიტალისტი მწარმოებელისა-
გან დამატებითს ღირებულებას არა მარტო მაშინ იღებს,
როცა ეს უკანასკენელი მოკლებულია საწარმოო საშუალებას
და გადაქცეულია ,,მუშა ხელად“, არამედ მაშინაც კი, როცა
მწარმოებელი ნახევრად დამოუკიდებელ პატრონის მდგომა-
რეობაშია. კაპიტალისტმა, რომელსაც ჩაუგდია „მუშა ხელი“,
თვითონ უნდა მოაწყოს წარმოების საქმე და იზრუნოს მის
წარმატებისა და გაუმჯობესებისათვის. თუმცა კაპიტალისტი
ამ შემთხვევაში თავის პირად სარგებლობას მისდევს, ე. ი.
სცდილობს მოიგოს და უსულღმერთოდ ყვლეფავს მუშას, მაგ-
რამ ამავე დროს თავისდა უნებურად საზოგადოებისათვის სარ-
გებლობა მოაქვს იმით, რომ ძალაუნებურად ნიადაგ აუმჯობე-
სებს წარმოების საშუალებას და ამიტომ ადიდებს შრომის

ნაყოფიერებას და თანაც მუშებს აჩვევს საერთო რთულ
მუშაობას – საზოგადოებრივ წარმოებას. ხოლო როცა კაპიტა-
ლისტი ნახევრად დამოუკიდებელ მწარმოებელთ უკანასკნელ
სისხლსა სწოვს და თვით წარმოებაში კი მუქთახორების მეტს
არაფერს აკეთებს, მისი და მისთა მზგავსთა საქციელი ძარცვა-
გლეჯაა, რომელიც თანამედროვე ცხოვრებისაგან კანონიერად
და სამართლიანად არის აღიარებული.

დამატებითი ღირებულება, რა სახითაც უნდა იქმნას

აღებული მუშათა კლასისაგან, **ერთად-ერთი** წყაროა მოგებისა კაპიტალისტურ წარმოების დროს. ამიტომ ყოველ წარმოების დროს კაპიტალისტის მიერ აღებული მოგების სიდიდე პირდაპირ წარმოებაში გაბმულ მუშათა რიცხვზეა დამოკიდებულლ: რაც უფრო მეტი მუშა ჰყავს, იმდენად მეტს დამატებითს ღირებულებას იღებს, იმდენად მეტი უნდა იყოს მისი მოგება. ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა. ვაჭრის ორს შვილსა მამისაგან მემკვიდრეობად დარჩათ თითოს 10,000 მანეთი. ორივე ძმა იმ აზრისა იყო, რომ კაპიტალი საქმეში უნდა ჩავაბანდოთ და გავზარდოთო, მხოლოდ გემოვნება კი სხვადასხვა ჰქონდათ. ერთი ჩუმანა კაცი იყო და უფრო ძველებურ ცხოვრებას უჭერდა მხარს. მეორე კი უფრო გაბედული იყო და უნდოდა რამე ახალი და მოსაგები საქმე დაეწყო. ჩუმანამ ნიშანში ამოიღო ერთი ტყავის ქარხანა, სადაც ყველაფერი ძველებურად, მამაპაპურად კეთდებოდა: აღარც მანქანები იყო, შენობაც უბრალო იყო; ყველაფრის მოწყობა იაფად შეიძლებოდა. მართალია, საქმე ისეთი იყო, რომ მუშები ბევრი სჭირდებოდა – მთელი 50 კაცი – მაგრამ ჩუმანას ამის არ ეშინოდა: გამოცდილი იყო და იცოდა, რომ კაპიტალის საშუალებით მუშას თოკად დავგრეხო. შეუძლებელი შეიძლებაო. მთელი თავისი 10,000 მანეთი ჩაჰყარა საქმეში. იყიდა ქარხანა, დაუმუშავებელი მასალა, დაიქირავა მუშები. – ერთის სიტყვით, საქმე ციბრუტივით დაატრიალა.

მეორე ძმამ ყური მოჰკრა, რომ ამერიკაში ისეთი მანქანა

გამოუგონიათ, რომ თავისით ფეხსაცმელს ჰკერავსო. „ფეხთსაცმელის მეხანიკურ მანუფაკტურას“ გავიჩენო, იფიქრა. თქმა და ასრულება ერთი იყო. ზღვის გაღმელიდან ძვირფასი მანქანები გამოიწერა, ააშენა შესაფერი შენობა, იყიდა ტყავები, დაიქირავა მუშები და დაიწყო წაღების კერვა. თავის ძმასავით, ამანაც თავისი 10,000 მანეთი მთლად ჩასდო საქმეში. მაგრამ მისს მანქანებს მხოლოდ 30 კაცი სჭირდებოდა. საქმე ორსავე ძმას კარგად წაუვიდა. ამ სახით, ორმავე ძმამ საქმის დაწყებას ერთნაირი თანხა მოახმარა – 10,000 მანეთი. მაგრამ ერთი საქმეს ისე აწარმოვებს, რომ 50 კაცი სჭირია, ხოლო მეორეს-კი მხოლოდ 30 კაცი უნდება. ახლა ვიკითხოთ, რომელი ძმა უფრო მეტს ფულს მოიგებს?

რადგან ჩვენ ვიცით, რომ სიდიდე დამატებითის ღირებულებისა და ამიტომ მოგებისაც მატულობს მუშების რიცხვთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ მეტყავემ მეტი მოგება უნდა ნახოს, ვიდრე „ფეხთსაცმელის მეხანიკურ მანუფაკტურის" პატრონმა: პირველს 50 მუშა ჰყავს, ხოლო მეორეს მხოლოდ 30. ეს ასეც იქმნებოდა, რომ საქმეში არ გარეოდა ერთი ჩვენი ნაცნობი მოვლენა – შეცილება.

მეტყავეს, მართლაც, თავის გაბედულ ძმაზე მეტი მოგება რომ ჰქონოდა, დიდხანს არ გაუგრძელდებოდა მისი სიხარული. რისთვის? იმისთვის, რომ მოგება გულს არავის და-

ძმარავს და არა ერთი და ორი კაპიტალისტი მოჰკიდებდა ხელს მეტყაეობას იმ იმედით, რომ სხვაზე მოსაგები საქმეა და გავკეთდებიო. და ბოლოს ის იქნება, რომ ტყავებს ბევრს გააკეთებენ, წინადადება გაძლიერდება, გამყიდველთ შორის გაიმართება შეცილება, საბაზრო ფასი ტყავისა მის ნამ-დვილ ფასზე დაბლა დაეცემა და ამიტომ მეტყავის მოგება შე-მცირდება: ნაწილი დამატებითის ღირებულებისა, მუშას რომ წაჰგლიჯა, ხელიდან გაუსხლტდება. ასეთი ამბავი მანამდე გაგრძელდება, სანამ მეტყავების საქმის მოგება გაუტოლდება მოგებას, რომელსაც იძლევა „ფეხსაცმელის მეხანიკური მანუ-

ფაკტურა“, ანუ მისი მსგავსი საქმე, სადაც ერთმანეთის ტოლი თანხაა დახარჯული, მუშების რიცხვი შედარებით მცირედია და შედარებით მეტია დახარჯული მანქანებისა, შენობებისა და სხვათათვის. თუ ტყავეულების ფასმა კიდევ დაიწია, მაშინ ერთი ნაწილი კაპიტალისტებისა ამ საქმეს თავს დაანებებს და ხელს მოჰკიდებს ისეთს, რომელიც კაპიტალზე იმდენს მოგებას მაინც მისცემს, რამდენსაც იძლევა „ფეხსაცმელის მეხანიკური მანუფაკტურა“. წარმოების შემცირებასთან ერთად საბაზრო ფასი ტყავეულებისა აიწევა და ჩვენი ჩუმანა მეტყავე ისევ მეტს მოიგებს, მაგრამ იმაზე მეტს არა, რამდენისაც მისი ოსტატი ძმა გებულობს. იმიტომ რომ შეცილება დარაჯად უდგას ორთავეს და ეუბნება – თქვენს გაუმაძღრობასაც საზღვა-რი უნდა ჰქონდესო.

ამნაირად შეცილება (კონკურენცია)კაპიტალისტურ წარ-მოების ყოველ დარგში ათანასწორებს მოგებას. ეს ამბავი ისე ხდება, რომ წარმოების იმ დარგში, რომელმაც კაპიტალისტს სხვა საქმეზე მეტი მოგება უნდა აჩვენოს, კაპიტალისტი იძუ-ლებულია საქონელი მის ნამდვილ ღირებულების ნაკლებად გაჰყიდოს და ხელი აიღოს მოგების ერთ ნაწილზე, თუ უნდა დანარჩენი შეინარჩუნოს.

განა მუშის შრომა როდისმე დაჯილდოვებულია სავსებით? მუშა ათასნაირ ხარკს იხდის და ამის მაგიერ სახელმწიფო რას აძ-ლევს მას! უმეტესი წილი ამ გადასახადებისა მთავრობის შესა-ნახავად მიდის. მეორე წილი ჯარს უნდება, იმ ჯარს რომლისა-თვისაც მუშა ოჯახებიდან გაჰყავსთ უფრო ღონიერი და უფრო ტანმრთელი ყმაწვილები, ოჯახის ბურჯნი და შემნახვენი. არა ნაკლები ფული იხარჯება გაკოტრებულ მემამულეთა და გა-უმაძღარ მეფაბრიკეთა შესაწევრად და მშრომელ ხალხს ორიო-დე გროში თუღა ერგება შიმშილობის დროს, იაფ ფასიან დაბაო სკოლებისათვის, საექიმო შემწეობისათვის და სხ. თითქო საკმა-რისი არ იყოს ისა, რომ მემამულე და მეფაბრიკე მშრომელ ხალხს ცალკ-ცალკე უსასყიდლოდ ართმევენ, ყველანი ერთად,

სახელმწიფოს დახმარებით, უსასყიდლოდვე ართმევენ ნაშრომს,

ნარდად.

უსასყიდლო შრომა, დამატებითი ღირებულება ყველა ნაირი და ყველა სახისა – აი საძირკველი ყველა მდიდარ კლასთა და წოდებათა სიმდიდრისა. ახლანდელს დროში თუ ფული გაქვს, შეგიძლიან ჩხირიც არ გადააბრუნო და ისე იცხოვრო: ფული ბანკში შეიტანე და შენ-კი არხეინად სარგებელი აიღე. ფული ფულსა ჰშობს. ვიკითხოთ, ფული ფულს როგორღა შობს? და ან ამ მშობიარობის დროს ბებიად ვინ არის? ვინა და იგივე მემამულე, იგივე მეფაბრიკე, იგივე ვაჭარი, რომელნიც მშრომელ ხალხს დამატებითს ღირებულებას ართმევენ. ამ ღირებულების წართმევა უსასყიდლოდ იმიტომ შეუძლიათ, რომ ცარიელის ხელით გაკეთება არაფრისა შეიძლება: უნდა გქონდეს მიწა, მასალა, ხელსაწყო, მანქანები, ხოლო ყოველივე ეს რომ შეიძინო, ფულია საჭირო. მოხერხებულ კაცს ოღონდ ფული მიეცი, და ელვის სიმალეზე მოგიწყობს მუშების ყვლეფის საქმეს. მაგრამ არიან მოუხერხებელი კაცებიც, რომელთაც არ იციან, თავიანთს ფულს რა უყონ. აი სწორედ ასეთებისათვის არის ბანკები და შემნახველ-დამზოგველი კასსები. ზარმაცსა და უგერგილო კაცს ფული აქ შეაქვს. ხოლო მოხერხებული და მარჯვე კი ამ ფულებს ღებულობს და ატრიალებს, მოგებას კი იყოფენ! ერთს ნაწილს აძლევენ ფულის მიმაბარებელს, ერთს ნაწილს ბანკის პატრონი იღებს. ხოლო დანარჩენი იმასა რჩება, ვინც რამე საქმეს მოახმარა მიბარებული ფული.

და აი მშრომელ ხალხის ზურგზე წამომჯდარან და ბუქნაობენ: ჩარჩი, ქვეყნის წურბელა, მოიჯარადრე, ვაჭარი, მემამულე, მექარხნე, მეფაბრიკე, ბანკირები და სხ., ყველა ესენი შეადგენენ ერთს ოჯახს, ერთს უშველებელ კლასს ექსპლუატატორებისას (სხვისის შრომის წამგლეჯთა); ხოლო მათს პირისპირ დამდგარია ვრთი განუზომელად უფრო დიდი კლასი მშრომელ მუშათა.

მეშვიდე თავი.

ხელფასი.

ყოველი ადამიანი, ვისაც კი არ შეუძლია სხვისის ნაშრომით და ნაოფლარით იცხოვროს, იძულებულია თვითონ თავის მარჯვენით მოიპოვოს სახსარი არსებობისა. რისთვის უნდა იშრომოს? ან რას ჰქვიან შრომას? შრომა იმასა ჰქვიან, როცა კაცმა თავის სამუშაო ძალით უნდა დაიმუშაოს ბუნების ესა თუ ის საგანი და ეს საგანი გამოიყენოს ცხოვრებაში. გლეხი მიწას ხნავს და შიგ ოფლს ჰღვრის, რომ მერე სასარგებლო საგანი – პური მოიწიოს; მადნის მთხრელი მიწასა ჰქექავს, რომ იქიდან სასარგებლო საგანი ამოიღოს – სპილენძი, ვერცხლი და სხ. აქედან ნათლად სჩანს, რომ ადამიანს არსებობისათვის საჭირო სახსარის მოსაპოვებელად უნდა ჰქონდეს, ჯერ ერთი,

სამუშაო ძალა და, მეორედ, ბუნების ის საგანი, რომელიც უნდა დაამუშავოს, ანუ საწარმავო საშუალება. უხსოვარ დროში მაინც ასე იყო: ვისაც სამუშავო ძალა ჰქონდა, საწარმოვო საშვალებაც იმასა ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ კაცობრიობამ ახალი წესწყობილება შემოიღო. ჩვენ დავინახეთ, კაცობრიობამ რამდენი წვალება გამოიარა, როგორ წაერთვა საწარმოვო საშუალება. წინად, მწარმობელი ღა საწარმოვო საშუალება განუშორებელი იყო, ისე როგორც განუშორებელია თევზი და წყალი, რომელშიაც ის სცხოვრობს. ახლა მწარმოებელი ორად არის გაგლეჯილი: დატოვებული აქვს სამუშაო ძალა (ალბად იმიტომ რომ, სხეულიდან ვეღარ ამოჰგლიჯეს), ხოლო საწარმოვო საშუალება წაერთვა კაპიტალისტების ხელში გადავიდა. სამუშაო ძალას, რაც უნდა დიდი იყოს, არ შეუძლია შეჰქმნას,ცხოვრებისათვის საჭირო საშვალება იქ, საცა არაფერია: სჭირია საწარმოვო საშუალება, შიმშილი კი ვალალას აყრის და თავს ამტვრევინებს საშუალების საშოვნელად. აქ კაპიტალისტი კისერზე საბელს მოაბამს ტანჯვის შვილს და თავისთვის ამუშავებს.

წინა თავში ჩვენა ვხედავდით, სამუშავო ძალისაგან როგორ გამოსწურავს ხოლმე კაპიტალისტი დამატებითს ღირებულებას – თავისს მოგებას – და ამავე დროს მუშას როგორ აძლევს მხოლოდ სამუშავო ძალის აუცილებელ ღირებულებას. ახლა ჩვენ დაახლოვებით განვიხილოთ ეს აუცილებელი ღირებულება, რომელსაც მუშა ხელფასის სახით ღებულობს.

მუშას თავისი სამუშავო ძალა ბაზარზე გამოაქვს, სადაც ამ ძალას კაპიტალისტი ჰყიდულობს. ბაზარზე სამუშაო ძალა იგივე საქონელია, ამიტომ მისი ღირებულება იმნაირადვე ფასდება, როგორც ღირებულება ყველა სხვა საქონლისა.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ სამუშავო ძალის ღირებულება განიზომება შრომის რაოდენობით, რომელიც მის შესაქმნელად არის საჭირო, ე. ი. საცხოვრებელ სახსარის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მუშისა და მის ოჯახისათვის. ამ საშუალებათა ღირებულებას ანუ ეგრედ წოდებულ აუცილებელ ღირებულებას მუშები იღებენ სამუშავო ქირის სახით. რაც უფრო მცირეა ღირებულება მუშის ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებისა, იმდენად ნაკლებია მისი ხელფასი, და წინაუკმო. მაშასადამე, ხელფასის მომატება კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მუშათა მდგომარეობა ვითომ გაუმჯობესდა. უნდა ვიკითხოთ, თუ რა ზომისაა ღირებულება საცხოვრებელ საშუალებათა და მერე ვსთქვათ რამე. თუ მაგალითაღ, 15 წლის განმავლობაში ხელფასმა ერთი ორად იმატა, ხოლო საცხოვრებელი საშუალება წინანდელზე ერთი ორად გაძვირდა, ამ შემთხვევაში მუშათა მდგომარეობა გაუარესდება, თუმცა ხელფასმა, წინანდელთან შედარებით, იმატა.

საცხოვრებელ საშვალებათა რაოდენობა ანუ სიდიდე ხელფასისა, რომელსაც მუშები ღებულობენ, დამოკიდებულია

მუშების ზნე-ჩვეულებასა, მოთხოვნილებასა და ჰავაზე, რომელშიაც ისინი სცხოვრობენ. ინგლისელი მუშა უხორცოდ და უყავოდ პურს არა სჭამს და ამასთან ბევრს ლუდსა სვამს. ეს ჩვეულება ისე გაუჯდა იქაურ მუშას ძვალსა და რბილში,

რომ ეს სანოვაგე არსებობისათვის აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია და უიმათოდ უხალისოდ მუშაობს. ასე რომ ინგლისელ მუშის ხელფასში უნდა შედიოდეს ამ სანოვაგეთა ღირებულებაცა. ჩვენებური მუშა ყოველ დღე ასეთს საჭმელს სიზმარში თუ ნახავს.

ჩვენში ქარხნის მუშა ხელფასს იმდენს იღებს, რომ შეუძლია მხოლოდ იყიდოს პური, შეატანოს ყველი და დააყოლოს ცოტაოდენი ღვინო.

ინგლისელი მუშა კი ისეთს ფაბრიკასაც დალეწდა, სადაც ასეთს საჭმლისათვის სასყიდელ ქირაზე მეტს ვერ აიღებდა. ჩვენი მუშა კი ამას სჯერდება.

რაც უფრო ნასწავლი და განვითარებულია მუშა, იმდენი მეტი საშუალება სჭირია ცხოვრებისათვის, რომ ადამიანურად იცხოვროს და კარგად მუშაობაც შეიძლოს.

ინგლისელი და გერმანელი მუშა ისეთს ქოხში არ იცხოვრებს, როგორშიაც ჩვენებური მუშა სცხოვრობს. გარდა ამისა, იქაური მუშა ხანდისხან წიგნსაც ყიდულობს, დრო-გამოშვებით თეატრშიაც წავა. მათი სამუშაო ქირა ყოველსავე ამ ხარჯს უნდა გასწვდეს, თორემ ფაბრიკებში ხშირად უწე.-სოებას მოახდენენ, და მუშაობა შეფერხდება.

ჰავასაც გავლენა აქვს ხელფასის მეტნაკლებობაზე, იტალიაში ან კიდევ ჩვენში ისეთი თბილი და შეზავებული ჰაავაა, რომ მუშას ისეთი ტანისამოსიც ეყოფა, რომელსაც მარტოოდენ მისის სიშიშვლის დაფარვა შეეძლოს; თუ ბინაც აქვს, კარგი, თუ არა და, არც იმისთვის დაგიღონდებათ: სადმე სახლის აივანზე ან პირდაპირ ქუჩაშიაც ცის ქვეშ კარგად დაიძინებს. ცივ ქვეყნის მუშას კი სჭირია ტყაპუჭი, ფეხის სათბურები, უნდა ჰქონდეს თბილი ბინა. არაყიც არ უნდა აკლდეს, თორემ სიცივის დროს და ისიც ცუდ საჭმელთან უამისოდ ტანს ვერ გაითბობს. იტალიელ მუშასთან შედარებით რუსეთის მუშა დიდ ხელფასს იღებს, მაგრამ ეს მაინც ცრემლს ვერ მოსწმენდს, რადგან ფული ისეთს რაშიმე

ეხარჯება ურომლოდაც თბილ ჰავაში იოლად გაივლიდა. მაშასადამე, ხელფასის რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს მუშის ზნე-ჩვეულებასა, გონებრივ განვითარებასა და ჰავაზე, რომელშიაც ისა სცხოვრობს.

მანუფაკტურის მუშები ფაბრიკის მუშებზე მეტს ხელფასს ყოველთვის ღებულობენ. მანუფაკტურაში მუშაობენ ხელოსნები, რომელთაც საწარმოვო იარაღი დაეკარგათ. სანამ კარგი ხე-

ლოსანი გახდებოდეს კაცი, ბევრი უნდა იშრომოს, რომ ხელოობა ისწავლოს. სწორედ ეს სწავლისათვის საჭირო შრომაა, რომ ხელოსნის სამუშაო ძალის ღირებულებას ადიდებს. მოვიტანოთ მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ ზეინკალმა, სანამ თავისს ხელობას ისწავლიდეს, უნდა დახარჯოს თავის შესანახად, გაფუჭებულ მასალისა და ხელსაწყოსათვის, ხელოსანს უნდა მისცეს სწავლებისა – სულ 900 მანეთი. სულერთია, ზეინკალს ეს ფული აქვს და ზემოჩამოთვლილისათვის ხარჯავს, თუ სასწავლებლად რომელსამე ზეინკალს შაგირდად მიებარება. უკანასკნელ შემთხვევაში პატრონთან უნდა იმუშაოს სწავლებამდე ან სწავლის შემდეგ. ერთის სიტყვით, რომ კაცმა ისწავლოს ზეინკლობა, საჭიროა 900 მანეთის ღირებულება ნაწარმოების ან შრომის სახით. თუ სწავლის შემდეგ ყოველს ხელოსანს შეუძლია საშუალო რიცხვით იმუშაოს 30 წელიწადს, სწავლისათვის დანახარჯ ფულიდან წლიურად მოუწევს 30 მანეთი. თუ აუცილებელი ღირებელება ჩვეულებრივის სამუშაო ძალისა (ე. ი. მუშისა და მის ოჯახის საცხოვრებლად საჭირო საშუალება) წელიწადში 150 მანეთია, იმ შემთხვევაში მემანუფაქტურე, რომელიც წლიურად ჰქირაობს ხელოსანს, მისცემს არა მარტო ამ 150 მანეთს, არამედ 30 მანეთსაც (სწავლაში რომ არის დახარჯული), რომელიც მოუწევს ამ წლის მუშაობაზე. მაშასადამე, ხელოსნის სამუშაო ძალის ღირებულება შეიცავს არა მარტო ცხოვრებისათვის საჭირო საშუალების ღირებულებას, არამედ ღირებულებას იმ საშუალებისასაც, რომელიც დახარჯულია მის სწავლებაში.

რაც უფრო მეტი სწავლა სჭირია ხელოსანს, მისი სამუშაო ძალის ღირებულებაც მეტია, მისი ხელფასიც მით უფრო დიდია. ზეინკალი უფრო მეტს ხელფასს ღებულობს, ვიდრე მჭედელი: მესაათე – უფრო მეტს ღებულობს, ვიდრე ზეინკალი, ხოლო ხელოსანი, რომელიც აკეთებს დურბინდებს, წვრილმადიდებს და სხ., უფრო მეტს ხელფასს ღებულობს.

ჩვენ განვიხილეთ სამუშაო ძალის ღირებულება, ახლა განვიხილოთ მისი საბაზრო ფასი. ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენი სჭირდება მუშას; ახლა გავიგოთ, რამდენს ღებულობს მუშა თავის სამუშაო ძალისათვის.

მეოთხე თავიდან უკვე ვიცით, რომ საბაზრო ფასი საქონლისა ხან მეტია, ხან ნაკლები მისის ნამდვილის ღირებულებისა. როცა მოთხოვნილება მატულობს, შეცილება იმართება მყიდველთ შორის, საქონლის ფასი მატულობს; ხულო როცა წინადადება მატულობს, შეცილება იმართება გამყიდველთა შორის და საქონლის ფასი ეცემა. საზოგადოდ, შეცილებას წყალობით საქონლის ნამდვილი ღირებულება და მისი საბაზრო ფასი ერთმანეთს უტოლდება. ეგევე ხდება სამუშაო ძალის შესახებაც, თუ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება დიდია, მაგალ. როცა ახალი კაპიტალისტური საქმეები იწყება, გაიმართება შეცილება მყიდველთა შორის (კაპიტალისტები) და ხელფასი ამაზე მეტი

იქნება, რამდენადაც აუცილებლადაა ღირს სამუშაო ძალა. ჩვენ ვიცით, რომ როცა რომელსამე საქონელზე მოთხოვნილება იზრდება, მოკლე ხანში ამ საქონელს ბევრსა აკეთებენ და იზრდება წინადადება. ვიკითხოთ, როგორ იზრდება წარმოება და წინადადება სამუშაო ძალისა იმის შემდეგ, როცა იმატებს მასზე მოთხოვნილება? მოგახსენებთ.

როცა ხელფასი აუცილებელ ღირებულებაზე მეტია, ე. ი. იმაზე მეტია, რამდენიც მუშასა სჭირია არსებობისათვის, უმჯობესდება მუშის მდგომარეობა. ეს გაუმჯობესება იმით გამოიხატება, რომ მუშები უკეთ სჭამენ, უკეთეს ბინებზე დგანან და სხ. ამიტომ გაჭირვებისა და ავადმყოფობის მსხვერ-

პლთა რიცხვი წინანდელზე ნაკლებია. ცოცხლად დარჩებიან ისეთი მუშები, რომელნიც, წინანდელი ცუდი ცხოვრება რომ ჰქონოდათ, საიქიოს გზას გაუდგებოდენ, და სწორეთ ეს მუშები ადიდებენ სამუშაო ძალის წინადადებას. გარდა ამისა, მუშების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, ქორწინებათა რიცხვი მატულობს, ბავმვები უფრო მეტი იბადებიან. ახალმოზარდ ბავშვებს, რაკი უკეთესად სცხოვრობენ, სიკვდილის შიში ნაკლები აქვსთ, ვიდრე წინანდელ ცუდ პირობების დროს, როცა, მაგ. ოთხ ბავშვში სამუშაო ასაკამდე ერთი თუ მიაღწევდა! ამნაირად, ხელფასის მომატებასთან ერთად მცირდება სიკვდილი მუშებისა და მათის შვილებისა, რაიცა უდრის მცხოვრებთა რიცხვის მომატებას. ქორწინებათა გამრავლების დროს მცხოვრებნიც მრავლდებიან, ე. ი. რაკა ხელფასი აუცილებელ ღირებულებას აღემატება, წარმოება სამუშაო ძალისა (პირდაპირი და არაპირდაპირი მრავლდება მცხოვრებთა) და მისი წინადადება მატულობს.ეს გარემოება თავის მხრივ გამოიწვევს გამყიდველთა (მუშათა) შეცილებას, და ხელფასმაც უნდა დაიწიოს. თუ ხელფასმა აუცილებელ ღირებულების ქვევით დაიწია, უეჭველად დაიწევს სამუშაო ძალის წინადადებაც, როგორც ეს ყველა სხვა საქონელს ემართება ხოლმე. როცა საბაზრო ფასი საქონლისა მის ნამდვილ ღირებულების ქვევით დაიწევს, ამ საქონლის წარმოება მცირდება და მისი წინადადებაც მცირდება. მაგრამ ვიკითხოთ, როგორღა შევამციროთ სამუშაო ძალის წარმოება და მისი წინადადება? სამუშაო ძალა თვით მუშებში მზადდება, მაშასადამე, რათა შევამციროთ მისი წარმოება, უნდა მოვსპოთ ზედმეტი მუშები!!

ასედაც ხდება. ხელფასი მის ნამდვილ ღირებულებაზე (იმაზე, რაც საჭიროა მუშის არსებობისათვის) ქვეით როგორც კი დაიწევს, მუშებს შიმშილი დაერევა ხოლმე. ხელფასის დაცემის დროს მუშებს არ შეუძლიანთ თავიანთი მოთხოვნილებანი სავსებით დაიკმაყოფილონ; ნახევარჯერ მშიერნი არიან, ჭუჭყიან და ნესტიან ქოხ-მახეში სცხოვრობენ, ტანისამო-

სი სიცივისაგან მათს ტანს ვეღარ იფარავს. ვინც უფრო სუსტია, ასეთს ჯოჯოხეთურს ცხოვრებას ვეღარ უძლებს. შიმშილისაგან მუსრი ევლება სუსტებსა და დავრდომილებს. ხელფასის შემცირების დროს ქორწინებისა არავისა სცხელა, ოჯახს არავინ ეკიდება, ბავშვები აღარ იბადებიან. ამ ნაირად, სამუშავო ქირის მომატების დროს მცხოვრებთა რიცხვი მატულობს არაპირდაპირ – მუშები მეტს ხანს სცოცხლობენ, და პირდაპირ – ქორწინებათა რიცხვის მომატების გამო; პირიქით, როცა ხელფასი კლებულობს, მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს პირდაპირ – „ზედმეტი“ მუშები იხოცებიან და არაპირდაპირ – ქორწინებათა რიცხვი კლებულობს. ამ ნაირ საშუალებითაა, რომ მცირდება წარმოება სამუშავო ძალის (მკვდარ მუშებს არ შეუძლიათ მისი წარმოება!) და მისი წინადადება. ხოლო როცა წინადადება იკლებს, ხელახლა გაიმართება შეცილება კაპიტალისტთა შორის და ხელფასი ისევ მოიმატებს. ამ სახით, თუ ახალი სამუშაო რამე არ გაჩნდა, თვითონ მუშებს ხელფასის მომატება მაშინ 'შეუძლიათ, როცა ათასი გაჭირვება, შიმშილი და სიკვდილი სხვა მუშებს მუსრს გაავლებს.

აი ასეთს უბედურ დღეში არიან მუშები იმიტომ, რომ სამუშაო ძალა (და ამასთან ერთად თვით მუშის პიროვნება) საქონლად არის გადაქცეული!

როგორც შეცილებას შეუძლია საბაზრო ფასი საქონლისა მის აუცილებელ ღირებულობამდე მიიყვანოს, ეგრეთვე იმავე შეცილებას შეუძლია ხელფასი მიიყვანოს სამუშავო ძალის ნამდგილ ღირებულებამდე. თუ დროებით მოიმატა მოთხოვნილებამ და ხელფასმა, დროებითვე გაუმჯობესდება მუშათა მდგომარეობაც, მაგრამ ამას ზედ მოჰყვება შიმშილი და სიკდილი და სასტიკადა სჯის მუშებს მათის უხანო კეთილდღეობისათვის.

ამ უბედურ მდგომარეობას გერმანელმა სოციალისტმა ლასალმა უწოდა რკინის კანონი ხელფასისა. ეს კანონი ისე საშინელი და ულმობელი იმიტომ არის, რომ მუშებს წართმეული აქვთ საწარმოვო იარაღი და იძულებულნი არიან თავიან-

თი სამუშაო ძალა მოჰკიდონ იმათ, ვასაც ეს იარაღი აქვსთ. მუშები სამუშაო ძალას ჰყიდიან როგორც საქონელს რასმე. ამიტომ მათს შორის იმართება შეცილება, როგორც იმართება შეცილება სხვა საქონლის გამყიდველთა შორის. ერთის სიტყვით, სამუშაო ქირის რკინის კანონი და შიმშილის საშინელი ბატონობა პირდაპირ წარმოსდგება აწინდელ კაპიტალისტურ წარმოებისგან. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს რკინის კანონი მხოლოდ იმიტომაა რკინისა და მხოლოდ მანამდე დარჩება ასეთად, სანამ მუშათა შორის შეცილება იქნება. რა თქმა უნდა, თუ მუშამ ყველამ ცალ-ცალკე პირადად თავისთავისთვის იფიქრა, უეჭველია, თვითონვე დასცემენ თავიანთს ხელფასს და იქამდე ჩამოიყვანენ, რომ ცარიელ პურის სასყიდლად-ღა თუ ეყოფათ. და მუშები ამ ჯოჯოხეთურ სიცოცხლეს მანამდე ვერ დააღწევენ თავს, სანამ ვერ შეიგნებენ, რომ ერთი ყველასათვის უნდა

ზრუნავდეს და ყველანი ერთისათვის; ერთიმეორეს კი არ უნდა დაეცილონ, ერთმა მეორეს პირიდან ლუკმა კი არ უნდა გამოაცალოს, არამედ ერთიმეორეს მხარი მისცენ და შეერთებულის ძალით იერიში მოიტანონ საერთო მტერზე – კაპიტალისტზე და იძულებულ ჰყონ თავიანთს სასარგებლოდ დაათმობინონ.

მხოლოდ მაშინ ამოვარდება ძირიანფესვიანად კაპიტალისტური წესწყობილება. მხოლოდ მაშინ გაჰქრება მუშათა შორის შეცილება, მაშასადამე, გაჰქრება საშინელი აჩრდილი „რკინის კანონისა". მაგრამ კაცმა რო სთქვას, არც ახლაა მუშათა მდგომარეობა უნუგეშო. მუშათა კავშირები, გაფიცვები, ყოველგვარი ცდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობისა თუ სავსებით ვერ მოსპობენ მუშათა შორის შეცილებას, იმას მაინც შესძლებენ, რომ შესამჩნევად შეასუსტონ ეს მეტოქობა და თუ შესუსტდა მუშათა შორის შეცილება, რა თქმა უნდა, მაშინ ხელფასიც აიწევს.

მაშასადამე, თუმცა ზოგიერთმა სოციალისტმა ხელფასის კანონს „რკინის კანონი“ უწოდა, მაგრამ ამ გარემოებამ მუშებს გული არ უნდა გაუტეხოს. ეს კანონი დეე „რკინისა“

იყოს, მაგრამ შეთანხმებული და ერთობრივი მოქმედება მუშებისა – ისეთი ძალაა, რომ მაგარ რკინასაც კი გაღუნავს. და არამცთუ გაღუნავს, გასტეხს კიდეცა თუ სამუშაოს პატრონებს გამუდმებით ებრძვიან მუშები, ახლაც შეუძლიათ ეს რკინა ცოტაოდნად გაღუნონ. მაგრამ მოვა დრო და მუშა ხალხი სრულებით დაამსხვრევს ამ რკინას. ეს მაშინ იქნება, როცა მუშები ბოლოს მოუღებენ მთელს კაპიტალისტურ წყობილებას.

ახლა ჩვენ განვიხილავთ კაპიტალისტურ წყობილებას; განვიხილავთ, თუ რა გავლენა აქვს ამ წყობილებას მუშათა მდგომარეობაზე და რა წილი უდევს კაცობრიობის ბედ-იღბლის გადაწყვეტის საქმეში.

მერვე თავი.

კაპიტალისტური წარმოება.

მეხუთე თავში, როცა მკითხველს მანუფაკტურის გაჩენის ამბავი ვუამბეთ, „ჭკვიან" ზეინკალს, რომელმაც მანუფაკტურა დააარსა, ჩვენ კაპიტალისტი ვუწოდეთ, ხოლო თვით წარმოებას – კაპიტალისტური წარმოება. როგორია კაპიტალისტურ წარმოების ნიშნები და რა არის თვითონ კაპიტალი?

ჩვენს „ჭკვიანს" ზეინკალს, სანამ გაუბედურებულ ზეინკლებს შეაბამდა უღელში, უნდა ჰქონოდა სახელოსნო, ხელსაწყო, მასალა, უნდა ჰქონოდა საწარმოვო იარაღი. ეს საწარმომო იარაღი (მასალა და ხელსაწყო), რა თქმა უნდა, ციდან არ იყო ჩამოცვინული, არამედ შეჰქმნა შრომამ. სახნავ-სათესად გაწმენდილი მიწა, შინაური საქონელი, გუთანი, ხელსაწყო, ყოველივე, რაც საჭიროა გონივრულ შრომისათვის – ადა-

მიანის შრომის ნაწარმოებია. წინდაწინ თუ ეს ნაწარმოები
არა გვაქვს, შემდეგში შრომა და რისამე გაკეთება შეუძლე-
ბელია. ყოველივე ეს კი ზოგი თვით მწარმოებელთა
ხელშია, ზოგს კი ისეთები დაჰპატრონებიან, ვინც
თვითონ-კი არ ხმარობენ საქმეში, არამედ ამ ნაწარმოების
საშუალებით სხვებს ამუშავებენ. თუ საწარმოვო იარაღი
თვით მწარმოებელთა ხელშია და თვით ისინი იყენებენ

საქმეში, ამათ შეუძლიათ, თუ უნდათ, შეალიონ მხო-
ლოდ აუცილებელი შრომა და შეჰქმნან მხოლოდ აუცილებე-
ლი ღირებულება თავიანთის არსებობისათვის, აგრეთვე იმისა-
თვისაც, რომ იარაღი ყოველთვის სახმარად გამოსადეგი ჰქონ-
დესთ. მაგალითად, გლეხს შეუძლია მხოლოდ იმდენი იმუშა-
ოს, რომ ეყოს მასა და მის ცოლშვილს სარჩენად, რომ ეყოს
გაფუჭებულ იარაღის შესაკეთებლად და საქონლის გამოსაკვე-
ბად. ზეინკალსაც შეუძლია მხოლოდ იმდენი იმუშაოს, რომ
ეყოს თავისა და თავის ცოლშვილის სარჩენად და აგრეთვე
სახელოსნოს და ხელსაწყოს მოსავლელად. ერთის სიტყვით,
ის მწარმოებელი, ვისაც საწარმოვო იარაღი და სამუშაო მა-
სალა აქვს, იძულებული არ არის შეალიოს დამატებითა შრო-
მა და შეჰქმნას დამატებთი ღირებულება, რადგან შეუძლია
უამისოდაც იოლად გამოვიდეს. სულ სხვა საქმეა, თუ საწარ-
მოვო იარაღი ეკუთვნის იმას, ვინც საქმეში თვითონ-კი არ
იყენებს, არამედ ამოქმედებს სხვისის შრომის შემწეობით. ამ-
ნაირი პატრონები იარაღისა ვერ დასჯერდებიან იმას, რომ მუშე-
ბმა მარტო აუცილებელი შრომა შეალიონ საქმეს და მხოლოდ
აუცილებელი ღირებულება შეჰქმნან, ამიტომ რომ ამ შემთხ-
ვევაში იარაღის პატრონებს არაფერი დარჩებათ და იმათთვის
ანგარიში არ არის საქმე დაატრიალონ. ამათ არ შეუძლიათ,
რომ არ აიღონ დამატებითი შრომა (სხვისი) და დამატებითი
ღირებულება, რომელიც მათს მოგებას შეადგენს და რმლი-
სათვისაც მთელს საქმეს იწყებენ. აი ასეთი პატრონები სამუ-
შაო იარაღისა – კაპიტალისტები არიან, ხოლო თვით იარაღი –
კაპიტალი. კაპიტალისტი კაპიტალსა ხარჯავს, მაგრამ ხარჯავს
იმისთვის, რომ დაუბრუნდეს გაზრდილად, მოგებიანად. მაშა-
სადამე კაპიტალი – ადამიანის შრომის ნაყოფის ნაწილია, რომელსაც
მისი პატრონები სხვის შრომის შემწეობთ“ ატრიალებენ მოგებისა-
თვის. რადგან ადამიანის შრომის ყოველ ნაყოფის ღირებულე-
ბა ფულით გამოიხატება, ფულიც კაპიტალია, თუ მას მოგე-
ბისათვის ვატრიალებთ. ნათქვამიდგან ის უნდა დავასკვნათ,

რომ კაპიტალისტური წარმოება მხოლოდ მაშინ შეიძლება
დაიწყოს, როცა ადამიანის შრომის ნაყოფიერება ასე თუ ისე
ძლიერია. თუ მუშას თვისის შრომით შეუძლია შეჰქმნას მხო-
ლოდ აუცილებელი ღირებულება (იმდენი, რამდენიც თავის

შესანახავად სჭირია), კაპიტალისტს ეს შრომა დამატებითს ღირებულებას ვერ მისცემს. გარდა ამისა, კაპიტალისტური წარმოებისათვის საჭიროა „მუშა ხელი“ ე. ი. მუშები, რომელთაც საწარმოვო იარაღი არა აქვსთ და შიმშილისაგან იძულებულნი არიან კაპიტალისტებს მიჰყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა. კაპიტალისტურ წარმოებას ჯერ არსად განუდევნია წვრილ მწარმოებელთა წარმოება და ყოველგან შევხვდებით ერთი მეორეს გვერდით ორთავე წარმოებას. ჩვენში წვრილ წარმოებას უფრო მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. წვრილ მესაკუთრე გლეხების გარდა, ჩვენში ბევრია შინათმრეწველი, ე. ი. წვრილი ხელოსნები, რომელთაც სავსებით ჯერ კიდევ არ დაუკარგავსთ საწარმოვო იარაღი. მაგრამ კაპიტალისტური წარბოება თან და თან იმის წყალობით ვრცელდება, რომ გლეხობა უმიწა-წყლოდა რჩება და მემამულის „მუშა ხელად“ იქცევა ხოლმე. ამის შესახებ რამდენსამე სიტყვას ვიტყვით. თუმცა წვრილ წარმოების დროს მწარმოებელი არა მარტო აუცილებელს ღირებულებას ღებულობს, არამედ დამატებითსაც, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების დროს კაპიტალისტის ჯიბეში მიდის. მიუხედავად ამისა წვრილ მწარმობელ-გლეხის მდგომარეობა სახარბიელო არ არის, რადგან რასაც აწარმოებს, ყველაფერი უნდება მინაზომ („ნადელი“) მიწების გამოსყიდვას, გადასახადებს, მემამულის მიწის იჯარას. დიდი ღვთის წყალობა უნდა, რომ მწარმოებელ-გლეხს აუცილებელი ღირებულება დარჩეს, ე, ი. თავის საკუთარ მეურნოებისაგან დარჩეს იმდენივე, რამდენსაც მემამულესთან დაქირავებული გლეხი ღებულობს. თუ ჩვენა ვხედავთ, რომ გლეხი მაინც თავის სახლ-კარს ჩასცივებია, იმიტომ კი არ ჩასცივებია. რომ მის მიერ შექნილ დამატებითს ღირებულებისა ცოტა

მაინცა რჩება; არა, მიწას იმიტომ არა შორდება, რომ ემძიმება თავისუფლებაზე ხელი აიღოს და კაპიტალისტს მუშა-საქონლად გაუხდეს. მაგრამ ისიც მოხდება ხოლმე, რომ გადასახადებს და ათას გვარ ბეგარას მთლად უნდება არა მარტო გლეხის მიერ შექმნილი დამატებით ღირებულება, არამედ აუცილებელ ღირებულების ნაწილიცა. მწარმოებელს სარჩო აკლია, არსებობა აღარ შეუძლია, ამიტომ რომ ვაინაჩრობით მოპოვებული ლუკმა პირიდგან გამოჰგლიჯეს. საჭმელ პურში მათრობელას და ათას ბალახ-ბულახს ურევს, მაგრამ ასე ცხოვრებაც დიდს-ხანს არ შეუძლიან. თუ ოჯახი უკან-უკან მიდის, იმან მიწას თავი უნდა დაანებოს და მემამულეს ქირაზე დაუდგეს ან ფაბრიკას მიაშუროს და სამუშაო ქირის სახით აუცილებელ ღირებულებას მაინც აიღებს. რადგან გლეხებს მიწა ცოტა აქვსთ მიზომილი, რადგან ხაზინაში შესატანი გადასახადებიც ბევრია და, ამასთან, რადგან მიწის საიჯარო ფასიც მეტად დიდია, გლეხებს თავიანთს მიწაზე დიდს ხანს არ შეუძლიათ დარჩნენ, ამიტომ რომ მთავრობა და მემამულენი არამცთუ დამატებითს ღირებულებას, არამედ აუცილებელ ღირე-

ბულების ნაწილსაც ართმევენ.

აი ეს არის გლეხების **უმიწაწყლოდ დარჩენის** მიზეზები. როგორცა ხედავთ, გლეხის უმიწაწყლოდ დარჩენა წარმოების ბრალი არ არის და გლეხი სრულებით არა ჰგავს იმ ხელოსან-მწარმოებელს, რომელსაც საწარმოვო იარაღი მანუფაკტურის შეცილების წყალობით ეცლება ხელიდან. შეცილება – წმინდა წარმოების მიზეზია. ჩვენში კი გლეხს უმიწაწყლოდ მსხვილ მემამულეთა შეცილება კი არა სტოვებს (პირიქით, მემამულეებს თვითონ გლეხები ეცილებიან იმით, რომ გადასახადების აკრეფის დროს თავისს მოწეულ ჭირნახულს ჩალის ფასად ჰყიდიან), არამედ ამის მიზეზია პირდაპირ ძალმომრეობა.

ხოლო რაც შეეხება ხელოსნებს-მწარმოებლებს, რომელნიც საკუთარის იარაღით მუშაობენ, ისინიც, როგორცა

ვსთქვით, მანუფაკტურის შეცილების წყალობით, ცოტ-ცოტათი ჰკარგავენ თავიანთს დამატებითს ღირებულებას; ხოლო როცა თავიანთის თავისუფალ შრომით, იმავე კონკურენციის წყალობით აუცილებელ ღირებულების ნაკლების აღებას იწყებენ, მეტი გზა არა აქვსთ, საკუთარ წარმოებაზე ხელს იღებენ და კაპიტალისტის „მუშა-ხელად“ იქცევიან.

კაპიტალისტური წარმოება მანუფაკტურიდან იწყება. მანუფაკტურა, როგორც ამის შესახებ მეხუთე თავში გვქონდა ლაპარაკი, ქალაქებში ჩნდება იმ დროს, როცა იწყება ფართე განაწილება შრომისა, ე. ი. როცა მუშის შრომა იმდენად ნაყოფიერია, რომ შეუძლია არამცთუ მუშა არჩინოს, არამედ კაპიტალისტსაც მოაგებინოს. მანუფაკტურა ერთ კაპიტალისტის ხელქვევით თავს უყრის საწარმოვო იარაღს მოკლებულ ხელოსნებს და შრომა უფრო ნაყოფიერია ხოლმე, ვიდრე ის იყო წვრილ ხელოსნურ წარმოების დროს. ეს იმიტომა ხდება, რომ მანუფაკტურულ წარმოების დროს სახელოსნოსა და ხელსაწყოზე ნაკლები იხარჯება, ხოლო მანუფაკტურული განაწილება შრომისა კიდევ უფრო ნაყოფიერადა ხდის ამ შრომას.

შრომის მანუფაკტურულ განაწილების დროს ყოველი მუშა მთელის ნაწარმოების მხოლოდ ერთს ნაწილს აკეთებს, იმ დროს როცა შრომის საზოგადოებრივ განაწილების დროს ყოველი მუშა მთელს ნაწარმოებს აკეთებს.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა გავლენა აქვს მანუფაკტურას წვრილ ხელოსნებზე. ახლა ვნახოთ, რას უშვება მანუფაკტურა იმ „მუშა ხელებს“, რომლებსაც უბედური ბედი მის მსხვერპლადა ხდის.

მანუფაკტურის მთავარი ძალა შრომის მანუფაკტურულ დანაწილებაშია. შორსმჭვრეტელი თვალი პატრონისა ხედავს ამ დანაწილების ყოველსავე ხეირს და სცდილობს თავის მანუფაკტურაში რაც შეიძლება ფართედ შემოიღოს ის დანაწილება. თუ რა ზომამდე აღწევს შრომის დანაწილება მანუფაკტურაში, იქიდან შეგვიძლიან დავინახოთ, რომ მანუფაკტურაში,

მაგალ., ყოველი ნემსი, სანამ საბოლოვოდ გაკეთდებოდეს, 72 მუშის ხელში გაივლის. ამ 72 მუშიდან ყოველი მუშა მთელის საბუშავოს მხოლოდ ერთ ნაწილს აკეთებს: ერთი მავთულსა სჭიმავს, მეორე ყურებს უკეთებს, მესამე წვერს ულესავს და სხ. ყოველი მუშა ეჩვევა თავისს გასაკეთებელს და ასრულებს საქმეს უფრო ჩქარა და უფრო უკათესად. მთელ ნემსის გაკეთებას მუშა ასე ჩქარა თავის დღეში ვერ შეიძლებს. 72 მუშა მანუფაკტურისა ერთსა და იმავე დროს უფრო ბევრს ნემსს გააკეთებს, ვიდრე 72 თავისუფალი ხელოსანი. მაგრამ მუშებს ძვირად უჯდებათ ისა, რომ მთელის ნაწარმოების მხოლოდ ერთ ნაწილს აკეთებენ და იმის კეთებაში ვარჯიშდებიან. როცა ხელოსანი მანუფაკტურაში შედის, იმის მაგივრად, რომ მთელი ნემსი აკეთოს, როგორც ადრე უკეთებია, ნემსს ხელში მისცემენ და ეტყვიან, ამ ნემსს მხოლოდ წვერი გაულესეო. და ისიც დილიდგან საღამომდე ამ წვერის ლესვაშია. ხელები ისე შეეჩვევა ამ ერთფეროვან საქმეს, რომ, ბოლოს, სრულებით გადაეჩვევა სხვა სამუშავოს კეთებას. ხელოსანს თავისი ხელობა სრულებით ავიწყდება. როცა ხელოსანი მთელს ნაწარმოებს მარტო აკეთებს, ხშირად ჰფიქრობს ხოლმე, როგორა ვქნა, რომ ნაკლები დრო მოვანდომო და საქმეც უკეთესად გავაკეთოვო. მთელის ნაწარმოების კეთების დროს მისი აზრი მუშავობს, ხოლო როცა განუწყვეტლივ ნაწარმოების ერთს ნაწილს აკეთებს, მისი ხელები, მომართულ მანქანასავით, თავისით მუშავობს, ასრულებს მხოლოდ ამ ნაწილს, მისი აზრი აღარ მუშაობს, და მომქანცველ და ერთფეროვან მუშაობისაგან გონება სრულებით ეხშობა. ამ სახით, მანუფაკტურული დანაწილება შრომისა ამახინჯებს მუშის სხეულს იმით, რომ ეჩვევა სულ მცირედს მოძრაობას და უჩლუნგებს გონებას, რადგან მუშაობის დროს ფიქრი და აზროვანება მისთვის მეტი ბარგია. თუ მანუფაკტურა, საცა მუშა ამგვარად დამახინჯებულია და შეჩვეულია მხოლო სამუშავოს ერთის ნაწილის კეთებას, შემთხვევით დაიხურა, ამ გვარი სახიჩარი მუშა ღვთის სინაბარა

რჩება. მაშინ შავ მუშაზე უარეს დღეში ჩავარდება: სამუშავოს შოვნა მხოლოდ იმ მანუფაკტურაში შეუძლია, საცა სჭირიათ, მან რომ იცის, იმ „ნაწილის“ გამკეთებელი.

დასახიჩრებელი ხელოსანი იმნაირადვეა მიჯაჭვული მისს დამახინჯებულ მანუფაკტურასთან, როგორადაც მადნებში მომუშავე დამნაშავეა თავის ხელურემასთან მიჯაჭვული.

ამგვარ პირობების წყალობით პატრონი-კაპიტალისტი სრული ბატონი და ბრძანებელია მანუფაკტურის მუშებისა. თავისუფალ ხელოსნებს-კი ბატონი არავინა ჰყავსთ გარდა შეცილებისა და არავისი ეშინიათ.

მანუფაკტურაში კი კაპიტალი თავის რკინის ხელში იჭერს

მუშას, ასახიჩრებს ხორციელად, აჩლუნგებს გონებით, რომ მერე უფრო ადვილად გამოსწოვოს მოგება. მაგრამ ჩქარა კაპიტალისტი არა სჯერდება ამ თავისს უფლებას და მანუფაკტურის მუშებზე გაბატონებას. მარად უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უნდა იყოს, მანუფაკტურის დღეგრძელობა და წარმატება მუშების სიმარჯვეზეა დამყარებული.

ბაზარზე „მუშა ხელთა“ შორის ხელოსანი ცოტა ურევია, ასარჩევი არ არის. ხელოსნებმა თავის თავის ფასი იციან, თავის თავს ასე თუ ისე იცავენ და კაპიტალისტების თავგასულობას ებრძვიან.

კაპიტალისტიც ხედავს მათში ამ ძალას, ხედავს, რომ ეს ძალა ხელს უშლის თავისი კაპიტალი ზარდოს და ზარდოს.

როცა კაპიტალისტებს შორის შეცილება გაიმართება, ყოველი მათგანი იმასა სცდილობს, თავისი საქონელი როგორმე სხვისაზე უფრო იაფად გაყიდოს; ესკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კაპიტალისტი შეამცირებს იმ შრომას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ საქონლის გასაკეთებლად. ამიტომ ყოველი მანუფაკტურისტი იმასა სცდილობს – თავისს მანუფაკტურაში მუშის სიმარჯვე საჭირო აღარ იყოს, იმ მუშისა, რომელიც მაინცა და მაინც ხალისით არ ეწევა პატრონის უღელს, – სცდილობს გაადვილოს შრომა, მსუბუქად გახადოს. ჩნდება მანქა-

ნები. ყოველი მანქანა ორ მთავარ ნაწილისაგან შესდგება: ერთია ის ნაწილი, რომელიც ამოძრავებს, მეორეა თვით სამუშაო, საქმის მაკეთებელი ნაწილი. თუ კარგად დავაკვირდით სამუშაო ნაწილს, ადვილად დავინახავთ, რომ სამუშავო, რომელსაც ხელსაწყოთი ხელოსნის ხელი აკეთებს, მანქანაში იმ ხელსაწყოთი და იმავე მოძრაობით მექანიზმის წყალობით კეთდება. ასე იტყვით, ხელოსნისათვის ხელიდან ხელსაწყო გამოურთმევია ვისმე და ხელოსნის შესასრულებელ საქმის გასაკეთებლად უსულო მანქანისათვის გადაუციათო. სახერხავ მაშინაში ხერხი უჭირავს და ამოძრავებს ორს აზარმაცს, რომელიც ხელებსა ჰგავს და ისეთნაირადვე გააქვს და გამოაქვს, როგორც მხერხავის ხელებს. ამასვე ვხედავთ რისამე სახვრეტ დაზგაზე. საშალაშინებელ დაზგაზე (ლითონის ფიცრების გასაშალაშინებლად) უშველებელ შალაშინს ამოძრავებს „რკინის დურგალი“.

ერთის სიტყვით, მანქანა ასრულებს მექანიკურ სამუშაოს. რომ ამისთანა სამუშაო აასრულოს, მუშა დიდსხანს უნდა სწავლობდეს ხელობას. მანქანა აკეთებს იმას, რასაც ხელოსანი ასრულებს.

მანქანა კაპიტალისტს დიდს ხეირს აძლევს.

ჯერ ერთი, მანქანა ხელოსნის საქმეს აკეთებს და მუშისათვის საჭირო არ არის ხელოსნობა იცოდეს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ როცა ეს ცოდნაა საჭირო, იქ მუშის ძალ-ღონის ღირებულება მეტია. მაშასადამე რაკი მანქანას არა სჭირია ხელოსნობის მცოდნე მუშა, ამცირებს სამუშავო ძალ-ღონის ღირებულებას ანუ სამუშაო ქირას. და ეს კი პირდაპირ სახე-

�оа капиталистисатвис.

Мэорэд, манупфакторашэ пармоэбис мтэлэ парматэба дамкарэбулиа мушэбис хэлосынур симарчвэпэ, машасадамэ, дамокидэбулиа кэрдо пирэбпэ. амис пкалобит, манупфактурул пармоэбис парматэба сатуоа, манупфактурис патронс мэтис могэбис гулисатвис ар шэудлиа мушэбс ис укос, рац моэгунэбэба. саманкано пармоэбис дросс-ки сакмэ

сул сбва рогад триалдэба. муша карханашэ модис да мтэлэ „монбхи“ пармоэбиса мха-мхарэулада хвдэба. имис сакмэа мхолод тависс дал-гонэ гамоихинос, цодэнас да мохэрхэбас аравина сатховс. манупфактурашэ хэлсапкоо мушас эмсахурэба, мушаа мтэлис сакмис тавис гамртмэвэ да памкванэ; фабрикашэ ки муша манканас эмсахурэба, манкана кэлаперс акэтэбс, муша-ки титко твит ам манканис напилиао. ам гарэмоэбис пкалобит фабрикантс мэтэ дала да упклэба аквс мушэбпэ, пармоэбис сакмэ упро мткицэ да мквдар ниадагпэа. фабрикантэ амбобс: „одонд манканэбэ мкондэс да муша хэлэ ки коэлтвис ишовэбао“. да амис мтмэлэ кацэ мартасласац амбобс.

Мэсамэд, манканэбис пкалобит шромас наокиэрэба эматэба, э. и. саманкано пармоэбис дросс мушас эртса да имавэ дросс мэтис сакмис гакэтэба шэудлиа, видрэ манупфактурул пармоэбис дросс. холо чвэн вицит, рома капиталистури пармоэба имитаа сахэирро, рома шромма упро наокиэрриа; да рац упро наокиэрриа мушис шромма, мит упро накклэбиа мисс аупцилэбэлэ шромма (сарчо-сабадэбэлисатвис аупцилэбэлэ шромма), мит упро дидиа мисс даматэбитэ шромма да муша мит упро дид даматэбитс ирэбулэбаса хмнис капиталистисатвис.

тау рамдэнад сахэироа саманкано пармоэба манупфактурултан шэдарэбит, амис шэсахэб мэхутэ тавшэ вилапаракэт. ахла внахот, тау ра дгэшэ акэнэбс саманкано пармоэба им мушэбс, манканэбтан сакмэ рома аквст.

чвэнэ саукунэ манканэбис саукунэд итвлэба. мартлац, ишвиатиа исэтэ дарги пармоэбиса, рома шиг манканэбс ар ишвэлиэбдэнэ. хвнатэсвисатвис могонилиа ортоклитммодрави гутнэбэ, сатибави дасамкали манканэбэ, сатэсави да саниавэбэли. чвэнс дрошэ исэтэ хэлоба ар арис, рома манканит ар шэидлэбодэс гакэтдэс. эртис ситквит, саца-ки

адамианс схирриа тавис самушаво дал-гонэ бунэбас шэебрдолос, кэлган манканас хмаробс, да эс манкана шэсамчнэвад амцирэбс да аадвилэбс мисс шромас. рац манканэбэ шэмовида, адамианис шромма унда шэмцирэбулиоо; тау манка-

ნებამდე დღეში12 საათს მუშაობდა და თუ მანქანების შემწეობით იმავე საქმეს, რასაც უმანქანოდ აკეთებდა, ახლა 8 საათში გააკეთებს, მისი სამუშაო დღეც 8 საათს უნდა გრძელდებოდეს. მაგრამ საქმით სულ სხვასა ვხედავთ: მანქანების შემოღების შემდეგ სამუშაო დღე ისე გრძელდება, რომ ბოლოც კი აღარ უჩანს. სად უნდა ვეძიოთ ამ შემაძრწუნებელ უსამართლოების მიზეზი? წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე მოხერხებულმა ვაჭარმა ლურსმნების საკეთებელი მანუფაკტურა გააღო. თანხა იმდენი აქვს, რომ შეუძლია 30 კაცს მისცეს სამუშავო. თითოეული მუშა დღეში 2 ფუთს ლურსმანს აკეთებს; ფუთი ლურსმანი ორ მანეთად იყიდება. თითოეულ მუშისაგან პატრონი ათის შაურის დამატებითს ღირებულებას ღებულობს, მაშასადამე, 30 მუშისაგან 15 მანეთს იღებს დღეში. მაგრამ გამოიგონეს ლურსმნის საკეთებელი მანქანა, და ჩვენმა მემანუფაკტურემაც მაშინათვე მიაშურა და მანქანა შეიძინა. ამ მანქანამ შრომის ნაყოფიერება გააორკეცა, და ახლა 60 ფუთს 30-ის მაგიერ 15 კაცი აკეთებს. წმინდა ღირებულება ლურსმანისა ახლა ერთიორად შემცირდა, ამიტომ რომ ყოველ ფუთის გაკეთებას ორჯერ ნაკლები შრომა სჭირდება. თუ მასალის ღირებულება ერთი მანეთია და თუ წინად წმინდა ღირებულება 1 მანეთი იყოს, ახლა წმინდა ღირებულება იქნება ათი შაური, ხოლო მანქანით გაკეთებულ ლურსმნის ერთ ფუთის ღირებულება იქნება 1 მ. და 50 კაპ. (1 მანეთი მასალისა და 50 კაპ. წმინდა ღირებულება), მაგრამ ჩვენი პატრონი არც მაგრე ბრიყვია და ლურსმანს იმავე ფასებში ჰყიდის, რა ფასებშიაც ადრე ჰყიდიდა – ფუთს 2 მანეთად. ამსახით, პატრონი 15 მუშის შრომისათვის აიღებს იმდენსავე, რამდენსაც ადრე 30 კაცის მუშაობისათვის აიღებდა, ე. ი. აიღებს არამარტო

დამატებითს ღირებულებას იმ 15 კაცისას, რომლებიც მასთან მუშაობენ, არამედ მთელს აუცილებელს ღირებულებას იმ 15 მუშისას, რომლებიც მასთან არ მუშაობენ. ეს ამბავი მანამდე გაგრძელდება, სანამ სხვა მანუფაკტურისტებიც არ შემოიღებენ მანქანებს, კრიჭაში არ ჩაუდგებიან პირველს და ლურსმნის ფასს ფუთზე ნამდვილ ღირებულებაზე არ დაიყვანენ – მანეთ და ათ შაურამდე. აი სწორედ ეს ტკბილი დრო, რომლის განმავლობაშიაც მარტო ის ტკბება მოგონილ მაშინის ნაყოფით და ჯიბეში აუარებელ მოგებას იჩხრიალებს, სწორედ ეს დროა, რომ კაპიტალისტს მადას უღვიძებს და მანქანას აძენინებს.

ვიკითხოთ, რა მოუვიდა მუშებს ჩვენს წინანდელ მემანუფაკტურესთან, ახლა რომ ლურსმნების საკეთებელი ფაბრიკა აქვს? თანხა იმდენი ჰქონდა, რომ შეეძლო ეყიდნა მხოლოდ ერთი მანქანა და 15 კაცისათვის მიეცა სამუშაო. ძალიან გულით უნდოდა მეორე მანქანაც შეეძინა დანარჩენ 15 მუშისათვისაც, რადგან ამ 30 კაცის საშუალებით იმდენს აიღებდა, რამდენსაც სხვა მანუფაკტურისტები უმანქანოდ 60 მუ-

შებისაგან ღებულობდნენ. ძალიან გულით კი უნდოდა ასეთი მსუქანი ლუკმა, მაგრამ იძულებული იყო ერთს მანქანას და 15 მუშას დასჯერებულიყო, დანარჩენი 15 მუშა მეტი იყო და იმანაც თუთხმეტივე დაითხოვა.

სანამ კონკურენციამ ლურსმნების ფასი მისს ნამდვილ ღირებულებამდე არ დაიყვანა, ჩვენის ახლად გამოცხობილ ფაბრიკანტის საქმე კარგად მიდიოდა. მოგებას იმ მუშებისაგანაც ღებულობდა, რომლებიც იმასთან არ მუშაობდნენ. მაგრამ ასეთს მოგებასაც ბოლო უნდა მოჰღებოდა, რაკი ლურსმნების ფასი მანეთ და ათ შაურამდე ჩამოვიდა. ახლა ის იმ დამატემითს ღირებულებას უნდა დასჯერდეს, რომელსაც ამასთან მომუშავე 15 მუშისაგან ღებულობს და აი სწორედ აქ დაინახა მემანუფაკტურემ, რომ კოჭი ალჩუს არ დაუჯდა.

ჩვენ ვიცით, რომ რაოდენობა დამატებითის ღირებულე-

ბისა, რომელსაც კაპიტალისტი ღებულობს, დამოკიდებულია 1) სამუშაო დღის სიდიდეზე, 2) მასთან მომუშავეთა რიცხვზე და შრომის ნაყოფიერებაზე. მანქანის შემოღებამდე ჩვენი ფაბრიკანტი მუშებისაგან ყოველ დღე 15 მანეთის დამატებითს ღირებულებას ღებულობდა. მანქანის შემოღების შემდეგ შრომის ნაყოფიერება გადიდდა, აუცილებელ ღირებულების სიდიდემ იკლო, ხოლო დამატებითმა ღირებრლებამ იმატა – ახლა ფაბრიკანტი ყოველ მუშისაგან დღეში სამ აბაზს ღებულობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ 15 მუშა ღა შერჩა ხელში და მათგან მხოლოდ 9 მანეთს ღებულობს დღეში. წინად კი 15 მანეთს იღებდა. მანქანა მხოლოდ პირველ ხანებში უქადიდა დიდ მოგებას, მერე კი ეს მოგება სიზმარსავით გაჰქრა. რა უნდა ჰქმნას? მუშების რიცხვს ვეღარ მოუმატებს: თანხა აკლია, შრომის ნაყოფიერების აწევა-შემოღება უფრო გაუმჯობესებულ მანქანისა – ჯერ არ შეუძლია. ერთად-ერთა დარჩენია დამატებითის ღირებულების გასადიდებლად – მოუმატოს სამუშაო დღეს. ისიც ამას შვრება. მაგრამ მეფაბრიკემ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლურსმნის ფასი მანეთ და ათ შაურამდე არ დაიწევდა, გაადიდა სამუშაო დღე. ხელში შერჩენილ 15 მუშას, რაც შეუძლია, ამუშავებს, რომ რაც შეიძლება მეტი საქონელი გააკეთებინოს და ისარგებლოს მანამდე, სანამ სხვებსაც არ შემოუღიათ მანქანები.

ვიკითხოთ, როგორ და საიდან შეუძლია მეფაბრიკეს სამუშაო დღე გაადიდოს? საიდან და, რაკი მანქანა ფეხს შემოსდგამს წარმოების რომელსამე დარგში, „მუშა ხელის“ ერთი ნაწილი, რომელიც წინად ამ საქმეში იყო გართული, საჭირო აღარაა. ამ „ზედმეტ“ მუშა ხელს უბოდიშოდ ფაბრიკიდან გარედ გაუძახებენ, და უსაქმოდ დარჩენილნი უეჭველად ბაზარზე ამოჰყოფენ თავს. ბაზარზე ეს მუშები შრომის წინადადებას ადიდებენ. ხოლო წინადადების გადიდებასთან ერთად მუშათა შორის გაიმართება შეცილება, – არა მე მინდა სამუშაო ვიშოვო, არა მეო, და ამ შეცილების წყალობით მეფაბრიკე არა

მარტო სამუშაო ქირას უკლებს, არამედ სამუშაო დღესაც უზომოდ ადიდებს. ზედმეტი „ხელი“ ბევრია და მეფაბრიკეს იმის დარდი არ აწუხებს, თუ მცირედ ქირისა და გადამეტებულ შრომისაგან მუშები ბუზებსავით იხოცებიან. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მანქანის შემოღების შემდეგ საჭირო აღარ არის არა მარტო მუშის ხელოსნური სიმარჯვე, არამედ მისი ფიზიკური ღონეც. მანქანასთან დგომა და მისი ყურისგდება სუსტსაც, იმგვარადვე შეუძლია, რგორც ღონიერს. ამის გამო მანქანის შემოღებასთან ერთად კაპიტალისტთან სამუშაოდ მოდიან ქალები და ბავშვები. ეს უფრო ადიდებს სამუშაოს წინადადებას, და მუშათა შორის შეცილებას.

ჩვენ დავინახეთ, რომ სამუშაო ქირაში უნდა შედიოდეს ღირებულება მუშისა და მის ოჯახის შესანახად საჭირო საშუალებისა. მანუფაკტურულ წარმოების დროს ერთის მუშის შრომა მთელს მისს ოჯახს არჩენს. რაკი ქალები და ბავშვებიც დაიწყებენ მუშაობას ფაბრიკაში, და თანაც საშინელი მეტოქეობა დაიწყება, – ოჯახის უფროსის სამუშაო ქირა იმდენზე უნდა დაეცეს, რომ მისა და მის ცოლ-შვილის-მიერ აღებული ფული მთელის ოჯახის შენახვას ეყოს. ამნაირად, მანქანების შემოღების შემდეგ მთელი მომუშავე ოჯახი შრომის ფასად იმდენს იღებს, რამდენსაც მანუფაკტურულ წარმოების დროს ერთი ოჯახის უფროსი იღებდა. ზედნადებად, მანქანის წყალობით კაპიტალისტი სამუშაო დღესაც ადიდებს.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა რიგ უბედურად სჩაგრავს მანუფაკტურული დანაწილება შრომისა მუშებს იმით, რომ ყოველი მათგანი იძულებულია სრულიად უბრალო რამ საქმე აკეთოს, ამახინჯებს და სხვა საქმის გაკეთების შნოს ართმევს. მუშებს უკეთეს დღეში არც მანქანა აგდებს.

დამოუკიდებელს მწარმოებელ-ხელოსანს უნდა ჰქონდეს არა მარტო ხელოსნური სიმარჯვე თავის საქონლის გასაკეთებლად, არამედ ასე თუ ისე გონებრივად განვითარებულიც უნდა იყოს, რომ ამ განვითარების წყალობით მიუხვდეს მთელის წა-

რმოების სიძნელე-სიადვილეს და საჭიროების-და კვალად გაეუმჯობესოს ეს წარმოება. ამ განვითარებას ხელოსანი იძენს როგორც ხელობის შესწავლის, ისე თვით ხელოსნობის დროს. როდესაც ხელოსანი მანუფაკტურაში შედის, სადაც ვრცელი დანაწილებაა წარმოებისა, სრულებით ავიწყდება, თუ როგორა სწარმოებს მთელი შრომა: თვითონ ნაწარმოების ნაწილსა-ღა აკეთებს, ხოლო მთელის ნაწარმოების შესრულების ამბავი მხოლოდ პატრონმა იცის. მაგრამ როცა იგივე მუშა მანქანას ამოუდგება უკან, ავიწყდება არამცთუ საქონლის მთელის წარმოების ამბავი, არამედ მის ერთ ნაწილის კეთებისაც. მან არ იცის, მისის შრომით რა საქონელი კე-

თდება და როგორ. მთელი ცოდნა, მთელი ჭკუა-გონება მუშისა მანქანაში გადავიდა, ხოლო მუშა თვით მანქანის ნაწილად გადაიქცა.

ამ ნაირად, ჩვენა ვხედავთ, რომ კაპიტალისტური წარმოება მუშას, ჯერ ერთი, ხელიდან აცლის საწარმოვო იარაღს და მეორედ, წარმოების გონებრივ მხარეს ფიზიკურ მხარეს აფთრებს. გონებრივი მხარე და კაპიტალი (ცოდნა, მანქანები) კაპიტალისტის ხელშია, ხოლო ფიზიკური მხარე (სამუშაო ძალა) – მუშებსა რჩებათ. ადვილი მისახვედრია, თუ რა ძალა ექნება, სხვა უპირატესობასთან ერთად, კაპიტალისტს მუშებზე.

მუშის სხეული საშინლად იჩაგრება მანქანისაგან. პატარაობითვე მუშა იძულებულია მანქანასთან იდგეს და ერთს რასმე საქმეს აკეთებდეს, თავისი მოძრაობა შეუფეროს მანქანის პირშეუცვლელ და მტანჯველ მოძრაობას. ცხადია, რომ მუშა მხოლოდ მანქანასთან ვარგა, სხვა ყველა საქმისათვის გამოუსადეგარია. მაგალითად, სწრაფლ-მბეჭდავ მანქანებზე 13-15 წლის ბავშვები მუშაობენ; მთელი მათი მუშაობა ის არის, რომ ქაღალდს აწვდიან პრესს და ასეთი მუშაობა დღეში 12 საათს გასტანს ხოლმე. საკვირველი არ არის, რომ ეს უბედური არსებანი ადამიანის სახეს სრულიად ჰკარგავენ. მაგრამ

ყველაზე უარესი ის არის, რომ კაპიტალისტი ჯერ მუშას საუკუნოდ დაამახინჯებს მანქანასთან მუშაობით, მერე ერთბაშად ქუჩაში გამოუძახებს! ახლავე დავინახავთ, რადა შვრება ამას კაპიტალისტი.

დამატებითის ღირებულების მომატება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოუმატებთ მუშათა რიცხვს, გაახანგრძლივებთ სამუშაო დღეს და გაადიდებთ შრომის ნაყოფიერებას. მანქანის შემოღების დროს მეფაბრიკესთან მცირდება მუშათა რიცხვი და ამასთან ერთად მცირდება მისი დამატებითი ღირებულებაც. მაშასადამე, დამატებითის ღირებულების გადიდება კაპიტალისტს მაშინ-ღა შეუძლია, თუ გაახანგრძლივა სამუშაო დღე და გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ჩვენა ვნახეთ, რომ კაპიტალისტი უსინიდისოდ სარგებლობს თვისის მდგომარეობით და სამუშაო დღეს უზომოდ ახანგრძლივებს. ახლა დავხედოთ, მანქანის შემოღების შემდეგ როგორ ადიდებს კაპიტალისტი თავისს მოგებას იმით, რომ ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

კაპიტალისტმა რაკი წარმოების ერთს დარგში შემოიღო მანქანა, შემდეგში შრომის ნაყოფიერების გადიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ წარმოების იმ დარგებშიაც შემოიღო მანქანები, რომლებშიაც მანამდე არა ყოფილა, ანუ და უკვე შემოღებულ მანქანის მაგიერ ახალი, უფრო გაუმჯობესებული მანქანა შემოიღო. ხოლო რადგან კაპიტალისტი უეჭველად უნდა ეცადოს შრომის ნაყოფიერების გადიდებას – მოგება სჭირია! – იმასაც სულ ახალ-ახალი მანქანები შემოაქვს.

მანუფაკტურაში რაკი შრომის დანაწილება შესაფერ ზომამდე მიაღწევს, თვით საქონლის წარმოების ხერხი უცვლელი რჩება, ქვავდება. ეს ხერხი ერთ მოდგმიდან მეორეზე გადადის, მამიდან შვილზე, როგორც ამასა ვხედავთ ამქრებში. საფაბრიკო წარმოებაში კი ფაბრიკანტი სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს და ეს გარემოება აიძულებს განავითაროს შრომა, ახალ-ახალი მანქანები შემოიღოს და ამით შესცვალოს თვით

ხერხი წარმოებისა. აი ამ ახალ, გაუმჯობესებულ მანქანების წყალობით ბაზარზე გამოჰყრიან ხოლმე ბევრს მუშა ხელს, რაც ქარხანაში აღარა სჭირიათ. ამ მუშებმა სხვა ქარხნებში უნდა ეძებონ სამუშაო და ეს კი იმათვის ძნელია, რადგან ყოველი მანქანა მასთან შეჩვევულს, მის გემოზე დასახიჩრებულ მუშას თხოულობს. ამ სახით, საფაბრიკო წარმოებაში სულ ახალ-ახალი მანქანები შემოაქვსთ, სულ მუდამ მოძრაობს საქმე, მუშები ხშირად გარედ იყრება და მათგან თხოულობენ, რომ ყოველგვარ მანქანასთან შეეძლოსთ მუშაობა. ისევ მოწამენი ვართ კაპიტალისტური წარმოების სიავისა და უკუღმართობისა, რომელსაც შედეგად მისდევს მუშათა წოდების საშინელი უბედურება. ფაბრიკანტების მადას საზღვარი არა აქვს, სულ მოგებას სცდილობენ და ეს გარემოება აიძულებს ახალ-ახალი მანქანები შემოიღონ. მაგრამ ისეთი ძალიან ძვირი მანქანებიცაა, რომ მათი შეძენა მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტს შეუძლია. თუ მსხვილმა კაპიტალისტმა ისეთი მანქანა შეიძინა, როგორის ყიდვაც წვრილ კაპიტალისტს არ შეუძლია, მათს შორის გამართულ კონკურენციის დროს გამარჯვებული დარჩება მსხვილი კაპიტალისტი, ამიტომ რომ ახალი მანქანა, რაკი შრომის ნაყოფიერებას ადიდებს, მისს პატრონს ნებას აძლევს საქონელი წვრილ კაპიტალისტზე იაფად გაჰყიდოს ხოლმე. ისე როგორც მანუფაკტურა კერძო მწარმოებელთ ამარცხებს, ისე მსხვილი მანუფაკტურა ამარცხებს წვრილს მანუფაკტურას; როგორც ფაბრიკა მსხვილ მანუფაკტურას ამარცხებს, ისე მსხვილმა ფაბრიკამაც შეცილებით წვრილი ფაბრიკა უნდა დაამარცხოს. ერთის სიტყვით, კონკურენცია იმასა სცდილობს – წარმოება მსხვილ კაპიტალისტებს ჩაუგდოს ხელში.

მხოლოდ მსხვილს კაპიტალს შეუძლია წარმოებაში გააუმჯობესოს ყველაფერი, შრომას მეტი ნაყოფი გამოაღებინოს. ნიშადობლივი თვისება კაპიტალისტურ წარმოებისა სწორედ ის არის, რომ მსხვილი კაპიტალი და მსხვილი წარმოება გამოდის ყველაფრის ბატონად.

მსხვილმა ფაბრიკანტებმა ზედმიწევნით არ იციან, თუ რამდენი საქონელია საჭირო ბაზარზე. მაგრამ რაკი, რაც შეიძლება, მეტის მოგება სურსო, მეტს საქონელსაც ამზადებენ. ამიტომ ხშირად ბაზარი საქონლით გაივსება ხოლმე და მუშტარი

კი არსადაა. მანქანის შემოღების დროს ზედმეტი მუშა უსაქმოდ რჩება და თვით საქმეში გართულ მუშების ხელფასიც დაბლა დაიწევს ხოლმე. ამიტომ მუშები იძულებულნი არიან შეამცირონ ხმარება ყოველ გვარ საქონლისა, და საქონლის მოთხოვნილებაც მცირდება. ამავე დროს, თუმცა, მართალია, მოთხოვნილება შემცირდა კიდეც, მაგრამ ახლად-შემოღებული მანქანები წინანდელზე უფრო მეტს საქონელს ამზადებენ და ადიდებენ წინადადებას. ესეც ერთი უკუღმართობაა კაპიტალისტურ წარმოებისა, რასაც მოსდევს მრეწველობის შეჩერება ანუ ეგრედწოდებული კრიზისი.

რაკი ბაზარი საქონლით გაივსება და მუშები გაჭირებულ დღეში ჩასცვივდებიან, საქონლის მოთხოვნილება მცირდება და ამიტომ უნდა შემცირდეს ამ საქონლის წარმოებაც. მსხვილმა მეფაბრიკეებმა უნდა შეამცირონ წარმოება ან სრულიად შეაჩერონ; ამიტომ ხელახლა გამოჰყრიან აუარებელ მუშებს, რომელთაც ერთი-ღა დარჩენიათ – შიმშილით სიკვდილი! ამნაირად, მსხვილი წარმოება – ორპირი სატევარია, რომელიც ორისავ პირით ერთნაირადა სჩეხავს მუშას. ერთხელ სჩეხავს მანქანების შემოღების დროს, როცა „ზედმეტი“ მუშა უსაქმოდა რჩება, მეორეჯერ ფაბრიკის დაკეტვის დროს სჩეხავს, და ამგვარი მდგომარეობა განუწყვეტლივ მეორდება, ამიტომ რომ თვით კაპიტალი გამუდმებულს მოძრაობაშია.

ახლა ჯამი გავუკეთოთ კაპიტალისტურ წარმოებას.

კაპიტალისტური წარმოება იქ იწყება, საცა შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ თვით შრომა გაანაყოფიერა და, ამავე დროს, საცა მუშები საწარმოვო იარაღს არიან

მოკლებულნი. კაპიტალისტურ წარმოების მთავარი საძირკველი დაქირავებული შრომა და მუშების მიერ შექმნილ დამატებითის ღირებულების წყალობით კაპიტალის ზრდაა. მანუფაკტურა ერთის მხრით სჩაგრავს წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელს, ხოლო მეორეს მხრით, ასახიჩრებს და აჩლუნგებს თავისს მუშებს იმით, რომ შრომას დაუსრულებლივ ანაწილებს, მანუფაკტურათა მეტოქეობას მანქანების შემოღება მოსდევს. მანქანასთან მუშის ძალ-ღონე და სიმარჯვე საჭირო აღარ არის; მანქანის წყალობით ერთის მხრით, ზედმეტი „მუშა-ხელი“ უსაქმურად რჩება, მეორეს მხრით, კაპიტალისტის გასამდიდრებლად ამუშავებს ქალებსა და ბავშვებს. იმართება მაშინათვე საშინელი შეცილება მუშათა შორის. და აჭი,თ სარგებლობს კაპიტალისტი და სრული ბატონი რჩება. ეს ბატონობა იმით იჩენს თავს, რომ სამუშაო დღე განსაზღვრულად დიდდება და ხელფასი მცირდება. ხელფასის სიმცირე მუშას იძულებულყოფს კაპიტალისტს თავის ცოღლშვილის შრომაც მიჰყიდოს ხოლმე; მთელის მუშა ოჯახის შრომაში იმდენსვე აძლევენ,

რამდენსაც მანუფაკტურის დროს აძლევდნენ: – მხოლოდ ოჯახის უფროსის შრომა ფასდება. სამანქანო წარმოება მუშების სხეულს ასახიჩრებს იმით, რომ მანქანას უფარდებს მთელს სხეულს, აჩლუნგებს მისს გონებას, რადგან წარმოების დროს მისი გონებრივი მხარე სხვაა და ფიზიკური ძალღონე სხვაა. მანქანის შემოღების შემდეგ კაპიტალისტმა უნდა იზრუნოს შრომის ნაყოფიერების მომატებისათვის. სულ ახალ-ახალი მანქანები უნდა შეიძინოს. წარმოება სახეს იცვლის. კაპიტალისტური წარმოება მუშების სულსა და გულს მიწასთან ასწორებს, რადგან მუშა სრული მონაა კაპიტალისა, რომელმაც არ იცის, რა არის სიმართლე, პატიოსნება, გულკეთილობა, რომლისათვისაც მხოლოდ ერთი კანონი არსებობს – მოგება.

მაგრამ კაპიტალისტური წესწყობილება ყოველ ამ ბოროტებას როდი გვაჯერებს. ეს წყობილება მარტო ქალაქის

მუშებსა და წვრილ ხელოსნებს არ აწვება კისერზე მძიმე ლოდად. არა ნაკლებ იჩაგრება მისგან გლეხობაც.

ჯერ სამანუფაკტურო და მერე სამანქანო წარმოების შემოღების შემდეგ ბევრგვარი საქონელი, რასაც გლეხი ადრე შინ აკეთებდა, უფრო სახეიროა იმავე გლეხმა ბაზარზე იყიდოს. წინად გლეხი თითქმის მთელს თავისს ტანისამოსს თავის მასალისაგან საკუთარის შრომით აკეთებდა ოჯახში. ახლა კი საფაბრიკო და სამანუფაკტურო საქონელი ისე გაიაფდა, საჭირო არც კია იგივე საქონელი გლეხმა აკეთოს. საეჭვოა გლეხი მოუჯდეს და მაუდს დაუწყოს კეთება და, ვსთქვათ, ოცის დღის შრომა მოანდომოს, როცა იმნაირივე მაუდი და, შეიძლება, კიდევ უკეთესიც და უფრო ლამაზი, ბაზარზე ათის დღის შრომის ფასად იყიდოს. ეგევე ითქმის სხვა საქონლის შესახებ, რომელსაც გლეხიი თვითონ იმზადებდა და ახლა კი ბაზარზე ყიდულობს. წინად გლეხი მთელის წლის განმავლობაში იყო საქმეში გართული: ზაფხულობით ჭირნახულს იწედა, ზამთრობით – შინ, ოჯახში მუშაობდა. ახლა კი ბევრს ალაგას ზამთრობით საქმე თითქმის არა აქვს. თავისს საოჯახო საქმეებს ახლა უფრო ნაკლებ დროს ანდომებს, ვიდრე წინად, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო ნაკლებ დროს ვანდომებთ წარმოებას, მით უფრო ნაკლებ ღირებულებას ვამზადებთ. მაშასადაე, გლეხი ახლა თავის საკუთარ მეოჯახეობაში ნაკლებს იკეთებს, ვიდრე წინად და შემოსავალიც უფრო ნაკლები აქვს.

გარდა ამისა, გლეხმა ბაზარზე უნდა იყიდოს ბევრი რამ ისეთი საქონელი, რასაც ადრე თვითონ აკეთებდა. უნდა იყიდოს არამც თუ ასეთი საქონელი, არამედ ბევრი სხვაცა, რომელიც თან და თან აუცილებლად საჭირო შეიქმნა ადამიანისათვის: ნავთი, თერმონია, შაქარი, ლამპარი, წიგნები და სხ. ამ ნივთების სასყიდლად გლეხმა უნდა გადასდოს თავის, ისედაც შემცირებულ, შემოსავლის ერთი ნაწილი. ფუ-

ლი უფრო და უფრო მეტია საჭირო, ხოლო მისი შოვნა

უფრო და უფრო სჭირს. კაპიტალისტურ წარმოების დროს
გლეხის შრომის უმეტესი ნაწილი სრულებით ზედმეტი ხდე-
ბა, იმ გვარადვე, როგორც ახალ საქონლის შემოღების
დროს ზედმეტია ხოლმე უმეტესი ნაწილი ქალაქის მუშათა
შრომისა.

კიდევ უფრო საგრძნობლად სჩაგრავს კაპიტალიზმი გლეხს
იმითი, რომ მეურნეობაშიაც იჩემებს ბატონობას. მაგალითად,
ამერიკაში მსხვილმა მემამულეებმა და კომპანიებმა ხელში ჩა-
იგდეს აუარებელი მიწები, მერე ისეთი მიწები, რომ ადამიანის
ხელი არც-კი მიჰკარებია მანამდე, სრულებით უჭმელი მიწე-
ბი. ამ ადგილებს გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღით ამუ-
შავებენ და ამით ადამიანის შრომა საშინლად შეამცირეს. ბა-
ზარზე აუვარიბელი პური გამოაქვთ, მეტად იაფად ჰყიდიან და
პურის ფასს ძალზე სწევენ. პური სულ იაფდება და იაფდება.
წინად რომ საკმაო იყო გლეხს ბაზარზე ერთი ფუთი პური
გამოეტანა, გაეყიდნა და აღებულ ფულით გადასახადი გადა-
ეხადნა და თავის ოჯახის სხვა რამ საჭიროებაც დაეკმაყოფი-
ლებინა, ახლა იქ მთელი ხუთი ფუთიც არა ჰყოფნის გლეხს.
გლეხი რომ ცოტა ნასწავლი იყოს და თან ჯიბეში ერთი-ორი
გროში მეტი ჰქონდეს, შეეძლო გაუმჯობესებული სამეურნეო
იარაღი ეყიდნა, მიწა გაეპატივებინა, შეეძინა კარგი თესლი
და სხ. მაგრამ სიბნელეში განგებ ჰყავსთ გლეხები, არაფერს
ასწავლიან, და თან ცხვარსავით ჰკრეჭენ, როცა მატყლი გა-
ეზრდება. მეტი გზა არა აქვს საცოდავს, ჩასცივებია მიწას და
მანამდე ხნავს და სთესავს, სანამ ღონეს არ გამოულევს და
სრულებით არ გამოჰფიტავს. გლეხი სახედარსავით მუშაობს.
მაგრამ მისს მუშაობას ბარაქა არა აქვს. მოკლედ რო ვსთქვათ,
გლეხის შრომას ფასი ეკარგება და მისი კეთილდღეობა, მისს
საკუთარ შრომაზე დამყარებული, თან და თან უარესად უნ-
და შეფერხდეს და დაეცეს.

ასე რომ გლეხთა საერთო კეთილდღეობა ქვეითდება. ეს
ჩამოქვეითება იმის ბრალია, რომ გლეხის შრომას ფასი აკლ-

დება. ამის წყალობით გლეხის სყიდვითი ძალა სუსტდება, ე.
ი. გლეხს ვეღარ შეუძლია იყიდოს იმდენი მანუფაკტურული
და საქარხნო საქონელი, რამდენიც სჭირია. კაპიტალისტებს
საქმის შეფერხება ძილს უფრთხობს, შორიდან მოელიან კრი-
ზისს, რომ ეს კრიზისი თავიდან აიცილონ. კაპიტალისტები
იმისთვის ზრუნავენ, რომ თავიანთის საქონლის მუშტარი
სხვაგან იშოვნონ, ანუ, როგორც ამბობენ, აღმოაჩინონ გარე-
შე ბაზარი, უთვალთვალებენ, სად შეიძლება ომის დაწყებაო,
სად შეიძლება ძალით მიწები ჩავიგდოთ, დავიპყროთ სხვა
ხალხიო. თუ ეს მოახერხეს – კაპიტალისტებს ცა ქუდად არ

მიაჩნიათ, დედამიწა – ქალაბნად. ახალდაპყრობილ ქვეყანაში შეუძლიათ თავისი საქონელი შეიტანონ უბაჟოდ, და თუ უცხო ქვეყნიდან გაჰბედა ვაჭარმა მოსვლა, საზღვარზე აუარებელ ბაჟს მოსთხოვენ, ან და უკან გააბრუნებენ.

ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც დიდძალი ჯარი ჰყავთ, პატარა სახელმწიფოებს იძულებულ ყოფენ ისეთი ხელშეკრულობა დაადებინონ, რომლის ძალით ძლიერ სახელმწიფოს საქონელი სუსტ სახელმწიფოში უფრო შეღავათიანად უნდა შევიდეს, ვიდრე სხვა რომელისამე სახელმწიფოს საქონელი. და ყოველის ღონის ძიებით სცდილობენ თავიანთი საქონელი თავიანთ ქვეშევრდომთ შორის გასაღდეს. დასასრულ, დიდი, მუდმივი ჯარი ბურჟუაზიისათვის იმიტომ არის საჭირო, რომ შიშსა და მორჩილებაში ამყოფონ ხალხი, რომელიც მას მისთვის აუცილებლდ საჭირო დამატებითს ღირებულებას აძლევს.

შენახვა აუარებელ ჯარისა, მოხელეთა, პოლიციისა, ურომლოდაც წარმოუდგენელია კაპიტალისტური წარმოება, მძიმე უღლად აწვება კისერზე მშრომელ ხალხს, განსაკუთრებით გლეხობას. გლეხი დამოუკიდებელ პატრონად ითვლება. ერთის შეხედვით, გლეხი თითქო უნდა იღებდეს არამცთუ თავისის შრომის მთელს ღირებულებას, როგორც ამას კარგს პირობებში ქარხნის მუშა ღებულობს, არამედ იმ ზედმეტსაც,

იმ დამატებითს ღირებულებასაც, რომელიც დაქირავებულმა მუშამ პატრონს უნდა მისცეს, ხოლო გლეხს შეეძლო თვითონ დაეტოვებინა.

გლეხთა განიორწყლება არც მუშებს აყრის ხეირს. სამუშაოს მაძებარი გლეხები ქალაქებს ეფინებიან, სულ მცირედ ხელფასს სჯერდებიან, პატრონისაგან ყოველგვარ სისაძაგლეს და თვითნებობას ითმენენ. პატრონები ამით სარგებლობენ და უკმაყოფილო და გაფიცვის მოყვარე მუშების მაგიერ შიმშილით შეწუხებულ და მორჩილ გლეხებს ჰქირაობენ. მუშებს ყელში უფრო და უფრო უჭერენ. პატრონებს ცათაფრენა აქვსთ შემდგარი. გლეხთა გაღატაკება ხელს უწყობს მუშათა გაღატაკების საქმესაც. შიმშილი გლეხს და ქალაქის მუშას ერთსა და იმავე ტაფაზე ჰყრის და ძალაუნებურად ამუშავებს კაპიტალისტების, მთავრობის და ათასგვარ წურბელა და ჩარჩების გასამდიდრებლად და ჯიბის გასასქელებლად.

და აი ამიტომაა, რომ მიწათ-მომქმედ გლეხებს, რომელნიც თითონ ამუშავებენ თავიანთ მიწას, და დაქირავებულ მუშებს ერთი და იგივე მტერი ჰყავსთ.

და მართლაც რო ვიკითხოთ, რომელი უბედურება გინდათ, რომ მიზეზად კაპიტალისტური წარმოება არა ჰქონდეს? ქვეყანაზე არ არის უბედურება რომელიც ან პირდაპირ არ იყოს კაპიტალიზმისაგან გამოწვეული ან და მის გავლენით გაძლიერებული, – მხოლოდ სიკვდილია ბუნებისაგან გაჩენილი და ბუნების განაჩენს ადამიანი ვეღარ წაუვა. მაგრამ თვით

სიკვდილიც ქალაქებში უფრო ხშირი სტუმარია ღარიბ უბნებისა, ვიდრე იმ უბნებისა, სადაც მდიდრები სცხოვრობენ. განსაკუთრებით ბავშვებსაა რომ მუსრავს; რაკი, დედმამის სიღარიბისა გამო, ბავშვებს არც შესაფერი მოვლა აქვსთ, აღარც საჭმელ-სასმელი აქვთ, აღარც ტანისამოსი, ბუზებსავით იჟუჟებიან. ყოველგვარი ავადმყოფობა და სენი, განსაკუთრებით გადამდები, ჯერ იქ იბუდებს, სადაც მჭიდროდ სცხოვრიბენ ღარიბები, სარდაფებს, და დაფეფხვილ ქოხმახებში. სოფელშიაც ამას-

ვე ვხედავთ: სივიწროვე, ჭუჭყი, საჭმელ-სასმელის სინაკლულე, უმეცრება – აი მიზეზები ათასგვარ სენისა, სიმახინჯისა და უბედურებისა. ხოლო როცა შიმშილობაც ჩამოვარდება, მაშინ თავს იჩენს სახადი და სხვა მისგვარი სენი, და შიმშილისაგან ღაღალაგამოლეულს გლეხს უწყალოდ სამარისკენ მიერეკება. ხოლო დიდ ქალაქებში, სადაც მუშების ცოლშვილი ბნელსა და ნესტიან სარდაფებში სცხოვრობენ, – იქ სიკვდილი ფრთაგაშლილი დაფარფაშებს. დიდ ქარხნებში, სადაც მუშა სიკვდილს თავის ძარღვების უკანასკენელ წვეთით აძლევს ხარკს, სადაც მისი ფილტვები სნეულდება, – თვალები უბრმავდება და სიცოცხლე უმოკლდება როგორც თვითონ მას, ისე მისს დატანჯულ ცოლშვილს. მაშასადამე, თვით ასეთი ბუნებრივი უბედურება, როგორიც სიკვდილი, სიბერე და უძლურებაა, უმეტეს შემთხვევაში, ვითარდება კაპიტალისტურ წარმოების და მისგან დამოკიდებულ სიღარიბისა და სისაწყლისაგან.

რაც შეეხება სხვა უბედურებას, თვით ადამიანისაგან რომ მომდინარეობს ხოლმე, იმაზე ლაპარაკიც კი მეტია: ყველას ერთი ძირი აქვს – კაპიტალისტური წარმოება. გაბატონება მდიდრისა ღარიბზე. ძლიერისა – უძლურზე. ნათქვამის გამოსარკვევად შევჩერდეთ ზოგიერთ ფაკტებზე.

რუსეთის იმპერიის ციხეები სავსეა პატიმრებით; წელიწადში თითქმის 30,000 კაცზე მეტს ასამართლებენ სხვა და სხვა სასამართლოებში და ნახევარზე მეტი იგზავნება ზოგი ციმბირში დასასახლებლად, ზოგიც მადნებში სამუშაოდ. ამ დამნაშავეთა შესანახავად წლიურად 15 მილიონზე მეტი იხარჯება: ეს სატუსაღოების ასაშენებლადო, ეს ტუსაღთა ტანისამოსის სასყიდლადო, ეს ბორკილებისათვისო, ეს მათი გადაყვანაო ერთ ადგილიდან მეორეზე და სხ. და სხ. საიდან ჩნდება ეს ლაშქარი „უბედურთა“? შიმშილია ამ ლაშქრის გამჩენი. ადამიანმა ერთს დღეს ვერ იშოვნა სამუშაო, მეორე დღესაც ვერ იშოვნა და ისიც სასოწარკვეთილი ცუდს საქმეს ჰკიდებს ხელს. მოსავალი არ მოვიდა ერთს წელიწადს, მოსავალი არ მოვიდა

მეორე წელიწადსაც, მოჰყვა შიმშილი და შველა კი არსაით არის: ბავშვები ბუზებსავით იხოცებიან და მწუხარებისაგან დედაც და მამაც მზად არიან, რაც გინდ სიავკაცე იყოს, ჩაიდი-

ნონ, ოღონდ კი მშიერ ბავშვების ტირილი აღარ გაიგონოს
მათმა ყურებმა. ახლა ყველამ იცის, რომ შიმშილობის წელი-
წადს სატუსაღოები ივსება ხოლმე ზამთრობით. დიდ ქალაქებ-
ში გაჭირებულნი ასობით ჩადიან ავკაცობას მხოლოდ იმის-
თვის, რომ სატუსაღოში ამოაყოფინონ თავი. ამ სატუსაღოებ-
ში უმეტესად გლეხები და მუშები სხედან, უმუშაოდ დარჩე-
ნილნი. იქიდან რომ გამოდიან, მუქთად ცხოვრებას ეჩვევიან,
პირველ დანაშაულის შემდეგ ავკაცობას უფრო ხშირად
და უფრო მეტად ჩადიან. რუსის კანონი შიმშილისა და
სიცივის გამო ჩადენილ მცირედ დანაშაულისათვის სასტიკადა
სჯის კაცს; მაგრამ არის უფრო დიდი ავკაცობაცა, რომლის
ამბავი ჩვენს ყურებამდე ძნელად მოაღწევს ხოლმე. უზომო
სიმდიდრე, მუქთახორაობა, უსაქმურობა ხშირად მიზეზია ხოლ-
მე უფრო მეტ დანაშაულობისა, უფრო უარესისა, ვიდრე სი-
ღარიბე. კაპიტალიზმს, როგორც გინდა გადაატრიალო, ადა-
მიანი გარყვნილებისა, დანაშაულისა და სიკვდილისაკენ მიჰ-
ყავს... დამნაშავენი სატუსაღოებში სხედან. ქალები ნაკლება-
დაა მათს შორის. ქალებს შიმშილი ქუჩისა და დიდოჯახები-
საკენ მიერეკება, – და ქალაქებში იძულებულნი არიან თავიან-
თი სხეული გაჰყიდონ, და მერე გარყვნილება და სენი ბო-
ლოს უღებს. ყოველი დიდი ქალაქი სავსეა მეძავ ძალებით,
ზოგი ქალაქია, შიგ ათ ღა ოც ათასობით არიან. სიღარი-
ბეა, რომ ამ ქალების ქალაქებისაკენ ერეკება. აქ ხელში უვარ-
დებიან მდიდრებს და ათასობით მათის უნამუსობის მსხვერპ-
ლნი ხდებიან. ყოველ წლობით უდედმამო ბავშვები ათი-ათასობით
შეჰყავთ დიდ ქალაქებში განგებ მათთვის აშენებულ სახლებ-
ში აღსაზრდელად. მაგრამ ცოტანი ღა იზრდებიან. ვისი ბრა-
ლია? ვისი და იმავე კაპიტალიზმისა, რომელიც გაუმაძდარ
მუცელს იყორავს ადამიანებით და ყველას შხამავს თვისის

საზიზღარის, მოწამლულის სულთქმით. ძნელია ამასთან ბრძო-
ლა, ძნელია იმიტომ, რომ ყველა ტვირთმძიმენი და მაშვრალ-
ნი ჯერ მჭიდროდ არ არიან შეერთებულნი, რომ ერთობრივის
ძალით შეებრძოლონ და გაუმკლავდნენ კაპიტალიზმისა და
ძალმომრეობის ბატონობას.

მაგრამ სადა სცალიან ადამიანს, განავითაროს თავისი ბუ-
ნება, აღმაღლდეს გონებით, – მისი აზრი და ღონე იმას უნდე-
ბა – შიმშილით არ ამოხდეს სული. მიმოიხედეთ და დაინახავთ,
რომ მთელს საზოგადოებაში განუწყვეტელი ბრძოლაა ადა-
მიანთა შორის, ერთი მეორეს ებრძვის, იბრძვიან სიმდიდრისა-
თვის, იბრძვიან პატივისა და გავლენისა მოსაპოვებელად, განსა-
კუთრებით იბრძვიან გამხმარ პურის ყუისათვის. ხოლო იმ
ბრძოლას, რომელშიაც ავიწყდებათ, თუ რა განსხვავებაა სი-
მართლესა და სიცრუვეს შორის, პატიოსნებასა და უსინიდისო-
ბას შორის, ასეთს ბრძოლას ადამიანი მიჰყავს გარყვნილების,
შეუბრალებლობისა, სასტიკობისა და დაუსრულებელ უბედუ-
რებისაკენ.

სოფლად გლეხები ერთიმეორეს ებრძვიან იმ ერთ მტკაველა მიწის გულისათვის, ხაზინამ და მემამულეებმა რომ გადაუგდეს, იბრძვიან, როგორც ობობას ქსელში მომწყვდეული ბუზი. ხოლო მათი ობობაა – ვაჭრები, მევახშე და ჩარჩი სოფლისა. ქალაქად მუშები სამუშაოზე ერთიმეორეს ეცილებიან, სცდილობენ სხვებს დაასწრონ და პატრონებს თავიანთი სამუშაო ძალ-ღონე მიჰყიდონ. პატრონებიც უსინდისოდ სარგებლობენ მათის გაჭირვებულის მდგომარეობით და ჩალის ფასად ამუშავებენ დღეში 10,12 დახან 14 და მეტს საათსაც. ერთისა და იმავე ხელობის წვრილი ხელოსნები ერთი-მეორეს სამარეს უთხრიან, სცდილობენ მეტოქე როგორმე თავიდან აიცილონ, ოღონდ კი მუშტარი მეორეს წაართვან. იმასვე სჩადიან წვრილი მედუქნეები მუშტრის მოსაზიდავად. წვრილ ხელოსანსა და მედუქნეს ჯალათსავით თავზე დასდგომია და ძილს უფრთხობს, შეცილება მსხვილ ფაბრიკანტთა და დიდ

მაღაზიების პატრონთა, რომელნიც თავიანთს უძლურ მეტოქეს ყოველ წლობით აკოტრებენ, მათხოვრებად ხდიან და აიძულებენ იქცნენ დაქირავებულ ხელოსნებად ან კიდევ უბრალო მუშებად იმავე ვემაპებთან, რომელთაც ხელი ააღებინეს დამოუკიდებელ ცხოვრებაზე. მაგრამ თვით გაუმაძღარი გველეშაპები თანხმობით მაშინ იქცევიან, როცა საჭიროა დასუსტებულ მეტოქეს მაგრად წაუჭირონ ყელზე მაყრუჟი, როცა საჭიროა უფრო ახლო მისწიონ თოკს, რომლითაც დაბმული ჰყავსთ დამონებული მუშა ხალხი. ხოლო ერთმანერთ შორის ესენი განუწყვეტლივ იბრძვიან მოგებისათვის. მემამულენი, მეფაბრიკენი და ვაჭრები თავიანთ შორის განუწყვეტლივ იბრძვიან და ყოველი მათგანი სცდილობს მეორეს წაჰგლიჯოს მშრომელ ხალხიდან აღებული მოგება.

ყოველ ამის მაგივრად რა მოგვცა კაპიტალისტურმა წარმოებამ? რა და ისა, რომ ამ წარმოებამ დაუჯერებელ ზომამდე გაადიდა რრომის ნაყოფიერება. ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდებამ მუშათა სამუშაო დრო კი არ შეამცირა, არამედ გაამრავლა ისეთები, რომლებიც ხალხის ნაოფლარით სცხოვრობენ. ძველს დროში ყოველი გადასახადი და ხარჯი და ბორჯი, თავადები თავიანთ ხელქვეითებისაგან რომ აგროვებდნენ, ძლივას ჰყოფნიდა თავადის, მისის რაზმის და, შეიძლება, კიდევ სასულიერო პირთა შესანახავად. როცა გამრავლდნენ ისეთები, რომელნიც სხვისის ნაოფლარით სცოვრობდნენ და რომელნიც იძულებულნი არ იყვნენ თავის მარჯვენით ერჩინათ თავი, ამ გარემოებას ის მოჰყვა, რომ ბევრი მათგანი თავისუფალ დროს გონებრივ შრომას ანდომებდნენ. აი სწორედ ასეთებმაა, რომ ყოველგვარი მეცნიერება და ხელოვნება შეჰქმნეს და ამის წყალობით ადამიანი ყოველგვარ არსზე მაღლა დადგა. მაგრამ ყოველივე ეს ნაყიდია მილიონ მუშათა სიცოცხლითა. ადამიანის გონება, მეცნიერება, ყოველგვარი ხელოვნება, თქმა არ უნდა, მაღლა დგას, მეტად განვითარებულია,

მაგრამ ყოველი ეს მშვენიერი საქმე მუშისათვის ხელმიუწდო-

მელია: ეს არსებობს მხოლოდ უმცირესობისათვის, რომელ-
საც საზრუნავი არა აქვს ლუკმა-პური, რომელიც სხვის შრო-
მითა სცხოვრობს! მუშის. ხვედრია – ფეხებჩაუკრეფელად იმუ-
შავოს. თუ რა ფასადაა კაცობრიობის წარმატება ნაყიდი – მხო-
ლოდ დედამიწამ იცის, რომელიც მოსწრებია კაცობრიობის
მთელს ტანჯვა-წვალებას, მისს ცრემლს, მისს გოდებას. ყვე-
ლა ეს წარმატება მუშების მკლავმა, მუშების ზურგმა შეჰ-
ქმნა და დროა ახლა მუშებმაც დაიდონ წილი თავიანთს ნა-
მოქმედარში. შრომის ნაყოფიერება დიდია, დეე მუშებსაც
მიეცესთ თავისუფალი დრო გონებრივ შრომისათვის და დეე
პირიდან ლუკმას ნურავინ გამოაცლის!

ახლა ჩვენთვის გასაგებია ყოველი მოვლენა ცხოვრებისა, რომელიც პირველის შეხედვით გვაოცებს. ჩვენ ახლა ვიცით, ვინ მუშაობს და ვინ არა, ვისა შიან და ვინ არის ფუფუნებაში. ვიცით, როგორა ხდება ყოველივე ეს; ვიცით, თუ რისთვის დაწანწალებს მუშა ქვეყნად ლუკმა-პურისათვის. ბოლოს, ჩვენ ისიც ვიცით, თუ რა გავლენა აქვს ახლანდელს წესწყობილებაში შიმშილს. შიმშილი ადამიანზე ბატონდება კაპიტალისტურ წარმოების დროს, როდესაც გამართულია საერთო ბრძოლა, ბრძოლა ხელჩართული, როდესაც ყველანი ყველას ეჯიბრებიან, ლუკმას პირიდან აცლიან ერთმანერთს, როდესაც ადამიანი ადამიანზეა ამხედრებული, ადამიანი ადამიანის გადაყლაპვას ჰლამის!

ახლა ვნახოთ, როგორ შეიძლება ადამიანმა წარმოება სხვანაირად მოაწყოს, ისე რომ კაპიტალისტურ წარმოებისაგან წარმოშობილ უბედურებას ადგილი აღარ ჰქონდეს, სრულიად მოისპოს.

მეცხრე თავი.

საზოგადოებრივი წარმოება.

დავინახეთ, რომ კაცობრიობას ბევრგვარი უბედურობა აწუხებს. ზოგი ამ უბედურობათაგანი პირდაპირ ბუნების მიზეზია (მაგ. სიბერისაგან სიკვდილი), ზოგ უბედურობის მიზეზი-კი თვით ადამიანების მიერ შექმნილი წესწყობილება და ადამიანთა შორის დამყარებული დამოკიდებულებაა. პირველ მიზეზის სრულიად მოსპობა შეუძლებელია, მისი ძალა შეიძლება მხოლოდ ოდნავ შევასუსტოთ; სხვა უბედურობის მოსპობა-კი შეიძლება და უნდა კიდეც მოვსპოთ. კაპიტალისტურ წესწყობილების მომხრენი სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ

ეს წესი თვით ადამიანის ბუნების კანონია, მისი მოსპობა ისე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება სიკვდილის მოსპობაო. ამიტომ მუშები თავიანთს ხვედრს უნდა დაემორჩილონ, ხოლო კაპიტალისტები თავიანთსაო. კაპიტალისტებისათვის, რა თქმა უნდა, ამ ხვედრის ატანა ადვილია, სიამის მეტს არაფერსა ხედავენ, ამიტომ ორისავ ხელით ებღაუჭებიან იმ აზრს, რომ კაპიტალისტური წარმოება – ბუნების კანონია და „არიქა, გვიშველეთო“-ს ჰყვირილს გააბამენ, როცა სიტყვას ჩამოაგდებს ვინმე არსებულ წესწყობილების შეცვლის შესახებ. ამაზე მშრომელ კლასის დამცველნი საბუთიანად ეუბნებიან, რომ ბუნებას სრულებით არ გაუჩენია ზოგისა ხელი უსაქმურობისათვის და ზოგისა კი გამუდმებულ შრომისათვის; ზოგის მუცელი ძვირფას საჭმელების ჩასალაგებლად, ზოგისა-კი – მათრობელიან პურისათვის; ბუნებას არ გაუჩენია კაპიტალისტები და მუშებიო! ბუნება მხოლოდ ადამიანსა ჰქმნის და ცხოვრებაში ადამიანნი ერთნი და თანასწორნი უნდა იყვნენ! და თუ ცხოვრებაში-კი სულ წინააღმდეგსა ვხედავთ, აქ ბუნება არაფერს შუაშია. კაპიტალისტური წარმოება ბუნებას კი არ შეუქმნია, არამედ ადამიანმა გააჩინა; ამიტომ ადამიანთ

შეუძლიათ და უნდა კიდეც მოსპონ ესეთი წესწყობილობა,, რაკი კაცობრიობის უმრავლესობისათვის ეს წყობილება მძიმე სატვირთველია. ამ მოსაზრებით სოციალისტები ჰფიქრობენ, რომ საჭიროა შევქმნათ სხვანაირი წარმოება – სოციალისტური წარმოებაო. ასეთ წარმოების დროს შეუძლებელი იქნება ის უბედურება, რასაც ახლა კაპიტალისტურ წარმოების დროს ვხედავთ. კაპიტალისტურ წარმოებისა და ამავე დროს მშრომელ ხალხის ყოველგვარ უბედურობის დედა-ბოძი – დაქირავებული შრომა და შეცილებაა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ კაპიტალისტურ წარმოებას წინ უძღოდა წვრილ მწარმოებელთა წარმოება, როდესაც ყოველ პატრონს წარმოების იარალი ჰქონდა. შემდეგ, ყოველგვარ ძალმომრეობით და უსამართლობით, მწარმოებელთ საწარმოვო იარაღი წაერთვათ და გაჩნდა ერთის მხრით, კლასი კაპიტალისტთა და მეორეს მხრით – „მუშა ხელი“. ჩვენ დავინახეთ, თუ რა უბედურება მოჰყვა ამგვარ წესწყობილებას. ამიტომ პირველი და მთავარი საძირკველი სოციალისტურ წარმოებისა უნდა იყოს მოსპობა დაქირავებულ შრომისა. სამუშაო ძალ-ღონე და მასთან ერთად პიროვნება მუშისა უბრალო საქონელსავით არ უნდა იყიდებოდეს. მაგრამ თუ გვინდა, რომ მუშა იძულებული არ იყოს თავისი სამუშაო ძალღონე გაჰყიდოს ხოლმე, თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს საწარმოვო იარაღი. ამ სახით, ერთის შეხედვით, კაცობრიობა უნდა დაუბრუნდეს იმ დგომარეობას, რა მდგომარეობით ცხოვრება დაიწყო: როგორც ძველად მწარმოებელი და საწარმოვო იარაღი ერთს განუყოფელს მთელს შეადგენდა, ისე ახალ სოციალისტურ წარმოების დროსაც მწარმოებელს საწარმოვო იარაღი არ უნდა

ჰქონდეს ხელიდან გამოცლილი.

მაგრამ დიდი განსხვავებაა წვრილ მწარმოებელთა წარმოებასა და სოციალისტურ წარმოებას შუა. შრომის საზოგადოებრივ დანაწილების დროს ყოველი მწარმოებელი ერთს რასმე აკეთებს, და კერძო მწარმოებელნი (ზეინკალი, მეწუღე და

სხ.) ურთიერთშორის კავშირს არა ჰკრავენ წარმოების გასაადვილებლად. ამნაირად წვრილი წარმოება მოკლებულია ყოველ იმ ხეირს, რა ხეირიცა აქვს **თანამშრომლობასა და შრომის მანუფაკტურულ განაწილებას**; ჩვენ კი დავინახეთ, თუ რა ზომამდე ადიდებს შრომის ნაყოფიერებას მანუფაკტურული განაწილება შრომისა. ახლა რომ კაცობრიობა ერთბაშად წვრილ წარმოებას დაუბრუნდეს, დიდს ზარალსა ნახავდა. ჯერ ერთი, შრომის ნაყოფიერება შემცირდებოდა; მეორედ, ყველა საწარმოვო იარაღი, კაპიტალისტურ წარმოების დროს რომ შეჰქმნა ადამიანმა, ყველა ფაბრიკები და მანქანები გადასაგდები გაგვიხდებოდა, ამიტომ რომ შეუძლებელია ესენი წვრილ მწარმოებელთ გავუყოთ. მათი გამოყენება მხოლოდ ერთობრივის შრომით შეგვეძლებოდა. აი ამიტომაა, რომ უანგარიშობა იქნებოდა, ახალი წარმოება წვრილ მწარმოებელთა განცალკევებულ წარმოებად გადაგვექცია და ყოველ მწარმოებლისათვის ცალცალკე მიგვეცა საწარმოვო იარაღი. ახალი წარმოება **საზოგადოებრივი (სოციალისტური)** წარმოება იქნება, და მწარმოებელთა შორის უნდა იყოს თანამშრომლობა და მანუფაკტურული განაწილება შრომისა. მეტად ძვირად უზის კაცობრიობას ყოველი გაუმჯობესობა საწარმოვო იარაღისა, კაპიტალისტურ წარმოებით შექმნილი, მეტად ძვირად უზის მთელი ცივილიზაცია, რომ ერთბაშად ხელი აიღოს ყველაფერზე და პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდეს! კაპიტალისტური წარმოება ბევრს მუშას ერთად უყრის თავს რომელსამე საქმეში, ერთს ფაბრიკაში, საზოგადოებრივად ამუშავებს, მათს შრომას საზოგადოებრივ შრომადა ხდის, და ამით ადიდებს შრომის ნაყოფიერებას; მანქანების შემოღებამ უნდა გაადვილოს და შეამოკლოს მუშათა შრომა. კაპიტალისტურ წარმოების დროს კი მანქანების შემოღება ყველა მუშათა შრომას არ ამოკლებს, ერთს ნაწილს სრულებით უსაქმურადა სტოვებს და ქუჩაში ჰყრის, ხოლო ვინც შიგ დარჩება, იმათთვის სამუშაო დრო უზომოდ დიდდება. მანქანები მუშებს მრომას

უმოკლებს და უადვილებს, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოების დროს მანქანა მოსისხლე მტერია მუშებისა. სოციალისტურ წარმოების დროს წარმოება სწორედ იმნაირივე რჩება, როგორიც არის კაპიტალისტურ წარმოების დროს, ე. ი. მუშები ერთად იმუშავებენ, მათი შრომა საზოგადოებრივი იქნება, ამიტომ რომ მხოლოდ საზოგადოებრივ შრომის დროს შეგვი-

ძლია გამოვიყენოთ მანქანები, მხოლოდ ამ დროს შეგვიძლია უმწერვალესობამდე გავაუმჯობესოთ იარაღი, და რაკი გაუმ-ჯობესებული იარაღი გვექნება, ადამიანის შრომაც მეტის მე-ტად განაყოფიერდება. მაგრამ რადგან საწარმოვო იარაღი მთელის საზოგადოების, ე. ი თვითონ მუშების საკუთრება იქმნება, მათი შექმნილი დამატებითი ღირებულებაც მათვე დარჩე-ბათ. აი, სოციალისტურ წარმოების დედააზრი ეს არის. კაბიტალისტები მოისპობიან და წარმოების მიზანი მოგება კი არა, ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იქნება, ამი-ტომ სოციალისტურ წარმოების დროს მანქანების შემოღება ზედმეტ მუშა ხელს ქუჩაში არ გამოჰყრის, არც სამუშაო დროს გაადიდებს. არამედ ყველა მუშებს სამუშაო დღესაც შეუმოკლებს და შრომასაც გაუადვილებს. თუ, სიტყვაზე, რომელსამე ფაბრიკაში 100 კაცი მუმაობს და ახლადგამოგო-ნილ მანქანის დროს 50 კაცი საჭირო არ იქნება, რადგან ამათს საქმეს ეს მანქანა გააკეთებს, ამ ზედმეტ 90 კაცს ქუჩა-ში არავინ გაჰყრის და ამავე დროს ასის კაცის სამუშაო დრო ერთიორად შემცირდება.

მაშასადამე თუ გვინდა თავიდან ავიშოროთ ყოველი უბედურება კაბიტალისტურ წყობილებისა, საქონლის გასაყი-დად მზადებისა და შეცილებისა, საჭიროა ვეცადოთ, რომ საწარმოვო იარაღი და საშუალება არავისი საკუთრება იყოს, ყველაფერი ყველა მშრომელთა საზოგადო საკუთრებად გადაიქ–ცეს. უნდა მოვსპოთ კერძო წარმოება და იმის მაგიერ შევქმნათ ერთი დიდი ოჯახი, რომელშიაც ყველა საერთო კეთილდღეო-ბისათვის იშრომებს. უნდა მოისპოს საქონლის წარმოება სყი-

დვა-გაყიდვისათვის და მოვაწყოთ საქმე ისე, რომ საქონელი საზოგადო სახმარად, მზადდებოდეს.

ერთის სიტყვით, საჭიროა სოციალისტური წესწყობილე-ბა შემოვიღოთ.

მაგრამ ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა სოციალისტურ წარმოების შემოღება? საზოგადოებამ თუ უ იკისრა საზოგადო-ებისათვის იშრომოს მის კეთილღეობისათვის, ამ საზოგადოე-ბას შეუძლია თუ არა ყველა უზრუნველჰყოს?

ბურჟუაზულნი მსწავლულნი გაიძახიან – ეს არ შეიძლე-ბაო. მათის სიტყვით, რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა, თუ ერთად თავი მოვუყარეთ და თანასწორად გავუყავით ყველას, სამყოფი არავის ერგებაო. ამიტომაო, დასძენენ ეს მსწავლულნი, ქვე-ყანახე სიღარიბე და სისაწყლე არის და იქმნება, ჩვენ ხელთ არ არის მათი მოსპობაო. აწინდელ წესწყობილების დროსაო, ამბობენ ესენი, ზოგნი მაინც არიან უზრუნველყოფილნი სხვისის შრომით და შეუძლიანთ წინ წასწიონ მეცნიერება, ხე-ლოვნება, ახალ-ახალი რამ გამოიგონონ და ამით შრომის ნაყოფიერება გაამლიერონო. აბა ერთნაირად აშრომეთ ყვე-ლანიო, ამბობენ ისინივე, დაინახავთ, რომ მეცნიერება და შრომის ნაყოფიერება შეფერხდება და სრულიადაც შეჩერდება,

მცხოვრებნი წინანდებურად გამრავლდებიან და მალე ქვეყანაზე გამეფდება საერთო სიღარიბე, და ლუკმა-პურისთვის ერთმანერთს დავსჭამთო. მართალია, თანამედროვე უთანასწორობის დროს ბევრია მწუხარე და გაჭირებული, მაგრამ რა ვქნათ, ქვეყანა ასეა გაჩენილი; ხოლო საზოგადო ერთობის დროს მთელს ქვეყანას ბოლო მოეღებოდაო.

ვნახოთ, ასეთი აზრი მართალია, თუ არა. გამოანგარიშებულია, რომ მთელს ევროპაში და ქვეყნიერობის ზოგიერთ ადგილებში წელიწადში ამზადებენ 89,650 მილიონ მანათის საქონელს და ყოველგვარ ნაწარმოებს. კაცის თავზე წელიწადში მოუწევს 208 მანეთის, ხოლო ყოველ ოჯახზე (ოჯახში ხუთი სული რომ ვიანგარიშოთ) – 1,040 მანეთის. ეს კი არც

მაგრე ცოტაა. მაგრამ ჩვენ ყველა ქვეყნები ერთმანერთს მივათვალეთ. აბა ავიღოთ უფრო განათლებული ქვეყნები. ინგლისში ოჯახს წელიწადმი 1,680 მანეთი მოუწევს, ამერიკაში – 1, 950 მ. ეს კი ცხვირზევით ასაცილებელი სრულებითაც არ გახლავსთ!

მაგრამ სოციალიზმი განა ის არის, რომ რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა, ავიღოთ და ყველას თანასწორად გავუყოთ? სრულებითაც არა. ახლა ყველა კი არ მუშაობს, ბევრი სცხოვრობს უქმად, ბევრი ისეთს რასმე აკეთებს, რომ არც სულსა რგებს და არ ხორცსა და არამცთუ არა რგებს, პირდაპირ მავნებელია. მშვიდობიანობის დროს ყოველ ას მუშა კაცში 3-4 კაცი, ხოლო ომიანობის დროს – 10 კაციც სასარგებლო შრომას მოწყვეტილია და ჯარში ჰკარგავს დროს; საზოგადოების რჩეული ნაწილი, ღონიერი და ტან-მრთელი, იმის მაგივრად რომ მუშაობდეს და ხალხს არჩენდეს თავის შრომით, თვით საზოგადოებას აწვება კისერზე სარჩენად. ახლა ხენა-თესვას და ხელოსნობას მცხოვრებთა სამი მეოთხედი თუ მისდევს; დანარჩენი მეოთხედი მისდევს ვაჭრობას, აღებ-მიცემობას და ისეთ საქმეს, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს ერთს კაპეიკსაც არ ჰმატებს. ვინ იცის, რამდენია ისეთი, რომ უსაქმურ ბატონებს ემსახურებიან და მათს ჟინიანობას ასრულებენ? ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ თანამედროვე წესწყობილებაში სავაჭრო-სამრეწველო კრიზისები ხშირია. ვინ მოსთვლის რამდენი ხალხი რჩება მაშინ უსაქმურად! ან რამდენი საქონელი ოხრდება და მყიდველს ვეღარ შოულობს! გამოანგარიშებულია, რომ მხოლოდ პირდაპირი გაკოტრება ამა თუ იმ ქვეყანას კაპიტალის ყოველ ათ თუმანზე ხუთი მანეთი უჯდება! ან ის ვიკითხოთ, თუ რამდენი სამუშაო დღე იკარგება თანამედროვე წესწყობილობის დროს აუცილებელ გაფიცვების მიზეზით! რუსეთში, მაგალითად, 1901 წელს გაფიცვების დროს, ფინანსთა მინისტრის გამოანგარიშებით, დაიკარგა თითქმის 100,000 სამუშაო დღე. ჩვეულებრივს

დროს რამდენი ხალხი ზის უმუშაოდ! ან ზამთრობით გლეხობას რამდენი დრო ეკარგება ტყუილა-უბრალოდ, რაკი სახლ გარედ სამუშაოს ვეღარ შოულობს! ცხადია, რომ საცა, ცოტათიც არის, გონივრად არის განაწილებული სამუშაო, იმ ქვეყანაში შემოსავალი ძალზე მატულობს. კაპიტალისტური წესი წარმოებისა ქვეყნისათვის საზარალოა და მისის არსებობის ყოველ დღეს საშინელი ზარალი მოსდევს ხალხისათვის.

ახლა შრომის ნაყოფიერება ვიკითხოთ! განა სოციალისტურ წარმოების დროს საოცარის სისწრაფით არ იმატებს? კაპიტალისტური წესწყობილება, როგორც დავინახეთ, აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ავიღოთ, თუნდა, ხვნა-თესვა. საშინელის ტაატით მიდის წინ მიწათ-მოქმედება, და აქ საკვირველიც არაფერია. ვინ უნდა გააუმჯობესოს მიწათმოქმედება? ჩვენი გლეხი დაბეჩავებულია, უმეცარია, გლახაკია. თუ სადმე ერთი კაპეიკი მეტი გაუჩნდა ჯიბეში, მაშინათვე მისცვივდებიან და ამოაცლიან ან ხარკთამკრეფნი, ან გაიძვერა სოფლის წურბელა. სადა აქვს იმისი თავი, რომ ხვნა-თესვის გაუმჯობესობისათვი იფიქროს? საიდან იშოვოს ამისთვის საჭირო სახსარი? გამოფიტულ და გაუპატივებულ მიწას პირველყოფილ დროის სახნისითა სჩიჩქნის, შიგ უვარგისს თესლსა ჰყრის და უცდის, ამინდი რა ხეირს დააყრის!.. ათასგვარ გადასახადებისაგან ხელფეხ-შეკრული, დიდ საიჯარო ფასით სულამორთმეული, დავალიანებული, უფულო, დიდ სარგებლის ხდით ილაჯგაწყვეტილი, უმიწაწყლობით დატანჯული გლეხი იძულებულია თავისი მოსავალი ჩალის ფასად ჰყიდოს და თვითონ კი ყველაფერი მამასისხლად იყიდოს ხოლმე. ასეთს გლეხს არ შეუძლია წელში გასწორდეს, გაჭირებას თავი დააღწიოს; მისი არსებობა ერთავად ბეწვზე ჰკიდია, მონაა ამინდისა და ბუნების ჟინიანობისა.

მეორე მხრით, მსხვილ მემამულეებს ხშირად ხელს არ აძლევს ამა თუ იმ გაუმჯობესებულ იარაღის შემოღება, რადგან, ჯერ ერთი, ძვირად ღირს და მეორეც – გამოცდილი და

ნასწავლი მუშა სჭირია ამ იარაღის ხმარების დროს. და როცა ამ გვარ მუშის შოვნა შეუძლებელია, როცა იქვე გვერდით ჩალის ფასად შეიძლება გლეხის შოვნა, რომელიც მზად არის დაამუშავოს მემამულის მიწა თავის საქონლით, თავის სახნისით, თავის ფარცხით ან როცა შეიძლება მემამულემ თავისი მიწა იჯარით გასცეს ერთისამად ან საღალოდ მისცეს იმავე მუშას, რა თქმა უნდა, მემამულე თავს არ გაიცხელებს იმისთვის, რომ იზრუნოს შრომის ნაყოფიერებისათვის, რადგან შეჩვეული არ არის საქმიანობას, რადგან იცის მხოლოდ ფლანგვა და არა შოვნა. ასეთის წესწყობილებისაგან კაცობრიობას იმდენი ზარალი ეძლევა, რომ მისი წარმოდგენაც კი გულსა ზარავს ადამიანს! შრომას ასეთი მცირედი ნაყოფი გამოაქვს და მემამულენი მაინც სჩივიან, – პურს ზედმეტს ვიწევ-

თო, ფასები საშინლად დავარდნილაო, და ხმირად არც კი სთესენ.

იშვიათია ისეთი კურთხეული ქვეყნები, სადაც მიწათ-მომქმედმა თავისუფლად ამოსუნთქვა შეიძლო, წელში გასწორდა და მოახერხა ეფიქრნა თავის წარმოების გაუმჯობესობისათვის, მიწის უკეთესად დამუშავებისათვის, – ასეთ ქვეყნებში ადამიანის ხელმა და გონებამ მართლა რომ სასწაული ქმნა.

იმ საძოვრებზე როგორიც ჩვენ ახლა გვაქვს, საშუალო რიცხვით ერთი ძროხა შვიდ დღიურზე გამოიკვებება. როცა კი საძოვრები ხელოვნურად ირწყვის, ერთ სულ საქონელს ორი დღიური მიწაც ჰყოფნის; როცა საძოვარ ბალახსა სთესენ, როცა საკვებდ თალგამსა და გოგრას და სხ. ხმარობენ, ჯერ ახლაც ორ დღიურ მიწაზე ხუთ რქოსან საქონელს ადვილად ზრდიან; ხოლო საცა მიწა ძალიან კარგია, საცა საკვებად სიმინდსა ხმარობენ, საცა ახლად მოცელილ საკვებს ორმოებში ინახავენ და განსაკუთრებულ პრესის ქვეშ ატარებენ, ორი დღიური მიწა 8-10 ძროხას ჰყოფნის.

იმ დროს როცა ჩვენი გლეხი უფალს მადლობასა სწირავს,

თუ დღიურზე 80 ჩანახი პური მოუვიდა, ჩრდილოეთ საფრანგეთში იმავე დღიურ მიწაზე ერთი-სამად და ერთი-ოთხად მეტი მოჰყავს მხვნელ-მთესველს. ასე რომ მანდაური დღიური 6 კაცს არჩენს! რა თქმა უნდა, მანდ მიწას ორთქლის გუთნით ხნავენ; განმეორებითა ხნავენ და ფარცხავენ, სათესლეს საგანგებო მანქანით არჩევენ; თესლს ჩვენსავით ჰაერში არ ფანტავენ, არამედ მწკრივად რგავენ განსაკუთრებულის მანქანის საშუალებით, რწყავენ მიწას, ისეთს პატივს აჰყრიან, რომ ჩვენს გლეხს არც გაუგონია და დიდხანსაც ვერ გაიგონებს.

პარიზს ახლო ზოგი მებოსტნეა, მიწის იჯარას იხდის 700,800 და 1,000 მანეთს ორ დღიურში. გაიოცებთ და იკითხავთ – როგორ იხდის ამ ფულს მებოსტნეო? როგორა და ისე, რომ მიწის ნაყოფიერება უმაღლეს წერტილამდე აქვსთ აყვანილი. მიწას თვითონ აკეთებენ და აკეთებენ ამინდსაც. მიწას აფხვიერებენ და აპატივებენ ისე, რომ ბოლოს მათი მიწა ოქროა, მიწა კი არა; საიჯარო ვადის გათავებისას მებოსტნეს თავისი მიწა თან მიაქვს. სთესენ შუშებს ქვეშ, მცენარეს შუშაბანდით ჰფარავენ, სათბილობელს აკეთებენ, ათბობენ მცენარეს; იმასაც ახერხებენ, რომ ნიადაგიც კი გაათბონ. ერთ დღიურ მიწაზე წელიწადმი 335 ფუთს სტაფილოს იღებენ, 3,000 ძირს უბრალო კომბოსტოს, 1,500 ყვავილოვან კომბოსტოს, 2,500 კალათა ოქროვაშლას და სხ. და სხ. სულ 4,000 ფუთამდე სხვა და სხვა ხილი და ბოსტნეული მოჰყავთ!!

მართალია, ასეთი ამბავი იშვიათია ჯერ და მხოლოდ ჯერ. მაგრამ სოციალიზმის დანიშნულება ის არის, რომ ადამიანი ასეთ ბედნიერ პირობებში ჩააყენოს, ასეთ ბედნიერ პირობებში აშრომოს. და დღევანდელი იშვიათი ამბავი მაშინ

ჩვეულებრივ მოვლენად, საყოველთაო ამბად გადაიქცევა და ადამის ძენი ყველანი ბედნიერად და კმაყოფილად იცხოვრებენ.

რაკი ვხედავთ, თუ რა სასწაულებს სჩადის ადამიანის გონება და ხელოვნება, უნებლიედ გაგვეცინება, როცა ზოგი-

ერთებისაგან გავიგონებთ – ქვეყანაზე ამდენი ღარიბი და გაჭირვებული იმიტომაა, რომ ხალხი გამრავლდა ქვეყანაზე და მიწა აღარა ჰყოფნის ყველასაო. არა, სრულებითაც არა! უბედურება და გაჭირვება ქვეყანაზე ასე ბევრი იმიტომაა, რომ ახლანდელი წესწყობილება ხალხს სიღარიბესა და უმეცრებაში სულსა ხდის, ტყვესავით ამუშავებს, მუშა-საქონლად არის გადაქცეული ადამიანი; ნებას არ აძლევენ ბუნების საიდუმლოება გაიგოს, მაზე გაბატონდეს. ასეა დაჩაგრული არა მარტო გლეხი, არამედ მუშა საფაბრიკო მრეწველობაში. კაპიტალისტური წესწყობილება მუშას ხელფეხს უბორკავს და ხელფეხშებორკილ მუშას არ შეუძლია შრომის ნაყოფიერება გაადიდოს. ჩვენში, მაგალითად, კაპიტალისტებისათვის სახეირო არ არის ისეთის მანქანების შემოღება, როგორიც ინგლისში უკვე შემოღებულია. რისთვის? რისთვის და იმისთვის, რომ მუშახელი ჩვენში უფრო იაფია, ვიდრე ინგლისში. სოციალისტურ წესწყობილების დროს კი ერთბაშად შეიძლება კაცმა ისეთი მანქანები შემოიღოს, რომელიც ჯერ არ არის და არც შეიძლება ხმარებულ იქმნეს. თუ მანქანის საშუალებით შრომა ნაკლებია საჭირო, ვიდრე მის გაკეთებაზე იყო საჭირო, რა თქმა უნდა, ასეთი მანქანა სოციალისტურ წესწყობილების დროს სახეირო იქმნება. მაგრამ ახლა ამას სრულებით ვერა ვხედავთ, ახლა კაპიტალისტის დარდი ის კი არ არის, თუ რამდენი შრომა იზოგება მანქანის წყალობით, არამედ ისა, თუ რამდენი შრომა მოუზოგა მანქანამ ისეთი, რომლისათვისაც ქირა აქვს გადახდილი. ხოლო ქირას მუშებს მხოლოდ შრომის ერთ ნაწილისათვის აძლევს. მანქანაში კაპიტალისტი იმდენს აძლევს, რამდენიც მანქანა ნამდვილადა ღირს, ხოლო მუშების შრომას ნახევარ ფასად ჰყიდულობს. აი ამიტომაა რომ კაპიტალისტური წესწყობილება ხელს უშლის ბევრგვარ მანქანების გავრცელებას და შემოღებას, აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. მხოლოდ სოციალისტური წესწყობილება შეუწყობს ხელს მანქანების გავრცელებას.

ახლა, ვინ იცის, რამდენი ხალხი იღუპება ტყუილ-უბრალოდ, სიღარიბესა და უმეცრებაში! ხოლო ხალხიდან თუ ვინმე გამოვიდნენ როგორმე და თავისით რამე ისწავლეს, მეცნიერების გზა გაიკაფეს, – იმდენი რამ გამოიგონეს, რომ ქვეყანას აკვირვებენ. აქებენ და ადიდებენ ასეთებს და ამავე დროს არა ფიქრობენ, რომ ასი და ათასია დაღუპული ასეთი

ნიჭიერი და ქვეყნისათვის გამოსადეგი ხალხის შვილი; რამდენს ასსა და ათასს აქვს დამარხული თავისი ნიჭი მიწაში იმის წყალობით, რომ დაჩაგრული იყვნენ ჯოჯოხეთურ შრომით, ჯოჯოხეთურ წვალებით და სიღარიბით სწორედ იმ დროს, როცა მათის ნაოფლარით უქმნი და მცონარენი ქეიფსა და და განცხრომას ეწეოდნენ!

და მხოლოდ სოციალიზმი დაამსხვრევს ბორკილს, ახლა ადამიანის ჭკუა-გონებას რომ აქვს შემოჭერილი; მხოლოდ სოციალიზმი გააღვიძებს იმ უსაზღვრო ნიჭსა და გონებრივს ღონესა, დღეს რომ ხალხშია მიძინებული, და ეგევე სოციალიზმი ადამიანს გააბატონებს ბუნებაზე. დღევანდელი სასწაული შრომის ნაყოფიერებისა საბავშვო სათამაშოდ გვეჩვენება იმასთან შედარებით, რასაც მოგვცემს სოციალიზმი მომავალში.

ნუ გამოვუდგებით იმის გამოცნობას, თუ რა იქმნება მომავალში. დღესაც კი შრომის ნაყოფიერება იმდენად აღმაღლდა, იმდენად განვითარდა, რომ, სამართლიანი საზოგადოებრივი წარმოება რომ არსებობდეს, სამყოფად იქმნება ყველაფერი, რაც ადამიანის გონივრულ არსებობისათვისაა საჭირო. ერთმა მსწავლულმა და ხალხის გულშემატკივარმა გერმანელმა დაწვრილებით გამოიანგარიშა: გერმანეთის სახელმწიფოში, სადაც სამოცი მილიონი მცხოვრებია, რამდენმა კაცმა და რამდენს ხანს უნდა იმუშავოს, რომ დაამზადოს იმდენი ნაყოფი მიწისა, მრეწველობისა, ხელობისა და საკოლონიო მეურნეობისა (თერმონია, ყავა და სხ.), რომ ეყოს მთელს გერმანეთის სახელმწიფოს სამოც მილიონ მცხოვრებთაო? როცა ეს მსწავ-

ლული ანგარიშობდა ამას, საფუძვლად ჰქონდა საშუალო რიცხვით შრომის ახლანდელი ნაყოფიერება, თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს ნაყოფიერება ერთ ალაგას არ არის გაჩერებული, არამედ ყოველწლობით უფრო და უფრო იზრდება. თავის თავსა ჰკითხა: რა კეთილდღეობას შეიძლება ახლა ხალხმა მიაღწიოს და რამდენი შრომა უნდა შეალიოს ამასაო? თუ მომავლში შრომის ნაყოფიერება გაიზრდება, რა თქმა უნდა, კეთილდღეობაც უფრო გაიზრდება და შრომაც ნაკლები იქმნება საჭირო. და აი რა დაგვანახვა ამ მსწავლულის გამოანგარიშებამ.

რათა სამოცი მილიონი მცხოვრები რიგიანად სცხოვრობდეს, არც საჭმელ-სასმელი აკლდეს და არც სამოსი, საკმარისია, ხუთმა მილიონმა კაცმა და სამმა მილიონმა და რვაას ათასმა ქალმა ყოველ დღე იმუშაოს მხოლოდ 8 საათს დღეში; ხოლო ერთად უნდა იმუშაონ დღეში რვა მილიონმა და რვას ათასმა ქალმა და კაცმა, ე. ი. მთელ მცხოვრებთა თითქმის მეშვიდედმა ნაწილმა. სხვანაირად რომ ესთქვათ, ერთის კაცის შრომას შეუძლია 7 კაცი აცხოვროს, არაფერი აკლდეს ისე, რომ ყველამ თანაბრად და სამართლიანად გაინაწილოს ეს საზოგადოებისათვის აუცილებელი შრომა, საკმარისი იქმნება,

სიტყვაზე, დაწესდეს **საყოველთაო ბეგარა შრომისა,** რომელიც უნდა გრძელდებოდეს არაუმეტეს ათის წლისა მამაკაცთათვის, და არაუმეტეს შვიდის წლისა დედაკაცთათვის. კაცებმა მაშვინ უნდა დაიწყონ მუშაობა, როცა 15 წლისა გახდებიან და იმუშაონ 25 ან 27 წლამდე, ხოლო ქალებმა 15-იდან 22 წლამდე. 15 ან 17 წლამდე ყველანი სკოლაში ივლიან საზოგადოების ხარჯით და შეიძენენ გონივრულს სწავლა-განათლებას. შემდეგ ყველანი შევლენ შრომის სამსახურში და ვადის გათავების შემდეგ სამსახურიდან გამოვლენ და ყოველწლიური პენსია ექმნებათ იმდენი, რომ ღარიბულად არ იცხოვრონ და ბავშვებიც გამოზარდონ შრომის სამსახურში შესვლამდე. თუ ვისმე მოუნდა აუცილებელ ნივთის გარდა საფუფუნო ნივთიცა,

სამსახურის გათავების შემდეგ შეუძლია შევიდეს თავისუფალ სახელოსნო არტელებში, სადაც მასავით სამსახურ გათავებულნი ერთად თავისთვის თავის გემოვნებაზე საფუფუნო ნივთებს დაამზადებენ. ამნაირად, კაცების ათის წლის (ხოლო ქალების შვიდის წლის) საზოგადოებრივ შრომის სამსახურის შემდეგ ყოველ ოჯახს შეუძლია სრულიად უზრუნველჰყოს თავისი თავი მთელს სიცოცხლეში. მამაკაცს და გასათხოვარ ქალს, ჯან-ღონით სავსეს, სრულიად თავისუფლად შეუძლიათ თავისი დრო კვლავ შრომას მოახმარონ, რომ უფრო გაიუმჯობესონ თავიანთი კეთილდღეობა, ან და, თუ დასჯერდებიან იმ შეძლებას, როგორიც ახლა შუათანა შეძლების ხალხს აქვს, ეგევე დრო გონებრივს განვითარებას და სხვა და სხვა სიამოვნებას შესწირონ. ეს კიდევ ცოტაა. სამოც მილიონ ხალხში შრომა რო შეუძლიათ ისეთი მამაკაცი ხუთი მილიონი სამას ათასია, ხოლო ქალი ოთხ მილიონამდე, ხოლო ერთად – ცხრა მილიონი და სამას ათასი სული. და რადგან წელიწადში მხოლოდ რვა მილიონი რვაას ათასია საჭირო, შეიძლება დანარჩენი თითქმის სამოცი ათასი **შაღავათიანთა** რიცხვში მოექცნენ (ოცდა ათიათასი კაცი, რაიცა **ათ წელიწადში** სამას ათასს შეადგენს, და ოცდა ათიათასი ქალი, რაც 7 წელიწადში ორას ათასს, ხოლო ერთად ხუთას ათ ათასს). ამ შეღავათით შეეძლებათ ისარგებლონ უფრო ნიჭიერებმა, რომლებიც მოისურვებენ შრომის სამსახურის მაგიერ სხვა და სხვა მეცნიერება და ხელოვნება შეისწავლონ, რომ შემდეგ თავისის ცოდნით და განათლებით მთელს საზოგადოებას გამოადგნენ.

გარდა ამისა, ადვილად შეიძლება, შრომის სამსახური, რომელსაც ყველა, რა თქმა უნდა, საუკეთესო და სიმრთელისათვის მარგებელ პირობებში შეასრულებს, ახლანდელს ყაზარმულ ცხოვრებას აღარ მოგვაგონებდეს, რომ ყველა თავისუფალი იყოს – ის საქმე და იმ ადგილას გააკეთოს, რაც და საცა უნდა. დაწვრილებით იმის ჩამოთვლა, თუ როგორ შეიძლება ყოველისავე ამის მოწყობა, ძალიან შორს წა-

გვიყვანდა. მთელი წიგნი მოუნდებოდა ამის აღწერას. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ვინც უფრო მძიმე და არასასიამოვნო საქმეს შეასრულებს, ბევრგვარი შეღავათი ექმნება (გლეხი სხვაზე ნაკლებ იმუშავებს ან სხვებზე ნაკლებ წელიწადს დაჰ-ყოფს შრომის სამსახურში და სხ., რადგან ასეთ საქმის კეთების მსურველი ყოველთვის გამოჩნდება. და თუ არ აღმოჩნდა მსუ-რველი ან და ცოტა აღმოჩნდა, მაშინ ასეთს საქმეს ან წილის ყრით გააკეთებენ და ან მორიგეობით.

ყოველივე ეს გამოანგარიშებულია, როგორც ესთქვით, გერმანეთის სახელმწიფოსათვის, სადაც სამოცი მილიონი მცხოვრებია. ადვილი მისახვედრია, რომ საქმე სრულებით არ შეიცვლება, თუ გერმანეთის მაგივრად სხვა სახელმწიფოში შემოვიღებთ ასეთს წესწყობილებას. სულ ერთია, მცხოვრებთა რიცხვი რამდენიც იქნება ამ სახელმწიფოში. ყველგან ერთი და იგივე იქნება. როცა სოციალისტური წესწყობილება დამ-ყარდება, საკმარისი იქნება ყოველმა კაცმა ოთხ წელიწადს გასწიოს შრომის სამსახური, ხოლო ქალმა – შვიდს წელიწადს, რომ ყველამ მშვენიერი განათლება მიიღოს და ყველა უზრუნ-ველ იქმნეს ცხოვრებაში. ამ წესწყობილების დროს ყოველი მოქალაქე დიდის სიამოვნებით მოიხდის იმ შრომის ბეგარას, რომელიც მას თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და სრულს უზრუნველყოფას მოანიჭებს. სოციალისტურ საზოგადოებაში არ იქნებიან მუქთახორანი, რომელნიც არაფერს აკეთებენ და სხვის ნაოფლარით კი საზრდოვობენ, არ იქნებიან აგრეთვე ღარიბნი, რომელნიც უზომო შრომისაგან წელში სწყდებიან. ყველა იშრომებს იმდენს, რამდენიც საჭიროა და ყველას სამ-ყოფი ექმნება ყველაფერი. მაშინ არ იქნება, როგორც დღეს, ისა, რომ გასასყიდ ტანისამოსით და ფეხსაცმელით სავსე მა-ღაზიების გვერდით შიშველტიტველი მუშები დადიან, ის მუ-შები, რომელთა ხელითაც ყველაფერი ეს გაკეთებულია; არ იქნება ისა, რომ საჭმელებით სავსე დუქნებს რამდენისამე დღის უჭმელი მუშები ჩაუვლიან და ხარბის თვალებით უყუ-

რებენ ყოველსავე და ერთ კარგად გაძღომას ნატრობენ. არც ის იქნება, რომ, ვსთქვათ, რომელსამე ქვეყანაში შიმშილობაა და სწორედ ამ ქვეყნიდან ვაჭრებს საზღვარგარეულ გააპვსთ პუ-რი; ხალხს ათასობით და მილიონობით ტანისამოსი არა აქვს, და ჩითის, ტილოს და მაუდის ვაჭრები და ფაბრიკანტები-კი ჩივიან – საქონელი ბევრია დამზადებული და ვეღარსად გაგვი-საღებიაო; მთელს გუბერნიებში შიმშილისაგან სახადი მუსრს ავლებს ხალხს, ხოლო მსხვილნი მემამულენი პურს აღარ სთე-სენ, მიწას საბალახედ უშვებენ – ხორბლის ფასი დავარდნი-ლია, არავინ ყიდულობსო.

როდესაც ადამიანი ბატონყმურ შრომას თავს დააღწევს, მხოლოდ მაშინ მოაგონდება, რომ „არა პურითა ხოლო ჰცხონდების კაცი“, რომ ყველა ხორციელ მოთხოვნილების

დაკმაყოფილების შემდეგ გონებსა და სულსაც უნდა მისცეს საზრდო. მხოლოდ მაშინ აღენთებათ წითელის ალით ადამიანებს წყურვილი მეცნიერებისა, მხოლოდ მაშინ შეიგნებს ადამიანი მეცნიერების სრულს მშვენიერებას, მხოლოდ მაშინ დაუკვირდება ადამიანი ბუნების ყოველ ქმნილებას. გაიგებს ყოველ საიდუმლოებას მისას და აღბრთოვანდება იმ ხმაშეწყობილობით და აზრიანობით, რა ხმაშეწყობილებას და აზრიანობას თავის გარშემო დაინახავს; მხოლოდ მაშინ დააფასებს ადამიანი მშვენიერების მთელს დიდებულებას, ისწავლის, რომ ეს მშვენიერება ყველგან გამოიცნოს, დააფასოს და ყველგან აღმოაჩინოს – ვარსკვლავებით მოკირწლულ ცასა და მთის მწერვალებზე, უნაპირო ზღვასა და ხასხასად მობიბინე ველ-მინდვრებზე და თვით ადამიანის სულის კუნჭულებშიც კი. როცა საქაო ცოდვებისაგან განიწმინდება, როცა მოიშორებს ცუდ განზრახვებს, რომელიც პირდაპირი შედეგია სყიდვა-გაყიდვისა, არსებობისათვის მოყვასთან ბრძოლისა, – მაშინ ადამიანის ბუნება ხელახლად დაიბადება, გასწორდება, მოყვასის ბედნიერებას თუ უბედურებას საკუთარ ბედნიერებად თუ უბედურებად მიითვლის. ამიტომ რომ ეს მოყვასი მის თვალში მტე-

რი კი აღარ იქნება, რომლისაც ადამიანს ყოველთვის უნდა ეშინოდეს, არამედ ეს იქნება მისი მეგობარი და თანამშრომელი, რომელთანაც შრომა სახალისო იქნება, და იშრომებს კიდეც საერთო კეთილდღეობისათვის.

სარჩევი.

გვერდი.

შესავალი 3

პირველი თავი.

თანამშრომლობა, შრომის განაწილება, გაცვლა-გამოცვლა. საქონელი 7

მეორე თავი.

საქონლის ღირებულება 12

მესამე თავი.

ფული 17

მეოთხე თავი.

მოთხოვნილება და წინადადება. შეცილება . . 26

მეხუთე თავი.

მუშა-ხელი 30

მეექვსე თავი.

დამატებითი ღირებულება 50

მეშვიდე თავი.

ხელფასი 64

მერვე თავი.
კაპიტალისტური წარმოება 72
მეცხრე თავი.
საზოგადოებრივი წარმოება 99